საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ელექტრონული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 მაისი **ხუთშაბათი** 2011
№ 109 (13406) ფასი 60 თეთრი

# თამაში №1 პრობლემა №1

ფეხბურთი
თავიდანაც
ყარს და
ბოლოდანაც.
ჩვენი
თამაში
ყველამ და
ყველგან
გაყიდა.
ნამდვილი
ცოტაღა
დაგვრჩა.
გვაბითურებენ.
და ამიტომაც
გვჭირდება



## ის მაინც ბრუნავს FIFA ქრთამში ცურავს

5







9

**28.05.** ესპანეთის ჩემპიონი ომისთვის ემზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

სკანდალის ექო

# ფრაზა, რომელიც ბევრჯერ გვსმენია

# დავით ნამგალაური: გამოძიება გრძელდება

# შედეგს კი ჯერაც ველით. ვნახოთ...

**ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა ტოტალიზატორებთან გარიგებულ მატჩებში მონაწილეობისთვის ხუთ ფეხბურთელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ასეთია სკანდალის შედეგი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის დასრულდა.**

**ამ ყოველივეზე ვესაუბრეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ნამგალაურს.**

**- ცნობილია, რომ სასჯელის ზომაზე ალმასკომის წევრთა აზრი გაიყო. თქვენ ფეხბურთელთა სამუდამო დისკვალიფიკაციას ემხრობოდით?**

- ყოველივე ფაქტებით დადასტურდა და მიმაჩნია, რომ სასჯელი ამ ფეხბურთელთა საქციელის ადეკვატური იყო. ეს იქნება მკაცრი მაგალითი მათთვის, ვისაც გარიგება და ტოტალიზატორთან კავშირი კიდევ მოუვა თავში აზრად. ამ გადაწყვეტილებით გზა გადავუჭერით იმ ადამიანებსაც, ვინც ფეხბურთს რყვნის. ეს იმ დროს, როდესაც ბიზნესი და სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებისთვის დიდ თანხებს ხარჯავენ.

**- ის ადამიანები თუ დააკავეს, რომლებიც ფეხბურთელებს თანხას სთავაზობდნენ?**

- ალმასკომზე სპორტსმენები ფედერაციის მოქმედი დებულებით დავსაჯეთ. რაც შეეხება მეორე მხარეს, გამოძიება გრძელდება და შესაბამისი ორგანოები მას ბოლომდე მიიყვანენ.

**- ფიფასა და ინტერპოლის ერთობლივ ლონისძიებას საქართველო როგორ შეუერთდება?**

- მომხდარის გამო, სამწუხაროდ, ამ საკითხში ფიფასაც დავასწარით. სამართალდამცავებთან ისედაც ვთანამშრომლობთ, რათა სპორტში საბოლოოდ მოვსპოთ ორგანიზებული დანაშაული, რომელმაც მსოფლიოში დიდი მასშტაბები მიიღო - სერიოზული კრიმინალური დაჯგუფებები და პიროვნებები არიან ჩართულები. თუმცა იმედი გამიჩნდა, რომ ალმასკომის სასჯელის შემდეგ საქართველოში მსგავსი ფაქტი აღარ მოხდება.



დავით ნამგალაური

**- ბევრი მიიჩნევს, რომ თავისთავად ასეც მოხდება, თუ ფეხბურთს ტოტალიზატორებს ჩამოაშორებენ.**

- ეს ძალიან სერიოზული თემაა, ფეხბურთი ტოტალიზატორების გარეშე წარმოუდგენელია. მათი დამსახურებაა, სახეობა კომერციულად ასე საინტერესო რომ არის. მაგრამ დაუშვებელია, როდესაც ტოტალიზატორები საკუთარი გავლენის ქვეშ აქცევენ ფედერაციებს, კლუბებს, მოთამაშეებს. თუ როგორ მოხდება მათი კონტროლი, ფიფასა და ინტერპოლის თანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ცხადია, მითითება ჩვენც უნდა მივიღოთ, რა შეიძლება გავაკეთოთ, რადგან ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ.

ეს პრობლემა მთელი მსოფლიოს წინაშე დგას. ტოტალიზატორების საკითხი ახლახან ეპას-ის ფარგლებში განიხილეს და მას ჩვენი წარმომადგენელიც ესწრებოდა. ეპას-ი არის ევროკავშირის კომისია, რომელიც მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად პრევენციულ ზომებს განიხილავს. ბოლო დროს ხომ ფეხბურთში ხშირად აწყდებიან კრიმინალს. ასე რომ, რა გადაწყვეტილებებსაც მიიღებენ ფიფა და უეფა, ჩვენც იმის შესაბამისად მოვიქცევით.

**- ტოტალიზატორები საკუთარი გავლენის ქვეშ აქცევენ ფედერაციებს, კლუბებსა და მოთამაშეებსო. ჩვენთან მხოლოდ მოთამაშეები მოექცნენ მათი გავლენის ქვეშ? ძნელი დასაჯერებელია, რომ გარიგებებში კლუბები არ მონაწილეობდნენ.**

- კლუბების მონაწილეობის ფაქტი ჯერ არ დამტკიცებულა. ის, რაც ყველამ ვიხილეთ, ტოტალიზატორებთან მხოლოდ მოთამაშეთა კავშირზე მეტყველებს. იქ რომ გამოვლენილიყო რომელიმე კლუბის, ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობა, მერწმუნეთ, ითქმებოდა და არავინ დამალავდა. კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით კი დაისაჯნენ ის ადამიანები, რომლებიც კუდ-მა გამოავლინა. თუმცა გამოძიება გრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ასათიანი და იური სიომინი: ზარი ზარზე

შესაძლოა, საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველი **მალხაზ ასათიანი** კიევის "დინამოში" გადავიდეს. ეს ინფორმაცია რუსულმა ინტერნეტ-გამოცემა "ევროფუტბოლმა" გაავრცელა. საქმე ისაა, რომ გუშინ უკრაინის თასის ნახევარფინალში კიევის "დინამომ" თანაქალაქელ "არსენალს" უმასპინძლა, მატჩისწინა მიმოხილვაში კი შემდეგი ეწერა:

*"მოსკოვის "ლოკომოტივის ყოფილი მოთამაშე მალხაზ ასათიანი დღემდე უგუნდოა. როგორც მან გვითხრა, სისტემატურად ელაპარაკება კიევის "დინამოს" მთავარ მწვრთნელ იური სიომინს, ასე რომ, არსებობს ალბათობა, გამოცდილი მცველი "დინამოში" გამოჩნდეს. ეს თავადაც დაადასტურა: "რა თქმა უნდა, კიევში სიამოვნებით წავიდოდი, რადგან მცირე ხნით თამაშის მიუხედავად, კიევი ჩემი მეხსიერებიდან ვერ ამოიშლება".*

შეგახსენებთ, რომ სწორედ იური სიომინმა მიიწვია ასათიანი "ლოკომოტივში" და კიევის "დინამოში" რომ გადავიდა, 2009 წლის დასაწყისში, ქართველიც წაიყვანა. სიომინი დეკემბერში უკრაინულ კლუბში დაბრუნდა და ბევრმა იფიქრა, რომ ასათიანს კვლავ წაიყვანდა, მაგრამ კიევში ოთხი ცენტრალური მცველი დახვდა და ამაზე ლაპარაკი მაშინვე შეწყდა.

**მერაბ მამულაშვილი**



მალხაზ ასათიანი (ბურთით) კიევის დინამოში თამაშისას

# ადამიას იახში უთხრეს

## გასეირნება ყარაბახით ევროპაში

**გიორგი ადამიას** აზერბაიჯანული "ყარაბახის" ხელმძღვანელობამ წარმატებული სეზონი დაუფასა და ახალ კონტრაქტს სთავაზობს. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გურბან გურბანოვმა** დაუდასტურა.

30 წლის ადამიამ მიმდინარე სეზონში 29 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა. აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში იგი მეორე ადგილზეა, მომავალ სეზონში "ყარაბახთან" ერთად კი ევროპის ლიგაზე ითამაშებს. "ყარაბახი" ჩემპიონატში ან მეორე ადგილზე გავა, ან მესამეზე – ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ადამია აზერბაიჯანში 2004 წელს წავიდა და "ყარაბახამდე" "ნეფთჩისა" და "ბაქის" ღირსებას იცავდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

Enlarged Partial Agreement on Sport

EPAS

Accord Partiel Élargi sur le Sport

# პასი ეპასისგან

ბოლო დღეებია, საფეხბურთო დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად არასაფეხბურთო ორგანიზაციები დაირაზმნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ფიფასა და ინტერპოლს შორის გაფორმებული ათწლიანი ხელშეკრულებაა, თუმცა ფეხბურთის გაწმენდაში საკუთარი წვლილის შეტანას სხვა გაერთიანებებიც ცდილობენ.

ასე, მაგალითად: გააქტიურდა ევროსაბჭო, რომელიც 2007 წლიდან პროგრამა EPAS-ს (ევროსაბჭოს გაფართოებული ნილობრივი შეთანხმება სპორტის შესახებ) ახორციელებს, მაგრამ ბოლო დროს მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. პროგრამის 17 პარტნიორ ორგანიზაციას შორის არიან უეფა, ევროპის რაგბის ასოციაცია ფირა აერ-ი, საერთაშორისო საკალათბურთო ფედერაცია ფიბა, ევროპის ძიუდოს კავშირი ეჯუ, ევროპის ოლიმპიური კომიტეტი, ევროპის პარალიმპური კომიტეტი, სამბოს საერთაშორისო ფედერაცია და სხვა სპორტული ორგანიზაციები.

EPAS-ში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ჰყავს – **გიორგი ჭანიშვილი**. სწორედ იგი დაესწრო სტრასბურგში რამდენიმე დღის წინ გამართულ შეხვედრას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გარიგებულ საფეხბურთო მატჩების წინააღმდეგ ბრძოლას დაეთმო. ცნობისთვის, საქართველო EPAS-ში რამდენიმე თვის წინ გაწევრდა.

შეხვედრაზე, რომელსაც სხვადასხვა ევროპული ქვეყნების სპორტულ უწყებებთან ერთად უეფას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ევროპული და მსოფლიო ლატარიის კომპანიების წარმომადგენლები, ევროპული ტოტალიზატორების ბუკმეკერები და სხვადასხვა ექსპერტები ესწრებოდნენ, მწვავე დისკუსია გაიმართა.

ითქვა, რომ გარიგებული თამაშების ბიზნესმა ორგანიზებული კრიმინალის სახე მიიღო, რის წინააღმდეგაც მიზანმიმართული და სამართლებრივი ბრძოლაა საჭირო. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ EPAS-ი წევრ ქვეყნებსა და კონსულტანტებთან ერთად დაიწყებს მუშაობას ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანი საერთაშორისო შეთანხმების - კონვენციის შესაქმნელად.

EPAS-ს უკვე მზად აქვს ოფიციალური დოკუმენტი რეკომენდაციების სახით, რომლის ბაზაზეც მომზადდება კონვენცია. მის შექმნას ევროპული ინსტიტუციების წარმომადგენლებთან ერთად მხარი უკვე დაუჭირეს უეფამ, ასევე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და სხვადასხვა სპორტულმა ორგანიზაციებმა. გადაწყდა ისიც, რომ დოკუმენტზე მუშაობის დროს მიიწვევენ ინტერპოლსაც.

კონვენციის უშუალოდ EPAS-ის წევრ ქვეყნებში რატიფიცირების შემთხვევაში, EPAS-ის მიერ გაცემული რეკომენდაციები განიხილება როგორც კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია და საქართველოს, როგორც EPAS-ის წევრ ქვეყანას, კანონმდებლობით დაეკისრება კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

შეხვედრის დეტალების შესახებ კომენტარი გიორგი ჭანიშვილს ვთხოვეთ: *"შეხვედრის მთავარი თემა არალეგალური საფეხბურთო გარიგებებისა და იატაკქვეშა ტოტალიზატორების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. როცა დელეგატები საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე, დიდად არ გაჰკვირვებიათ, თქვეს, რომ მსგავსი რამ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ხდება.*

*EPAS-ი თავის წევრ ქვეყნებს მაქინაციების წინააღმდეგ საბრძოლველად რეკომენდაციებს აძლევს, ხოლო მას შემდეგ, რაც სპეციალური კონვენცია გაფორმდება, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უკანონო გარიგებების გამოსავლენად გაცილებით სერიოზული ბერკეტები და ვალდებულებები ექნება, დამნაშავეთა გამოაშკარავება სახელმწიფოსაც უფრო გაუადვილდება.*

*სტრასბურგულ შეხვედრაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ევროსაბჭოს კორუფციასთან ბრძოლის საბჭოს ხელმძღვანელი, ყოფილი სლოვენიელი საფეხბურთო არბიტრი დრაგო კოსი, რომელმაც დეტალურად ილაპარაკა იმ სქემებზე, რომელთა წყალობითაც არალეგალური ტოტალიზატორები დიდ უკანონო ფულს შოულობენ. ამით, ძირითადად, აზიური საბუკმეკერო კანტორები არიან დაკავებულები, მაგრამ მათი სამოქმედო არეალი ევროპაცაა. ითქვა ისიც, რომ დროა, ფიფამ და უეფამ უფრო აქტიურად ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან. სწორედ ამ განცხადების გამოძახილი იყო ფიფასა და ინტერპოლს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.*

*შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ EPAS-ი იქცა ფეხბურთსა და პოლიტიკას შორის დამაკავშირებელ ყველაზე ეფექტურ რგოლად, რომელიც საფეხბურთო და მთლიანად სპორტული სამყაროს გაჯანსაღებაში დიდ როლს ითამაშებს".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაუსჯელობის სინდრომი

მოულოდნელი არაფერი მომხდარა: დარწმუნებული ვიყავით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის ორი დღის წინ გამოტანილ ვერდიქტს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვებოდა. შეგახსენებთ, რომ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობისათვის ხუთ ქართველ ფეხბურთელს (**როინ ონიანს, ლევან ვართაგავას, სპარტაკ გოგიას, კახაბერ კირთაძეს, გიგა ბეჭვაიას**) ალმასკომმა უმკაცრესი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოუტანა და სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ფეხბურთის გულშემატკივართა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობაც მიიჩნევს, რომ კონკრეტული შეხვედრების მანიპულაციაში მხილებული ფეხბურთელები სამართლიანად და, რაც მთავარია, სამაგალითოდ დაისაჯნენ; ანუ, წესითა და რიგით, სხვას არავის უნდა გაუჩნდეს იმის სურვილი, რომ მსგავს გარიგებებში მიიღოს მონაწილეობა, - ასეთ ფეხბურთელებს დანდობა არ ექნებათ და ისინიც ზემოთ დასახელებული ხუთი მოთამაშის ბედს გაიზიარებენ. თუმცა, გულშემატკივართა გარკვეული ნაწილი (ისევე, როგორც ამ სტრიქონების ავტორი) მიიჩნევს, რომ ასე გახმაურებულ ჩაწყობილ თამაშებში მხოლოდ და მხოლოდ ზემოთნახსენები ხუთი ფეხბურთელი არ იღებდა მონაწილეობას. ანუ, ჩვენს გარდა კიდევ ბევრია ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ გამოსააშკარავებელი და დასასჯელი სხვაც არაერთი ფეხბურთელია! ჰო, მართლაც ბევრია იმ აზრის, რომ კონკრეტული მატჩის „ჩაწყობაში" ამ ხუთ ფეხბურთელს აუცილებლად ეყოლებოდა „მოკავშირეები" (გნებავთ, თანამოაზრენი), თანაც, არა მხოლოდ თანაგუნდელებს შორის, არამედ - მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს შორისაც. თუმცა, გუშინაც ვთქვით და დღესაც გავიმეორებთ, რომ მაქსიმალურად ბევრი ფეხბურთელის (შესაძლოა, რამდენიმე ... გუნდისაც) გამოაშკარავება და, მერე მათი უმკაცრესად (ოღონდ, სამართლიანადაც) დასჯა არა მხოლოდ ჩვენი ჩემპიონატის, არამედ, საერთოდ, ქართული ფეხბურთის პრესტიჟს შელახავდა. ჰოდა, „გაირკვა", რომ ამ სეზონში ჩვენ ჩემპიონატში თუკი რაიმე უმსგავსობა მომხდარა, მხოლოდ და მხოლოდ ონიანს, ვართაგავას, გოგიას, კირთაძესა და ბეჭვაიას ჩაუდენიათ...

...XXII ჩემპიონატს ვატარებთ და უმაღლეს ლიგაში მსგავსი სიმკაცრით ვინმე დასჯილიყო (თანაც ერთდროულად ხუთი ფეხბურთელი), ვერ გაგვიხსენებია. კი, სხვადასხვა დროს (უმეტესწილად დაბალ ლიგებში) რამდენიმე ფეხბურთელისათვის ხანგრძლივი (ზოგს - სამუდამოც) დისკვალიფიკაცია მიუციათ, მაგრამ, უფრო ხშირად ეს ვერდიქტი მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის გამოჰქონდათ. საერთოდ კი, პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული, მართლაც უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა ამა თუ იმ სეზონში სკანდალი აგორდებოდა ხოლმე; თუმცა, ფაქტობრივად, უმეტეს შემთხვევაში, ყველაფერი... გუნდების დასჯით მთავრდებოდა და არა - კონკრეტული ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისა...

## ეჭვი და ქულები

როგორ ფიქრობთ, ამ 21 წლის განმავლობაში არ ყოფილა, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო მატჩები? რამდენიც გნებავთ, მაგრამ ერთი-ორი შემთხვევა თუ გვახსენდება, გუნდებისათვის ქულები სწორედ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობისათვის რომ დაუკლიათ. ოღონდ, ასეთმა საეჭვო მატჩებმა XXI საუკუნის დასაწყისისათვის მოიმატა, თორემ მანამდე კლუბებს ქულებს ბევრად უფრო „საფეხბურთო მიზეზების" გამო აკლებდნენ (ან, წაგებას უთვლიდნენ). ასე მაგალითად, პირველ, მეორე და მესამე ჩემპიონატში ამა თუ იმ გუნდს წაგებას იმიტომ უსჯიდნენ, მატჩი მართლაც არანორმალურ ვითარებაში რომ მიმდინარეობდა: ტრიბუნიდანაც და მოედანზეც მსაჯისა თუ მეტოქის მიმართ არნახული ზეწოლა ხორციელდებოდა, მერე შეხვედრა შეწყდებოდა და დამნაშავე გუნდსაც წაგებას მიარტყამდნენ ხოლმე. ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გუნდებს წაგებას მატჩზე გამოუცხადებლობის გამო მიუსჯიდნენ (ხვდებით, ალბათ, თუ რომელ წლებზეა საუბარი); ისეთი ფაქტებიც ყოფილა, როცა მასპინძელ გუნდს წაგება იმის გამო ჩაუთვალეს, რომ... სათამაშო მოედანი ვერ უზრუნველყო და ასე შემდეგ. მერე, ქულების ჩამოკლებაც „წამოვიდა": მაგალითად, 1997-98 წლების სეზონში „დინამოსა" და „სიონს" ხუთ-ხუთი, ხოლო — „მერანი-91"-ს კი შვიდი ქულა ჩამოაკლეს, მაგრამ ყოველივე ეს არც ერთი ამ გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე არ ასახულა. რასაც ვერ ვეტყვით ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან სასჯელზე, ჩვენს ჩემპიონატში რაც მომხდარა: 2003-04 წლების სეზონის ბოლოს ჩატარებული „ოქროს მატჩი" დიდი სკანდალით დამთავრდა და ამის გამო „სიონს" მეორე ეტაპზე მოპოვებული ყველა ქულა ჩამოერთვა! ანუ, ბოლნისურ კლუბს ის არ ეყოფოდა, რომ „ოქროს მატჩი" წააგო, მეორე ადგილიც „წაართვეს" და ამით ყველაზე ძალიან „თბილისმა" იხეირა, „სიონის" ნაცვლად ევროტურნირების საგზური რომ მოიპოვა. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა ჩემპიონატის დაწყების წინ საწევრო თანხის არქონის გამო გუნდებისთვის ქულები ჩამოუკლიათ; ეგ კი არა, ფინანსური გარანტიების ვერწარმოდგენის გამო, სხვადასხვა დროს რამდენიმე კლუბი („რუსთავი", „კოლხეთი", „ტორპედო", „ჭიათურა") უმაღლესი ლიგიდან მოუკვეთავთ. რა თქმა უნდა, ისეთი მატჩებიც გვახსენდება, ორივე გუნდს წაგება რომ ჩათვლია: ტრიბუნებზე თუ უშუალოდ მოედანზე მომხდარი უწესრიგობების გამო. ერთ-ერთი ასეთი მართლაც ხმაურიანი შეხვედრა 2004-05 წლების სეზონის მიწურულს იყო, როცა „ტორპედოსა" და „თბილისის" მატჩი დიდი ჩხუბის გამო ჩაიშალა; არანაკლები სკანდალური გამოდგა წინა სეზონში „ზესტაფონისა" და „ოლიმპის" დაპირისპირება, როცა 1:1-ზე მოედანზე... მეორე ბურთი „შემოვარდა", რასაც სერიოზული ჩხუბი მოჰყვა (ისე, ამ ბურთის „შემომგდები" დღესაც ვერ დაუდგენიათ, თუ ვინ იყო, — არადა, „ოლიმპის" სათადარიგოთა სკამიდან რომ ისროლეს, ფაქტია)...

## გარიგება და კურიოზები

სამი წლის წინათ ისეთი მატჩის მომსწრენიც გავხდით, როცა ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელმა, თავისი გუნდი... მოედნიდან გაიყვანა: მიზეზი მისი გუნდის კარში დანიშნული პენალტი და ორწუთიან მონაკვეთში ორი ფეხბურთელის გაძევება იყო; რაღა თქმა უნდა, ამ კლუბსაც 0:3 წაგება ჩაეთვალა; ისე, როგორც იმავე სეზონში მოასპარეზე კიდევ ერთ გუნდს, შესვენების შემდეგ... მოედანზე რომ არ გამოვიდა (ფეხბურთელებმა ასე გამოხატეს პროტესტი ხელფასების გადაუხდელობის გამო). მოკლედ, არაერთი მსგავსი შემთხვევის გახსენება შეიძლება, ისე როგორც ისეთი მატჩებისა, ჯერ „გარიგებულად" რომ უცვნიათ და ორივე მხარისთვის სასჯელი გამოუტანიათ, თუმცა სულ მალე სრული რეაბილიტაციაც რომ მომხდარა (მარშანდელი „სიონი"-„სპარტაკის" მატჩს ვგულისხმობთ, „უემოციოდ" რომ შეფასდა). ალარაფერს ვამბობთ იმ მართლაც ყბადაღებულ ტერმინზე, „პრიორიტეტების არჩევა" რომ ეწოდა: ერთი გუნდი მეორეს თასის ფინალისკენ „გზას დაულოცავდა", სამაგიეროდ, ჩემპიონატში უბრძოლველი და გარანტირებული 3 (შესაძლოა, მეტიც) ქულა ელოდა იმავე მეტოქისაგან. მაგრამ, ასეთ რამეებზე რეაქცია არავის ჰქონდა: აბა, მიდი და დაამტკიცე, მატჩი გარიგებული იყოო!

... 2000-01 წლების სეზონში იყო მხოლოდ, გარიგებულ მატჩში მონაწილეობის გამო ორივე კლუბს წაგება რომ ჩაეთვალა: ფოთის „კოლხეთსა" და თბილისის „მერანი-91"-ს; აი, სხვა დროს კი ჩაწყობილ თამაშში მონაწილეობისათვის ჩვენთან არავინ დაუსჯიათ. ერთადერთი, ამ საკითხთან ოდნავ „მიახლოებული" ვერდიქტი 1995 წლის 31 მაისს ჩატარებული ორი მატჩის გამო იყო გამოტანილი.; VI ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ ყველაფერი გარკვეული იყო, გარდა იმისა, თუ ვინ გახდებოდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი: „ტორპედოს" თავდამსხმელს **მამუკა ხუნდაძეს** 25 გოლი ჰქონდა გატანილი, ხოლო ფოთის „კოლხეთის" ნახევარმცველს (!) **გიორგი დარასელიას** - ერთით მეტი. ბოლო ტურში ორივე პრეტენდენტს უმოტივაციო მეტოქეები ჰყავდა და ამიტომაც ყველანი ვფიქრობდით, რომ ხუნდაძესა და დარასელიას სამ-სამი ან ოთხ-ოთხი გოლის გატანა არ უნდა გასჭირვებოდათ. თუმცა, ორივე მატჩი ისეთი ანგარიშით დასრულდა და ორივე კონკურენტმა ისე მოინდომა, მაშინათვე ბუნებრივი ეჭვი გაჩნდა: „ტორპედომ" მეტოქე „საპოვნელა" 11:4 დაამარცხა, ხოლო „კოლხეთმა" უფრო „მოკრძალებული" სხვაობით აჯობა „სამგურალს" — 10:5! თანაც, რაც მთავარია, ხუნდაძემაც და დარასელიამაც მეტოქეთა კარში... ცხრა-ცხრა (!) გოლი გაიტანეს, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ნოდარ ახალკაცი-უფროსის** გადაწყვეტილებით, ორივე მატჩის შედეგი გაუქმდა, ოთხივე გუნდს კი 0:3 წაგება ჩაეთვალა...

ბოლოს ერთი-ორ კურიოზულ მატჩზეც; საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ისეთი ორთაბრძოლებიც ყოფილა, როცა მასპინძელ გუნდს წაგება... თამაშზე გამოუცხადებლობის გამო ჩათვლია; ისეთი შეხვედრაც ყოფილა, მასპინძელთა განაცხადში... 9 ფეხბურთელი რომ იმყოფებოდა და, სხვათა შორის, ის მატჩი ფრიად „საინტერესო" ანგარიშითაც დამთავრებულა — 3:4; თანაც, სტუმართა კარში სამივე გოლი ერთსა და იმავე ფეხბურთელს გაუტანია! თუმცა, ყველაზე კურიოზული მაინც V ჩემპიონატში მომხდარი ფაქტი იყო: გურჯაანის „ალაზანმა" რუსთავის „გორდას" 2:1 მოუგო, მაგრამ მაინც წაგება ჩაუთვალეს, მიზეზი კი ის იყო, რომ მასპინძელთა ერთ-ერთი ფეხბურთელი (თანაც, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი) მსაჯმა მოედნიდან გააძევა, მაგრამ ამ გაძევებულმა ფეხბურთელმა ის მატჩი... ბოლომდე ჩაამთავრა! ისე, კიდევ კარგი, 1993 წელს მსოფლიოს წამყვანი ტოტალიზატორები საქართველოს ჩემპიონატით არ ინტერესდებოდნენ, თორემ „ალაზანისა" და „გორდას" მატჩში მომხდარ მართლაც კურიოზულ ფაქტს, წარმოიდგინეთ, რა გაგრძელება მოჰყვებოდა...

**გია ტუხაშვილი**

## ლეგიონერები



ჯანო ანანიძე



ალექსანდრე ამისულაშვილი

# ხალხი გამოგვირჩა
## ამისულაშვილი ნიღბით ითამაშებს

რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე ტრავმირებული ქართველებიდან თითქმის ყველა მომჯობინდა ან მალე დაუბრუნდება მოედანს. მაგალითად, მოსკოვის "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი კარპინმა** მოსკოვის ცსკა-სთან შეხვედრამდე "სპორტ-ექსპრესს" უთხრა, რომ მატჩს გამოტოვებს **ჯანო ანანიძე**, მაგრამ მას უკეთესობა ეტყობა და შესაძლოა, მალე მოედანს დაუბრუნდესო.

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასა" და მახაჩყალის "ანჟის" შეხვედრა (რომელსაც რუსულ მედიაში დიდი სკანდალი მოჰყვა, მეტოქეებს გარიგებას აბრალებენ) მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** გამოტოვა, მაგრამ ტრავმა უკვე მოირჩინა და სათამაშოდ მზად არის.

**ოთარ მარცვალაძე** კი სრულად გამოჯანმრთელდა, რამაც, ჩვენი არ იყოს, ნიჟნინოვგოროდული კლუბის თავკაცები ძალიან გაახარა.

**გოჩა ხოჯავას** შესახებაც დამაიმედებელი ცნობაა – შემდეგ ტურში "ვოლგას" ისიც დაეხმარება.

"კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი** კრასნოდარში დაბრუნდა და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს, რადგან საერთო ჯგუფში ვარჯიშს ჯერ უკრძალავენ. საბედნიეროდ, მისი გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფად წარიმართა და მოედანს მალე დაუბრუნდება. "ჯვაროსნების" ცენტრალური მცველი ორიოდე დღის წინ გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც საგანგებოდ მისთვის დამზადებული დამცავი ნილაბი მოარგეს – სწორედ ამ ნილბით ივარჯიშებს და ითამაშებს ამისულაშვილი, რომლის არყოფნაც კლუბს ძალიან დაეტყო.

ცხადია, ხორვატია-საქართველოს 3 ივნისის თამაშამდე ეს სიახლეები გულშემატკივრებსაც აიმედებს და ეროვნული ნაკრების მწვრთნელებსაც.

**მერაბ მამულაშვილი**

# კაშია სანაკრებო შანსის მოლოდინშია

უეფას ოფიციალურ საიტზე ჰოლანდიური „ვიტესის" ქართველ მცველ **გურამ კაშიაზე** მცირე სტატიაა გამოქვეყნებული, სადაც იგი საქართველოს ნაკრებსა და თბილისის „დინამოზე" საუბრობს.

*„ძალიან მიხარია, რომ თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ნაკრებმა თამაშის ხარისხი და შედეგები მკვეთრად გააუმჯობესა. ვისურვებდი, ამ პროგრესში ჩემი წვლილი უფრო ხშირად შემეტანა. ნაკრებში თამაში იშვიათად მიწევს, ჯერჯერობით ჩემი დრო არ დამდგარა, მაგრამ თავდაუზოგავად ვიშრომებ და იმედიანად ვიქნები. მჯერა, დავიმსახურებ"*, - ამბობს კაშია.

რაც შეეხება "დინამოს": *„ჩემი პირველი გუნდის მატჩებს თვალს თითქმის ყოველთვის ვადევნებ. ამაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა, მაგრამ მსურს, კარიერა იქვე დავასრულო, სადაც დავიწყე. ბუნებრივია, ყოფილ თანაგუნდელებთან კონტაქტს ვინარჩუნებ. „დინამოს" მთავარ მწვრთნელ კახაბერ კაჭარავას ხშირად ვურეკავ და ძალიან მიხარია, რომ „დინამოში" საქმეები თანდათან უკეთესობისკენ მიდის. ბედნიერი ვიქნები, თუ ასეთი დიდი ტრადიციების კლუბი წარსულ დიდებას დაიბრუნებს და ახალ წარმატებებს მიაღწევს"*.



გურამ კაშია

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

### ვიფიქროთ: საბანკო გარანტიები და მინიმალური სახელფასო ზღვარი

# გინდა, არ გინდა, ასეა
# ფული გაქვს?



# ფეხბურთს ღარიბები თამაშობენ. ოღონდ: ფეხბურთი არ უნდა იყოს ღარიბი!

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის გადაწყვეტილებას მაქინატორებთან გარიგებული ფეხბურთელების დასჯის შესახებ, გულშემატკივრებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უმრავლესობა უკმაყოფილოა და უფრო შორს წასვლას ითხოვს. მათ კომენტარებში საინტერესო მოსაზრებები ამოვიკითხეთ და ზოგიერთს გაგაცნობთ:

- ვინ და რამ მიიყვანა ეს ხალხი აქამდე, ამაზე რატომ არ დაფიქრდნენ? მიზეზებთან არის საჭირო ბრძოლა, ვიდრე შედეგთან.

- ასეთი კლუბების პრეზიდენტებს და მწვრთნელებს ბევრჯერ უთქვამთ ჟურნალისტებთან, რომ ნასესხები ფულით დადიან გასვლით თამაშებზე, ასევე აგვარებენ კვების საკითხსაც და რითი ისტუმრებენ ამ ვალს, ასეთი მაიმუნობის გარდა?

- სანამ უფულო, უპატრონო გუნდები იქნებიან, ასე იქნება და სამწუხაროდ, ამაზე არავინ თქვა.

ცხადია, გარიგებაში მონაწილეობას მცირე ხელფასი და უფულობაც ვერ გაამართლებს, მაგრამ ძნელია, გულშემატკივართა ამ მოსაზრებებსაც არ დაეთანხმო. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაამტკიცეს, რომ პროფესიული ფეხბურთის ხელმძღვანელები არ ცდებოდნენ, როდესაც წლების წინ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის საბანკო გარანტიები მოითხოვეს. ცხადია, იდეალური და გამართული ჩემპიონატი მაშინაც არ გვქონია, მაგრამ უფულო გუნდები მოპოვებულ "საგზურებს" ვერ იფორმებდნენ, რადგან უმაღლესის "საბაჟოზე" პროფლიგა "წითელს" უნთებდა.

მაგალითად, საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატი დაწყებული არ იყო, როდესაც უმაღლეს ლიგას ორი გუნდი დაემშვიდობა. სეზონის დაწყებამდე ლიგამ მოითხოვა მინიმალური, 300-ათასლარიანი ფინანსური გარანტია, რამაც საჩხერის „ჩიხურა" და ქუთაისის „ტორპედო" შეიწირა.

"ჩიხურამ" მე-17 ეროვნული ჩემპიონატის გადათამაშებაში "გაგრასთან" მოგებით უმაღლეს ლიგაში ადგილი (2:1) შეინარჩუნა. თუმცა პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ფინანსური გარანტიები ვერ წარადგინა. ასევე გარანტიების არარსებობის გამო აეკრძალა უმაღლეს ლიგაში თამაში ქუთაისის „ტორპედოს" - ეს იყო უმძიმესი გადაწყვეტილება, რადგან ქუთაისი ყოველთვის ჩვენი ფეხბურთის ბურჯი იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჩანდა - უმაღლესში უფულო გუნდს არაფერი ესაქმება. თუკი ერთ გამონაკლისს დაუშვებდა, ლიგას სხვებიც შეღავათს მოსთხოვდნენ, რაც ცუდი პრეცედენტი გახდებოდა და ქართულ ფეხბურთს ასეთი პროტექციონიზმი არ წაადგებოდა.

ორი გაჭირვებულის ნაცვლად ლიგას შედარებით უზრუნველყოფილი ორი კლუბი დაემატა. ეს საერთო დონის გასაზრდელად მკაცრი, მაგრამ საჭირო გადაწყვეტილება იყო.

ვითარება შარშან შეიცვალა, როდესაც გამოცხადდა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კლუბები კერძო ბიზნესს გადაეცემოდა და გარანტიების მოთხოვნა დაირცხვინეს, უხერხულია, სოლიდურ კომპანიებს საგარანტიო წერილები ვთხოვოთ, ისედაც მილიონი ლარი უნდა გადაიხადონო.

ეს იყო შეცდომა, რადგან, ფაქტობრივად, სახელმწიფო სტრუქტურებს კლუბების დაფინანსება აეკრძალათ, კერძო ბიზნესი კი მხოლოდ ქუთაისის "ტორპედოსა" და ბოლნისის "სიონში" გამოჩნდა (თბილისის "დინამო" ისედაც კერძო საკუთრებაში იყო). "სამტრედია", ფოთის "კოლხეთი" და ზუგდიდის "ბაია" კი ბედის ანაბარა დარჩნენ. რა სამსახურიც გაუწია ამან ჩვენს ფეხბურთს, უეფასა და კუდ-ის გამოძიებებმაც დაამტკიცა, გარიგებულთაგან, უმთავრესად, სწორედ ამ გუნდების მოთამაშეები დაასახელეს.

დანაშაულის ალკვეთის საუკეთესო საშუალება მისი პრევენციაა, საგარანტიო წერილზე უარის თქმით კი პრევენციული ზომების ნაწილზე უარი ვთქვით. სწორედ ამის გამო ვფიქრობთ, რომ მომავალი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ფეხბურთის ფედერაციამ უნდა აღადგინოს საბანკო გარანტიები და თან უმაღლესი ლიგის ფეხბურთელის ხელფასის მინიმალური ზღვარიც უნდა დააწესოს. ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან შეიძლება გუნდმა 500-ათასლარიანი საგარანტიო წერილი წარადგინოს, მაგრამ ფეხბურთელს 200 ლარი დაუნიშნოს, რაც, ფაქტობრივად, მაინც უხელფასობას ნიშნავს, 200-ლარიანმა ფეხბურთელმა კი, დიდია ალბათობა, ცდუნებას ვერ გაუძლოს. რამდენი უნდა იყოს სახელფასო ზღვარი, 1000 ლარი თუ 1500, ამის განსაზღვრაც ადვილია.

1979 წელს მანჰეტენზე ნახევარი საათით შუქი გამოირთო და არ დარჩენილა მაღაზია, რომელიც არ გაეძარცვათ. და ეს მოხდა ქვეყანაში, სადაც არ იციან, რა არის საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ მომხდარმა ადამიანთა მცირე ნაწილს ბნელი ინსტინქტები გაუღვიძა.

ამერიკაში კი არა, ყველგან ასე მოხდებოდა, მეტ-ნაკლები მასშტაბით: ჩვენი ფეხბურთის უბედურება კი მუდამ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში არსებობაა – 200 და 300-ლარიანი ხელფასი ფეხბურთში სხვა არაფერია. ეს კი ადამიანთა სისუსტეებს აჩენს, როდესაც ტოტალიზატორის კაცი მოვა და 20 ათას ლარს ყვითელი ბარათის მიღებისთვის შემოგთავაზებს - მხოლოდ დასჯილ ხუთეულს არ ვგულისხმობ.

საბანკო გარანტიები და მინიმალური სახელფასო ზღვარის დაწესება ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად მაინც მოაგვარებს. ცხადია, ზღაპრების არ მჯერა და ასეთ შემთხვევაშიც გარიგდებიან ტოტალიზატორები და ფეხბურთელები, საქმის კურსში კი კვლავ იქნება "ტრენერი", მაგრამ კრიმინალურ მოვლენებს მაინც ნაკლები გასაქანი მიეცემა. პრევენციის მიზანი კი დანაშაულის ალკვეთა- შემცირებაა.

ამით უპირველესად ფედერაცია უნდა იყოს დაინტერესებული, რადგან ჩემპიონატი, სადაც ფეხბურთელი 200 ლარს იღებს, პრესტიჟული ვერასოდეს გახდება და კარის უკან მდგომ აუტ-კუთხურების აღმრიცხავ "ჩინელსაც" მოედანზე მყოფი ბევრი ფეხბურთელი დაელაპარაკება სიხარულით.

**მერაბ მამულაშვილი**

### საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა, XXX ტური

#### კოლხეთი (ხ)-გურია 1:1

07.05. ხობი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 თ. სივსივე (88), 1:1 ც. ბუკია (90)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. ფარფალია, გ. გოგენია, ლ. გოგენია (46. თ. ღლონტი), ვ. ფირცხელავა, ლ. მეფიშვილი, ც. ბუკია, ო. ფიფია, ბ. ბუკია, გ. ლომაია (46. ი. კუტალია), რ. ცობეხია (46. მ. ჭკადუა).

სათადარიგოები: გ. ხუნჭუა, ლ. ჩაჩიბაია, პ. გაბრავა, რ. ჩიტაია

მთავარი მწვრთნელი: კ. ხურცილავა

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე (90. გ. კუკულაძე), გ. შეწირული, ბ. წერეთელი, ს. ფირცხალაიშვილი, გ. კვიტაიშვილი (77. ზ. რაზმაძე), ნ. ტოროტაძე, ი. კილაძე (68. ბ. ტულუში), თ. სივსივე, ი. დეისაძე.

სათადარიგოები: ი. ხვედელიძე, გ. თოლორდავა, ნ. ებრალიძე

მთავარი მწვრთნელი: ი. ფაცურია

გაფრთხილება: ბ. ბუკია, ლ. გოგენია, გ. ლომაია, მ. ჭკადუა, გ. ფარფალია; ნ. ტოროტაძე, რ. კუკულაძე, ბ. ტულუში

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

#### ადელი-დინამო (ბ) 1:0

07.05. ბათუმი. ადელი. 300 მაყურებელი

1:0 ზ. გობეჯიშვილი (4)

ადელი: ი. დევაძე, მ. ფუტკარაძე, ნ. წულუკიძე, გ. ხაჩიძე, ს. კახიძე, დ. ჯალაღანია (76. ა. ლორია), ზ. გობეჯიშვილი (80. ზ. მჟავანაძე), გ. ფალავანდიშვილი, ა. აბუსერიძე, ნ. ნასუაშვილი, ჯ. მერაბიშვილი

სათადარიგოები: ლ. კვანტალიანი, გ. სირაბიძე, ნ. დავითაძე, გ. ქოქოლაძე, მ. რომანაძე

მთავარი მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე

დინამო: რ. თევდორაძე, მ. ფარტენაძე, ზ. ლობჟანიძე, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი (86. ლ. კალანდაძე), მ. ჟვანია (46. მ. ჯორბენაძე), გ. მანწკავა, თ. ბერიძე, დ. სამსეიშვილი, ე. გრიგალაშვილი (63. ვ. თევდორაძე), ა. ბაციკაძე.

სათადარიგოები: შ. მამინაშვილი, ლ. რამიშვილი

მთავარი მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

გაფრთხილება: ნ. ნასუაშვილი, ა. ლორია; კ. მაკარიანი, გ. მანწკავა

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია)

#### ლოკომოტივი-ჭიათურა 3:1

07.05. საგურამო. „ლოკომოტივის ბაზა".
100 მაყურებელი

1:0 ა. შენგელია (7), 2:0 ლ. კვარაცხელია (10), 3:0 გ. შარანგია (66), 3:1 ჯ. ლაშხი (80)

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, გ. მჭედლიშვილი (78. ა. ძიძიგური), ზ. გვაძაბია, ნ. ჭანტურია, დ. საჯაია, ა. შენგელია, ბ. მახარაძე, გ. ბოჭორმელი, ლ. კვარაცხელია (46. გ. შარანგია), დ. დარცმელია, მ. ხოკერაშვილი (73. მ. მაკარაშვილი)

სათადარიგოები: გ. ასლამაზაშვილი, ნ. შერაზადაშვილი, დ. გაბელია, გ. ხატიაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ლ. ჭალიაშვილი

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ნ. ტყემალაძე (15. გ. ზაბახიძე), გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ლ. ქურდაძე, დ. ტაბატაძე (85. გ. მეცხოვრიშვილი), ვ. ჯელაძე (71. ჯ. ლაშხი), ზ. ნოზაძე, ლ. ცუცქირიძე, ლ. კობახიძე

სათადარიგოები: ა. დარბაიძე, თ. კურტანიძე

მთავარი მწვრთნელი: ა. სევასტოპულო

გაფრთხილება: დ. ტაბატაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

#### მერცხალი-ჩიხურა 1:1

07.05. ჩოხატაური. ბორის პაიჭაძე.
300 მაყურებელი

1:0 მ. ქობულაძე (49), 1:1 ი. გვეტაძე (88)

მერცხალი: გ. გოგუა, ვ. ტუტოიანი, ვ. რამიშვილი, სერგო გ. ჩიგოგიძე, ზ. ტულუში, კ. ნაკაიძე (72. თ. ცეცხლაძე), ზ. ხურციძე, მ. ქობულაძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, რ. ჭეიშვილი, ლ. ჩხაიძე (87. ლ. ათუაშვილი).

სათადარიგოები: ი. მურუსიძე, ლ. კოტრიკაძე, ი. ბაჯელიძე, ო. ჭელიძე, ნ. ხინთიბიძე

მთავარი მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

ჩიხურა: გ. ბეგაშვილი, ნ. მაჭარაშვილი (53. ა. ივანიშვილი), ლ. ჩაგელიშვილი, ი. გვეტაძე, ე. ზივზივაძე, ი. ზაბახიძე (76. გ. ქიმაძე), ი. ტყეშუჩავა, დ. ქამუშაძე, თ. მეტრეველი (84. ბ. დემეტრაშვილი), ბ. პეტრიაშვილი, დ. ჩაგელიშვილი

სათადარიგოები: შ. დოლაძე, გ. იაკობაშვილი, გ. ცარციძე

მთავარი მწვრთნელი: ს. ფრუიძე

გაფრთხილება: რ. ჭეიშვილი, ლ. ჩხაიძე; გ. ბეგაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი.

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

#### დილა-სქური 2:0

07.05. გორი. „თ. ბურჯანაძე". 500 მაყურებელი

1:0 ა.სირბილაძე (20), 2:0 ა. სირბილაძე (25)

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ჭითანავა, გ. ქარჭუზაშვილი, ლ. თედიაშვილი, ი. ლომიძე, ნ. ნოზაძე (52. დ. ტლაშაძე), ვ. ჯოჯუა, ვ. ნემსაძე, რ. ახალკაცი (56. ა. კვარაცხელია), ა. სირბილაძე, რ. გოგინაშვილი (75. ი. ბარამიძე)

სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, ვ. რუსიშვილი, ო. ცარიელაშვილი, გ. მიხანაშვილი

მთავარი მწვრთნელი: გ. ცეცაძე

სქური: ვ. ჯომიდავა, ბ. გვილია, ბ. სვანიძე, თ. გერგედავა, ზ. მოლაშხია, დ. რაფავა (69. დ. ჩახაია), ბ. გუჯეჯიანი, ი. მალიჩავა (46. გ. აკობია), ლ. ქანთარია, გ. ჭკუასელი, დ. კუტალია (79. ა. მიქენაია)

სათადარიგო: ტ. ხარჩილავა

მთავარი მწვრთნელი: ვ. გულორდავა

გაფრთხილება: დ. ტლაშაძე; თ. გერგედავა

არბიტრი: ბ. ნინუა (ქუთაისი)

#### სამგურალი-იმერეთი 2:3

07.05. წყალტუბო. „26 მაისი".
300 მაყურებელი

1:0 ზ. ქუთათელაძე (17), 2:0 გ. უგულავა (48), 2:1 რ. კვერნაძე (61), 2:2 ი. ასათიანი (86), 2:3 თ. ხარებავა (90)

სამგურალი: დ. ხურცილავა, ლ. ცხადაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. ჩიხლაძე (46. ი. შალიკაშვილი), ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, ზ. კუხალაშვილი, გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე (84. მ. მესხი), ლ. ნავერიანი.

სათადარიგოები: ბ. ფირცხალავა, ლ. მესხი, გ. ბუხაიძე, ზ. სალინაძე, გ. თევდორაძე

მთავარი მწვრთნელი: ტ. მანაგაძე

იმერეთი: ი. შენგელია, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, რ. კაშია (37. ა. მეტონიძე), თ. ხარებავა, ჯ. ლოლუა (78. გ. ქობალია), მ. ჩხარტიშვილი, ბ. ჩხეტიანი, ლ. კირკიტაძე, რ. კვერნაძე, გ. ცაგარეიშვილი (56. ი. ასათიანი).

სათადარიგოები: ვ. კახეთელიძე, ჯ. ჯანელიძე, გ. უგლავა, დ. ხაბურძანია

მთავარი მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ლ. ცხადაძე, ნ. უგრეხელიძე, ზ. კუხალაშვილი; ჯ. ლოლუა, ი. შენგელია

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

#### ჩხერიმელა-ნ. დინამო 1:1

07.05. ხარაგაული. „ს. აბაშიძე".
200 მაყურებელი

1:0 ჯ. ავალიშვილი (74), 1:1 ნ. ხარაბაძე (87, საკუთარ კარში)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ც. ხარაბაძე, ლ. მახარაძე, ა. ლაბაძე (51. გ. თურმანიძე), გ. ზაქარაშვილი (52. კ. ძაგანია), გ. კუხიანიძე (85. ვ. თაბუკაშვილი), რ. ჩიხლაძე, ჯ. ავალიშვილი

სათადარიგოები: კ. კუბლაშვილი, გ. გიორგობიანი, ლ. გუმბერიძე, მ. ლომსაძე

მთავარი მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ჩუბინიძე, ვ. კაკაშვილი, გ. ლომიძე, თ. ნემსინვერიძე, ზ. ძაგანია, ო. გაგნიძე (85. ი. მახათაძე), გ. გურაბანიძე, ბ. ახალბედაშვილი (78. გ. ჯაჭვაძე), ლ. ლაბარტყავა (89. დ. ქიმერიძე), მ. ლომაია.

სათადარიგოები: თ. ცინცაბაძე, თ. ქარია

მთავარი მწვრთნელი: ვ. გაგუა

გაფრთხილება: ლ. ლაბარტყავა

არბიტრი: კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

#### გაგრა-მარტვილი 3:1

08.05. თბილისი. „მერანი". 800 მაყურებელი

1:0 ლ. კალანდაძე (18), 2:0 შ. კვანტალიანი (25), 3:0 მ. ნაკონეჩნი (29), 3:1 გ. თოდუა (35)

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ნ. ჯიშკარიანი, მ. ნაკონეჩნი, ლ. შარიქაძე, ი. ხუციძე, ა. ოვონიკოკო (39. დ. ციცხვაია), ვ. ორდინსკი (86. გ. გაბედავა), შ. კვანტალიანი (79. დ. გიგაური)

სათადარიგოები: ლ. ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, მ. კობერიძე, ბ. გედენიძე

მთავარი მწვრთნელი: ა. პისკოვეცი

მარტვილი: ჯ. შეროზია (29. ლ. გორდეზიანი), ვ. იობაშვილი, გ. ჟვანია, თ. კაკუშაძე (70. მ. ტაპე), ლ. ჩალაძე, გ. ილურიძე, ჟ. იატრო (32. გ. წონორია), გ. მემანიშვილი, გ. ამბროლაძე, ლ. კუჭუხიძე, გ. თოდუა

სათადარიგოები: ი. ფაცაცია, კ. მელიავა, ო. ტორაძე, დ. ბერუაშვილი

მთავარი მწვრთნელი: მ. ჟვანია

გაფრთხილება: ნ. ჯიშკარიანი, შ. კვანტალიანი; გ. წონორია, გ. ჟვანია

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | [illegible] | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 28 | 21 | 5 | 2 | 67-16 | 68 |
| 2. მარტვილი | 29 | 19 | 7 | 3 | 53-15 | 64 |
| 3. დილა | 29 | 17 | 9 | 3 | 52-21 | 60 |
| 4. ჩიხურა | 28 | 17 | 5 | 6 | 52-24 | 56 |
| 5. ბათუმი | 28 | 15 | 8 | 5 | 57-15 | 53 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 28 | 11 | 10 | 7 | 26-29 | 43 |
| 7. გურია | 29 | 13 | 4 | 12 | 49-55 | 43 |
| 8. ჩხერიმელა | 28 | 7 | 12 | 9 | 34-40 | 33 |
| 9. მეშახტე | 28 | 9 | 5 | 14 | 30-40 | 32 |
| 10. იმერეთი | 28 | 9 | 4 | 15 | 30-38 | 31 |
| 11. ნ/დინამო | 28 | 9 | 4 | 15 | 35-52 | 31 |
| 12. მერცხალი | 29 | 8 | 7 | 14 | 40-61 | 31 |
| 13. ლოკომოტივი | 28 | 7 | 6 | 15 | 29-42 | 27 |
| 14. ადელი | 28 | 8 | 2 | 18 | 32-50 | 26 |
| 15. სამგურალი | 28 | 7 | 5 | 16 | 33-55 | 26 |
| 16. ჭიათურა | 28 | 6 | 5 | 17 | 24-64 | 23 |
| 17. სქური | 28 | 6 | 4 | 18 | 24-50 | 22 |

## ქართველი მსაჯი ევროპის ჩემპიონატზე, სამეული შვეიცარიულ კურსებსა და ლიგაში

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც სერბეთში მიმდინარეობს, საქართველოდან ფიფას ასისტენტი **გიორგი ყრუაშვილია** მიწვეული. გიორგიმ, რომელიც ცნობილი ქართველი არბიტრის, **კარლო ყრუაშვილის** შვილიშვილია, ჯგუფური ეტაპის სამი მატჩი იმსაჯა – დანია-ინგლისი, დანია-საფრანგეთი და ჩეხეთი-რუმინეთი. უეფას დამკვირვებლებმა მისი მუშაობა დადებითად შეაფასეს და ნახევარფინალურ მატჩზეც გაამწესეს. არც ისაა გამორიცხული, ყრუაშვილი ფინალის ასისტენტადაც დანიშნონ.

ცნობისათვის, ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობს ინგლისის ნაკრები, რომელიც პირველ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს მეტოქე იყო და თბილისში ამ გუნდების მატჩი 1:1 დასრულდა. რაც შეეხება **კობა ჟორჟიკაშვილის** საელიტრაუნდო მეტოქე საფრანგეთს, რომელთანაც მარტში 0:2 დავმარცხდით, იგი ჯგუფში ინგლისმა ჩატოვა. ევროპის ჩპირველობის ნახევარფინალში ერთმანეთს ჰოლანდია-ინგლისი და დანია-გერმანია შეხვდებიან.

მივუბრუნდეთ სამსაჯო თემას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, შვეიცარიის ქალაქ ნიონში იმყოფებოდა სამი ახალგაზრდა ქართველი მსაჯი – არბიტრი **თორნიკე გვანცელაძე** და ასისტენტები, **დავით ჩიგოგიძე** და **ლევან ვარამიშვილი**. მათ მონაწილეობა მიიღეს უეფას მიერ ორგანიზებულ სამსაჯო კურსებზე, რომელიც იმართება პერსპექტიული მსაჯებისთვის, რომელთაც აქვთ პოტენციალი, მოხვდნენ საერთაშორისო მსაჯების ან ასისტენტების სიაში. ათი დღის განმავლობაში ქართველმა მსაჯებმა გაიარეს ლექციებისა და პრაქტიკული ვარჯიშების კურსი საუკეთესო პედაგოგების მეთვალყურეობით. ამ კურსის ხელმძღვანელები არიან უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრები **იაპ ულენბერგი** და **დევიდ ელერეი**, ხოლო მენეჯერი და ორგანიზატორია **ივან კორნუ**, უეფას სამსაჯო ადმინისტრაციის ყოფილი შეფი.

ქართველებს ჰყავდათ პირადი მწვრთნელიც – ესტონელი **უნო ტუტკო**, რომელიც გამოცდილი, ყოფილი საერთაშორისო არბიტრია. მათ იმსაჯეს ერთი თამაში შვეიცარიის მესამე ლიგაშიც.

პროგრამის ფარგლებში ჩვენი არბიტრები ნახევარ წელიწადში კვლავ გაემგზავრებიან ნიონში, სადაც მათ სხვადასხვა სამსაჯო ასპექტში პროგრესის დონესა და ინგლისური ენის ცოდნის ხარისხს შეუმოწმებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



სკანდალი



ლორდი ტრისმენი

# ლორდი ტრისმენი მექრთამეების წინააღმდეგ

ფიფა თხემით ტერფამდე დამპალი ორგანიზაცია ყოფილა — ყოველ შემთხვევაში, თუ ის, რაც ინგლისელმა ლორდმა **ტრისმენმა** თემთა პალატის წინაშე ბრძანა მართალია, მაშინ ასე თქმის სრული უფლება გვაქვს. ლორდი ტრისმენი, 2008-2010 წლებში თავისი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე გახლდათ. გარდა ამისა, ინგლისი 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებისთვის მისი ხელმძღვანელობით იბრძოდა. და აი, ეს, საქმეში უკიდურესად ჩახედული ადამიანი ბრძანებს, რომ ფიფას აღმასკომის ექვსი წევრი მექრთამეა. ისინი მას ფულს სთხოვდნენ და სანაცვლოდ 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობას ჰპირდებოდნენ.

სურათს ის ამძიმებს, რომ მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატთან დაკავშირებით ცალკე გამოძიება მიმდინარეობს — გაჩნდა ეჭვი, რომ კიდევ ორ დიდმოხელეს ყატარელებმა მისცეს ქრთამი. ლაპარაკია **ისა ჰაიატუსა** და **ჟაკ ანუმაზე**. პირველი კამერუნელია, მეორე კი კოტ დ'ივუარელი. როგორც თემთა პალატისთვის გაზეთ „სანდი თაიმსის" ჯერაც გამოუქვეყნებელი მასალებიდან გახდა ცნობილი, მათ ყატარისთვის ხმების მისაცემად 1,5 მილიონი დოლარი გამოურთმევიათ. ახლა ამას დაამატეთ, რომ ფიფას აღმასკომის სხვა ორი წევრი უკვე მოკვეთილია (მათაც გაზეთებმა გაუხეთქეს საქმე) და მივიღებთ, რომ დეკემბრის თვეში, ციურიხში, რუსებსა და ყატარელებს, 2018 და 2022 წლების მუნდიალები, არც მეტი, არც ნაკლები, დანაშაულებრივი გზით მიუთვისებიათ.

ინგლისის პარლამენტის წევრმა **დემიენ კოლინზმა** თქვა: *„სანდი თაიმზის" მიერ მოგროვილი მასალების თანახმად, ისა ჰაიატუმ და ჟაკ ანუმამ მილიონ-ნახევარი დოლარი აიღეს და კენჭისყრის დროს ხმა ყატარს მისცეს. ამავე საქმეში ნახსენებია აფრიკის კონტინენტის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ნიგერიელი* **ამოს ამადუ**, *თუმცა მას ხმის უფლება ჩამოართვეს".*

ტრისმენმა, რომელიც უკვე ორჯერ გამოვიდა პარლამენტარების წინაშე ფარდა ახადა ფიფას აღმასკომის წევრთა კვარტეტისა და მის ურთიერთობას. მან ახსენა ტრინიდადელი **ჯეკ უორნერიც**. ამ ადამიანმა ინგლისელთა პროექტი ყველაზე მეტად გააკრიტიკა, თუმცა ციურიხში, კენჭისყრის წინ პრინც **უილიამს** პირობა მისცა, რომ ხმას სწორედ ინგლისს მისცემდა.

ტრისმენი იგონებს, რომ 2009 წლის ოქტომბერში, უორნერმა მას და პრემიერლიგის თავმჯდომარე სერ **დეივ რიჩარდსს** უთხრა, ტრინიდადში 2,5 მილიონ ფუნტად საგანმანათლებო ცენტრის აშენებას ვაპირებ და მინდა, რომ ეს თანხა თქვენ გამოგართვათ. კარგი იქნება, თუ მას პირადად მე მომცემთ, მე კი გარანტიას გაძლევთ, რომ ის მხოლოდ დანიშნულების მიხედვით დაიხარჯებაო. იყო კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც უორნერმა ინგლისელებს ფული სთხოვა. ეს უკვე ჰაიტის მიწისძვრის შემდეგ მოხდა. უორნერს 500 ათასი ფუნტი უნდოდა, რათა, როგორც თავად ამბობდა, სატელევიზიო უფლებები შეესყიდა და მის ხალხს მსოფლიოს ჩემპიონატი ენახა.

ლორდი ტრისმენი ერთ მეტად სახალისო ამბავსაც ჰყვება. ის ამბობს, რომ პარაგვაელმა **ნიკოლას ლეოსმა** პრინც უილიამთან სადილობის დროს ინგლისის მომავალ მონარქს... სერის ტიტული, ანუ ბრიტანეთის იმპერიის რაინდის წოდება სთხოვა. როგორც ჩანს, ლეოსს ფული არ აკლია.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდო ტეიშეირას** ტრისმენი 2009 წელს, ყატარში, ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრებების ამხანაგური შეხვედრის შემდეგ შეხვდა. მაშინ ტრისმენს კოლეგისთვის მისი ქვეყნის პრეზიდენტ **ლულასთან** შეხვედრა უთხოვია — 2018 წლის მუნდიალთან დაკავშირებით მოლაპარაკება სურდა. ტეიშეირას პასუხი ასეთი იყო: *„ლულას არავინ ჰკითხავს. თუ რამე გინდათ, ჩემთან მოდით, ოღონდ ჯერ მითხარით, ჩემთვის რა გექნებათ".*

და კიდევ ერთი — შეხვედრა ტაილანდელ **ვორავი მაკუდისთან**, რომელთან ურთიერთობის ეშხითაც ინგლისელებმა სისულელე ჩაიდინეს და ბანგკოკში სანაკრებო ამხანაგურ შეხვედრას დაჰყაბულდნენ. ეს თამაში, წესით, ახლა, ივნისში უნდა გამართულიყო, მაგრამ ციურიხის ფიასკოს შემდეგ გადაიდო. მაკუდის ტრისმენისთვის ამ შეხვედრის ტრანსლაციის უფლება უთხოვია — პირადად უნდოდა მთელი შემოსავალი დარჩენოდა.

ერთი სიტყვით, დეკემბერში, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში, ინგლისელებმა მხოლოდ ორი ხმა მიიღეს. ერთი თავად ინგლისელმა **ჯეფ ტომსონმა** მისცა, მეორე კი ზემოთ უკვე ნახსენებმა ჰაიატუმ, რომელსაც ყატარელებისგან ფულის აღება ედება ბრალად.

თემთა პალატაში ლორდი ტრისმენის მონაყოლმა გააჩინა ბუნებრივი კითხვა — რატომ არ მიმართა თავად ფიფას დაუყოვნებლად? ლორდმა უპასუხა, რომ სანამ ციურიხში კენჭისყრა არ ჩატარდა, მანამდე სკანდალის ატეხა ვერ გაბედა, რადგან შეეშინდა, რომ მის გამო ინგლისს პროექტს ჩაუგდებდნენ.

ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა**, რომელიც მეოთხე ვადით აპირებს თანამდებობაზე დარჩენას, თქვა:

*„თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშინ ბრძოლაში ჩავებმები. მე ვალდებული ვარ, ფიფას გასაწმენდად, ფიფასთვის ვიბრძოლო. პირადად ამა თუ იმ პიროვნებაზე კი ვერაფერს ვიტყვი. ვერავისზე ვიტყვი, რომ ანგელოზი ან დემონია".*

პირველი, ვინც ლორდი ტრისმენის ნათქვამს გამოეხმაურა ზემოხსენებული ტაილანდელი ვორავი მაკუდი იყო. მან თქვა, რომ ტაილანდისა და ინგლისის ნაკრებების შეხვედრის ტრანსლაციის უფლება თავისთვის კი არა, ქვეყნისთვის სურდა. უორნერი ამბობს, რომ ლორდი ტრისმენის პოლიტიკური კარიერა დაღმასვლას განიცდის და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფი სისულელეებითა და სკანდალით ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას.

ამბავს, რა თქმა უნდა, გაგრძელება ექნება.

გამოხმაურება

# სითი შინა და სითი გარეთა

„მანჩესტერ სიტიმ" ოცნება აისრულა — „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" 1:0 გამარჯვების შემდეგ ისტლენდელებმა მეოთხე ადგილი გაინაღდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოვლენ. ბედის ირონიაა: შეხვედრის ერთადერთი გოლი ლონდონელმა **პიტერ კრაუჩმა** თავის კარში გაიტანა. ეს ის კრაუჩი გახლავთ, რომელმაც ერთი წლის წინ, ამავე სტადიონზე, ამავე გუნდების შეხვედრაში, ბურთი „სიტის" კარში შეაგდო და „სფურზი" გაიყვანა მეოთხეზე — „მანჩესტერ სიტი" და „ტოტენჰემი" ორი წელიწადია მეოთხე ადგილს ეცილებიან ერთმანეთს.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ისტლენდელთა აუსრულებელი ოცნება გახლდათ 2008 წლის შემდეგ, რაც კლუბი არაბმა მილიარდერებმა იყიდეს და მის განვითარებაში დიდძალი ფული ჩადეს. ლიგაში ვერგასვლა უელსელ მწვრთნელ **მარკ ჰიუზს** თანამდებობის დატოვებად დაუჯდა, მისმა შემცვლელმა, იტალიელმა **რობერტო მანჩინიმ** კი სანადელს მეორე სეზონში მიაღწია. მეტიც, შაბათს, ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში გამარჯვებით მანჩინის შეუძლია ისტლენდელებს პირველი ჯილდოც მოაპოვებინოს.

„მანჩესტერ სიტი" ევროპის ყველაზე დიდ საკლუბო შეჯიბრებაში 43 წელიწადია არ გამოსულა. საინტერესოა აგრეთვე, რომ მეოთხე ადგილის დაბევებით „სიტიმ" ასოციაციის თასის ფინალის მეტოქეს, „სტოკს" საქმე გაუკეთა - როგორც უნდა დამთავრდეს ფინალი სტოკელები ევროლიგაში გამოვლენ.

რობერტო მანჩინის, რომელიც უკვე 17 თვეა ისტლენდელებს ხელმძღვანელობს, კარგად ესმის მიღწევის მნიშვნელობა და ამბობს:

*„მეოთხე ადგილზე გასვლა ჩემი სამსახურის შენარჩუნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა უპირველეს ყოვლისა მიხარია, რომ ფანებს უდიდესი სიხარული მივანიჭეთ. დღეს ჩვენი კლუბის ყველა თანამშრომელი ბედნიერია.*

*„მანჩესტერ სიტის" ძალიან ბევრი წელიწადია ჩემპიონთა ლიგაში არ უთამაშია და ამიტომაც არის დღევანდელი წარმატება განსაკუთრებული. ისტლენდზე პირველად რომ დავდგი ფეხი, ვთქვი, რომ ორ-სამ წელიწადში ჩვენ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გავხდებოდით. „სიტის" ამისათვის ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ფეხბურთელებს უნდოდათ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა და იბრძოლეს, რათა ეს სურვილი აესრულებინათ. მათ ფანტასტიკურად იმუშავეს".*

მანჩინიმ ყურადღება არ მიაქცია არგენტინელი ვარსკვლავის, **კარლოს ტევესის** გაბრაზებას — მწვრთნელმა ტევესი მოედანზე თამაშის მიწურულს, 83-ე წუთზე შეუშვა, რათა ტრავმის შემდეგ მას „მუხლი გაეშალა". რამდენიმე დღეში ხომ ასოციაციის თასის ფინალია და კაპიტანი იქ იქნება საჭირო. მოგეხსენებათ, არგენტინელი ამ სეზონში ძალიან ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას და საერთოდაც კონფლიქტური ადამიანი ჩანს.

*„თამაშით ვიყავი გართული და ყურადღება არც მიმიქცევია, რა თქვა ტევესმა. მე მას ვუთხარი კარგად გახურებულიყო, რადგან ფაქტობრივად მხოლოდ ორი წუთით უნდა შესულიყო მოედანზე, პასუხი კი, გულწრფელად გეუბნებით, არ გამიგონია.*



ტოტენჰემთან მოგებით მანჩესტერ სიტიმ ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა

*დღეს კარლოსს მეტი ხნით ვერ ვათამაშებდი. მეორე ტაიმში, მთელი 25 წუთის განმავლობაში გვიჭირდა, რადგან „ტოტენჰემი" ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა და ძალიან გვიტევდა. არა უშავს, მთავარი იყო ტევესს ხუთი წუთი მაინც დაეყო მოედანზე.*

*ამ შეხვედრაში იმდენი ენერგია დავხარჯეთ, რომ შაბათამდე ძალების აღდგენა გაგვიჭირდება. არადა, ნურავინ იფიქრებს, რომ „სტოკ სიტისთან" იოლი თამაში გველის".*

ახლა, პრემიერლიგაში ყველა გუნდს ორი თამაშიღა დარჩა და „მანჩესტერ სიტის" თავი ქუდში აქვს — ველარც „ლივერპული" დაეწევა და ვერც „ტოტენჰემი". ამიტომაც იზეიმეს სამშაბათის გამარჯვების შემდეგ. მანჩესტერელთა 24 წლის მეკარე **ჯო ჰარტმა** თქვა:

*„ჩემპიონთა ლიგაში გასვლა უდიდეს რამეს ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გავემგზავრებით მადრიდში „რეალთან" სათამაშოდ, მილანში „ინტერსა" და „მილანთან" შეჯიბრებისთვის... მეტი რა უნდა გინდოდეს ფეხბურთელს? ახლა ჩვენ ჯილდოს მოპოვება გვჭირდება და ეს შაბათს უნდა გავაკეთოთ".*

მცველი **ვენსან კომპანი** კიდევ უფრო შორს წავიდა, ცხრილს ჩახედა, დაინახა, რომ მესამე ადგილზე მყოფ „არსენალთან" ორად ორი ქულა აშორებთ და თანაგუნდელებს „მეთოფეების" გადასწრებისკენ მოუწოდა. მოგეხსენებათ, მეოთხე გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე მისასვლელად პლეიოფში მოუწევს ბრძოლა, მესამე კი პირდაპირ „დიდ ლიგაში" ამოყოფს თავს.

*„ის რომ ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ სასიხარულოა, მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ვფიქრობ, ახლა „არსენალისთვის" მესამე ადგილის წართმევა უნდა ვცადოთ. ყველამ ვიცით, რომ ლონდონელებმა შეიძლება დაკარგონ ქულები, ჩვენ კი, ვფიქრობ, დარჩენილი თამაშების მოგება შეგვიძლია".*

„მანჩესტერ სიტის" შემდეგ სამშაბათს „სტოკ სიტის" მასპინძლობა უწევს (სტოკელებთან ზედიზედ ორი თამაში გამოსდის), ბოლო ტურში კი ბოლტონს მიემგზავრება.

სატრანსფერო ამბები

# სესკი დიდ ქალაქში

**რობერტო მანჩინი** „მანჩესტერ სიტის" გაძლიერებას აპირებს და გულში 24 წლის **სესკ ფაბრეგასის** ყიდვა ამოუჭრია. ფაბრეგასი, მოგეხსენებათ, „არსენალის" კაპიტანია, რომელსაც „მეთოფეთა" ლამაზი, მაგრამ უშედეგო ფეხბურთი მოყირჭდა და მშობლიურ „ბარსელონაში" დაბრუნებას ცდილობს.

მანჩინის ჰკითხეს, დღეს პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებიდან, ჩემპიონთა ლიგაში, ყველაზე მეტად, რომელი გამოგადგებოდათო. „ქალაქელების" იტალიელმა თავკაცმა მოკლედ უპასუხა: *„სესკ ფაბრეგასი"!*

როგორც გითხარით, ფაბრეგასს „ბარსელონაში" დაბრუნება სწადია, „არსენალი" კი ცდილობს კოპები შეკრას — იმეორებს ჩემს კაპიტანს არ ვყიდიო. მაგრამ, რას იზამენ „მეთოფეები", თუკი რობერტო მანჩინი 50 მილიონი ფუნტით მიუკაკუნებს კარს? მერე რა, რომ ასეთი თანხის გადახდა „სიტის" სატრანსფერო ხარჯებს 200-მილიონიან ზღვარს მიღმა გადაიყვანს — ისტლენდელთა პატრონებს ფული აქვთ და შეუძლიათ თავს ფეხბურთელის ძვირად ყიდვის უფლება მისცენ. კიდევ, მანჩინის 29 წლის **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** შეძენა სურს. ის შვედ ფორვარდს ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობს, „ინტერს" რომ ედგა სათავეში. მათ ერთად იტალიის ჩემპიონის ტიტული, „სკუდეტო" მოიგეს. დღეს იბრაჰიმოვიჩი „ბარსელონას" საკუთრებაა, მაგრამ კატალონიელებს „მილანში" ჰყავთ გაქირავებული. შვედის სატრანსფერო ღირებულება 20 მილიონი ფუნტის ფარგლებში უნდა იყოს.



სესკ ფაბრეგასი

იბრაჰიმოვიჩის ყიდვა მანჩინიმ შეიძლება იმიტომაც დააჩქაროს, რომ, როგორც თავად აღიარებს, **კარლოს ტევესი** ზაფხულში იტალიაში აპირებს გადაბარგებას. ასახელებენ კონკრეტულ გუნდსაც — 27 წლის არგენტინელის ყიდვა მწვრთნელის ყოფილ კლუბ „ინტერს" ნდომებია. მართალია, ტევესი მოედანზე თავდაუზოგავია და, მიმდინარე სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად, 22 გოლი გაიტანა, მისი ურთიერთობა მწვრთნელთან და სხვა ისტლენდელებთან, თავიდანვე წინააღმდეგობრივი იყო. თუ გახსოვთ, დეკემბერში ის გუნდიდან გაქცევასაც კი ცდილობდა, მაგრამ, შემდეგ აიძულეს დარჩენილიყო... როგორც ჩანს, ზაფხულამდე. თუმცა, მანჩინი ამ თემაზე ლაპარაკისას მაინც თავშეკავებულია:

*„კარლოსმა ჯერ კიდევ დეკემბერში მითხრა, რომ იტალიაში უნდოდა წასვლა, მაგრამ იმედი მაქვს გადაიფიქრებს. ყოველ შემთხვევაში, თუ დარჩება, მე ბედნიერი ვიქნები".*

„ქალაქელთა" იტალიელმა თავკაცმა დასძინა, რომ „სიტიდან" არსად წავლენ სხვა თავდამსხმელები, **ედინ ჯეკო** და **მარიო ბალოტელი**.

*„აი, ნახავთ, რამდენ გოლს გაიტანს ედინი მომავალ სეზონში. რაც შეეხება მარიოს, ის, რასაკვირველია, არსად წავა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. 1/2 ფინალი

# უკან მილანი, წინ ფინალი



„პალერმომ" გაიხარა

| პალერმო-მილანი | 2:1 (2:2) |
|---|---|

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ - კასანი, გოიანი, ბოვო, ბალცარეტი - მილიაჩო, აკვა (34. ბაჩინოვიჩი), ნოჩერინო - ილიჩიჩი, პასტორე (74. მუნოზი) - ერნანდესი (83. პინილია).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა (80. კასანო), ტიაგო სილვა, ანტონინი (45. ბონერა) - ვან ბომელი, ფლამინი, პირლო - ზეედორფი (65. იბრაჰიმოვიჩი) - რობინიო, პატო.

**გოლები:** 1:0 მილიაჩო (63), 2:0 ბოვო (73-პენ.), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (90).

**გაძევება:** ბოვო (75) - ვან ბომელი (72).

„სტადიო რენცო ბარბერაზე" „პალერმომ" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა „მილანი" და ისტორიაში მესამედ გავიდა იტალიის თასის ფინალში. 70-იან წლებში „პალერმომ" ორჯერ ზედიზედ მიაღწია გადამწყვეტ პაექრობას, თანაც მაშინ სერია B-ში ასპარეზობდა, თუმცა ორივეჯერ დამარცხდა - ჯერ „ბოლონიასთან", შემდეგ კი „იუვენტუსთან". და აი, 32 წლის შემდეგ, სიცილიური გუნდი კვლავ ფინალშია და ამჯერად, „ინტერთან" მოუწევს შეტოქება. **დელიო როსის** გუნდის წარმატებას ნახევარფინალურ ეტაპზე „მილანის" ჩამოცილება კიდევ უფრო ფასეულს ხდის, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, სიცილიას **მასიმილიანო ალეგრის** სამწყსო ჩემპიონის რანგში ესტუმრა. ბუნებრივია, უფრო მოტივირებული სწორედ „პალერმო" იყო და არა მისი ტიტულოვანი მეტოქე, მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც სკუდეტო უკვე მოგებული გაქვს, დიდი ცდუნებაა თასისთვისაც იბრძოლო და დუბლი შეასრულო. ასეა თუ ისე, კუნძულელებმა იძალეს და სრულიად დამსახურებულად შეეტოქებიან „ინტერს".

როდესაც „მილანის" დარ გუნდზე გვაქვს საუბარი, შემადგენლობების ძირითად და სათადარიგოებად დაყოფა მიზანშეუწონელია. მაგალითად, ალეგრიმ რეზერვში დატოვა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა და იტყვის, რომ სასტარტოში გამწესებული **რობინიოა** სათადარიგო, ან იგივე **ალეშანდრე პატო**. თუნდაც ნახევარდაცვა ავიღოთ, სადაც მართალია **ჯენარო გატუზო, მასიმო ამბროზინი** და **კევინ პრინც ბოატენგი** ვერ ვიხილეთ, მაგრამ არც მათ შემცვლელებს: **ანდრეა პირლოს, მატია ფლამინის** და **მარკ ვან ბომელს** აქვთ ნაკლები წონა. ძირითადში იყო **კლარენს ზეედორფი**, რომელიც ვგონებთ ერთადერთი შუახაზელია, ბოლო პერიოდში მუდმივად რომ სასტარტო თერთმეტეულში ხვდება.

დელიო როსიმ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და მხოლოდ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი დააყენა **ერნანდესი**, რომელსაც უკნიდან **პასტორე-ილიჩიჩის** ტანდემი დაახმარა. მათ უკან **მილიაჩო, აკვა** და **ნოჩერინო** მოქმედებდნენ, რომელთა მთავარი ფუნქცია მილანელთა იერიშების ჩაშლა გახლდათ. როგორც თამაშის მიმდინარეობამ გვიჩვენა, ჩაშლასთან ერთად, შექმნაც შესანიშნავად გამოუვიდათ და ამაზე მილიაჩოს მიერ გატანილი გოლი მეტყველებს. ეს ამბავი შეხვედრის მეორე ნახევარში, 63-ე წუთზე მოხდა და შეიძლება ითქვას, რომ „მილანი" საბოლოოდ გატეხა. მილიაჩო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და ჩანოდებულ ბურთს ვარდნაში დაჰკრა თავური, 1:0. სტუმრებს ორი გოლი სჭირდებოდათ ფინალში გასასვლელად, რაც თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე, წარმოუდგენლად მოსჩანდა. გაშვებულ გოლამდე „მილანი" უფერულად უტევდა, გუნდი თითქოს დაცლილი იყო ენერგიისგან და ფეხბურთელები მოვალეობის მოხდის მიზნით დარბოდნენ მინდორზე. შედეგად, სიცილიელებმა მეორე გოლი გაიტანეს და უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადეს - თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად **ჩეზარე ბოვომ** შეასრულა და ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრები ალტაცებაში მოიყვანა, 2:0.

გულშემატკივრებმა ორი გაძევება იხილეს - 72-ე წუთზე მარკ ვან ბომელმა ითამაშა ჩვეული სიხისტით და იტალიური კარიერის ამ მოკლე პერიოდში მეორეჯერ აუფრიალეს წითელი ბარათი, სულ მალე კი მისი ბედი გოლის ავტორმა, ჩეზარე ბოვომაც გაიზიარა - „პალერმოს" მცველმა სათამაშო ეპიზოდში ფეხი ჩაარტყა სახეში პატოს, რომლის მოსულიერებასაც რამდენიმე წუთი დასჭირდა. მოკლედ, გუნდებმა ათ-ათი ფეხბურთელით ჩაამთავრეს თამაში, რომლის ბოლო აკორდი ზლატან იბრაჰიმოვიჩის კიპერთან პირისპირ გასვლა და არაფრის მომცემი გოლი გახლდათ, 2:1 და „პალერმო" ფინალშია...

ნამატჩევს მასიმილიანო ალეგრიმ მეტოქე შეაქო, საკუთარი შეგირდების კრიტიკისგან კი თავი შეიკავა: „მეტოქემ შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა და დამსახურებულად გავიდა ფინალში. არც ჩვენ გვითამაშია ცუდად, ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს რაც შეეძლოთ, მაგრამ ამჯერად, საფეხბურთო ღმერთი ჩვენს მხარეს არ იყო. გვქონდა რამდენიმე საკმაოდ კარგი მომენტი, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვცოდავდით, ერთ ეპიზოდში კი იბრაჰიმოვიჩზე აშკარად დაარღვიეს წესები და არბიტრს პენალტი უნდა დაენიშნა. თუმცა, არ იფიქროთ, რომ მარცხში ვინმე სხვას ვადანაშაულებდე, უბრალოდ ფაქტი აღვნიშნე. მთლიანობაში, საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და შეგირდებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს".

დელიო როსი მთელი შეხვედრის განმავლობაში ძალიან ემოციური იყო - როდესაც ბოვო პენალტს ურტყამდა, ზურგი შეაქცია მოედანს და გულშემატკივართა რეაქციით მიხვდა, რომ მისი გუნდი ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდა. მატჩის შემდეგ, სიცილიელთა თავკაცმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „მეტოქედ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავდა და მხოლოდ ძალების სრული მობილიზებით იყო შესაძლებელი ამ ბარიერის გადალახვა. საბედნიეროდ, ეს შევძელით და შეგირდების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სამხრეთ იტალიაშიც შესაძლებელია ძლიერი გუნდის გაკეთება, რომელიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევს გრანდებს. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც გაავსეს ტრიბუნები და მხურვალედ გვიქომაგებს - ბედნიერი ვარ, რომ მათი გახარება შევძელით".

**ლაშა წიკლაური**

● გადაძახილი

# გალიანიმ მორატი გააჩუმა

**მასიმო მორატიმ** ერთხელ უკვე განაცხადა, რომ „მილანმა" ღირსეულად მოიგო სკუდეტო და მიულოცა კიდეც თანაქალაქელს ეს დიდი წარმატება. თუმცა, ჟურნალისტებმა მაინც არ მოასვენეს „ინტერის" პრეზიდენტი და ისეთი რამ ათქმევინეს, რასაც შემდეგ უკვე „როსონერის" ბანაკში გამოეხმაურნენ. ჯერ მორატის კომენტარს გავეცნოთ და შემდეგ უკვე „მილანელოზე" გადავინაცვლოთ:

„თანაქალაქელი დამსახურებულად გახდა ჩემპიონი, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ იმაში კი ვერავის დავეთანხმები, რომ დღეს „მილანი" „ინტერზე" ძლიერია. მართალია, ჩემპიონობა თავისთავად საუკეთესოობას ნიშნავს, მაგრამ ხანდახან არც მთლად ასეა საქმე. უბრალოდ, მიმდინარე სეზონში ჩავარდნა გვქონდა, არ წაგვივიდა თამაში, რასაც მწვრთნელთა ცვლილებები დაემატა და სწორედ ამით ისარგებლა ჩვენმა მთავარმა კონკურენტმა. მართალია „როსონერი" სკუდეტოს მფლობელია, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენ კვლავაც მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის მოქმედი გამარჯვებულები ვართ. ამასთან, იტალიის ჩემპიონები ხუთჯერ ზედიზედ გავხდით, ასეთი შედეგისგან კი თანაქალაქელები ძალიან შორს არიან".

იტალიელი ჟურნალისტები უმალ **ადრიანო გალიანის** შეეხმიანენ, მორატიმ ესე და ესე თქვაო, მისგან კი შემდეგი მოისმინეს: „მასიმო მორატის დიდ პატივს ვცემ, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია და ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს, მაგრამ ხანდახან არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს. ძალიან კარგად დაუთვლია, რამდენი სკუდეტო მოიგო მიჯრით „ინტერმა" და როდესაც საკლუბო მუნდიალით აპელირებს, არც იმის დათვლა უნდა ეშლებოდეს, „მილანი" რამდენჯერ გახდა ამ ტურნირის, იგივე საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. და საერთოდ, საერთაშორისო ტიტულებზე ლაპარაკი „ინტერისტებისთვის" მთლად მომგებიანი არ უნდა იყოს - ისევ მათთვისვე ჯობია ტიტულებსა და მიღწევებზე დავა ქვეყნის ფარგლებს არ გასცდეს".

მორატიმ პოლემიკის გაგრძელებისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ გალიანის პასუხი ნაკლებად აინტერესებს. პრინციპში, სენიორ ადრიანო მართალია - საერთაშორისო სარბიელზე „ინტერს" ძალიან გაუჭირდება „მილანთან": კონკურენცია და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ნერაძური" ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის მოქმედი გამარჯვებულია.

**ლაშა წიკლაური**



მასიმო მორატი (მარცხნივ) და ადრიანო გალიანი

● ვოლფსბურგი



ვოლფსბურგელების მთავარი იმედი მარიო მანჯუკიჩია (მარჯვნივ)

# მგლების იმედი მანჯუკიჩია

## ხორვატმა თავდამსხმელმა გოლების გატანა ყველაზე საჭირო მომენტში დაიწყო

გადარჩენა, პლეი ოფი მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანთან თუ ელიტიდან გავარდნა? გერმანიის 2009 წლის ჩემპიონი „ვოლფსბურგი" სენსაციური ტრიუმფიდან 2 წლის შემდეგ, უკანასკნელი ტურის წინ მძიმე მდგომარეობაშია. შაბათს, ბუნდესლიგის საფინიშო ტურში „მგლები" „ჰოფენჰაიმს" სტუმრობენ და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. მართალია, მწვრთნელ-მენეჯერის პოსტზე დაბრუნებულმა **ფელიქს მაგათმა** რაღაც-რაღაცების გამოსწორება შეძლო, მაგრამ იმდენი მაინც ვერ მოახერხა, რომ ვოლფსბურგელებისთვის გადარჩენა ბოლო ტურამდე გაენაღდებინა. შესაბამისად, გუნდი, რომელიც ორი წლის წინ გერმანიის ჩემპიონი იყო, ახლა მე-15 ადგილის დაკავებაზე ოცნებობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ახლა კარგ ფორმაშია და რომლის იმედიც მთელ ვოლფსბურგს აქვს, 24 წლის ხორვატი თავდამსხმელი **მარიო მანჯუკიჩია**, რომელსაც მაგათის წინამორბედები, ჯერ **სტივ მაკლარენი**, მერე კი **პიერ ლიტბარსკი** არასწორ პოზიციაზე ათამაშებდნენ, ფელიქსის ხელში კი, როგორც იქნა, გოლების გატანა დაიწყო. შესაძლოა, მანჯუკიჩი „ვოლფსბურგის" გადარჩენის მთავარი გარანტი გახდეს.

33-ე ტურამდე ვოლფსბურგელებს სამმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ და იმ სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს კიდეც (4:1 კიოლნთან და 1:0 ვერდერთან), რამაც ყველას აფიქრებინა, რომ გერმანიის 2009 წლის ჩემპიონს ბოლო ტურში ნერვიულობა აღარ მოუწევდა, მაგრამ წარმატებულ სერიას საკუთარ მოედანზე „კაიზერსლაუტერნთან" წაგება მოჰყვა. „მგლები" „ფოლკსვაგენარენაზე" 1:2 დამარცხდნენ და მანჯუკიჩი მართლა ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელმაც მაგათს იმედი დაუტოვა - მარიომ მე-6 წუთზევე შეძლო „კაიზერსლაუტერნის" კარში გოლის გატანა. სხვა საქმეა ის, რომ ვოლფსბურგელებს ეს გოლი არ ეყოთ.

ეს მანჯუკიჩის მეექვსე გოლი გახლდათ ამ სეზონის მეორე წრეში. გეთანხმებით, ეს არ არის საუცხოო შედეგი (მით უმეტეს თავდამსხმელისთვის), მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ წინა ზაფხულში ნაყიდ ხორვატს ფორვარდს პირველ წრეში ერთი გოლიც არ გაუტანია, მივხვდებით, რომ მანჯუკიჩმა მაგათის ხელში აშკარად პროგრესი განიცადა. ამ ყველაფერიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ „ვოლფებს" იანვარს აქეთ **ედინ ჯეკო** აღარ ჰყავთ, მანჯუკიჩი, რომელიც 21 მაისს 25 წლის ხდება, დღესდღეობით „ვოლფსბურგის" მთავარი იმედია.

მანჯუკიჩი გერმანულ კლუბში წინა ზაფხულში, ზაგრების „დინამოდან" გადავიდა. ხორვატიის ნაკრების 18-გზის მოთამაშეს, „დინამოს" რიგებში 110 მატჩში 52 გოლი ჰქონდა გატანილი და მისგან ბუნდესლიგაშიც გოლებს ელოდებოდნენ, მაგრამ მისი ვოლფსბურგული კარიერა ძალიან ცუდად დაიწყო, რაც მეტწილად „მგლების" ყოფილი მწვრთნელის, **სტივ მაკლარენის** ბრალია. მარიო ცენტრალური თავდამსხმელია, რომელიც მუდმივად საჯარიმოში უნდა მოძრაობდეს, ინგლისელი სპეციალისტი კი 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ხან მარცხენა, ხანაც მარჯვენა გარემარბად ათამაშებდა.

როგორც ჩანს, მანჯუკიჩს სწორედ მაგათი სჭირდებოდა იმისათვის, რომ გოლების გატანა დაეწყო და კითხვაზე, რა მოუხერხა მარიოს ისეთი, რომ ხორვატი ფორვარდი ასე რადიკალურად შეიცვალა უკეთესობისკენ, „დესპოტმა ფელიქსმა" ჩვენს გერმანელ კოლეგებს ძალიან მარტივად უპასუხა: „არც არაფერი... უბრალოდ, ყველა ფეხბურთელს აქვს თავისი საყვარელი პოზიცია და მარიო ახლა სწორედ ასეთ პოზიციაზე თამაშობს."

ამრიგად, შაბათს „ვოლფსბურგი" სწორედ მანჯუკიჩმა უნდა გადაარჩინოს, რადგან ისევე, როგორც ქომაგებს, სხვა ლიდერების იმედი აღარც მაგათს აქვს. მაგალითად, გერმანელი ექსპერტები ასი პროცენტით დარწმუნებულები არიან იმაში, რომ მაგათი ზაფხულში დიეგოს თავიდან მოიშორებს, რადგან ასეთ არაშრომელ და ზარმაც მოთამაშეებს ვერ იტანს. რაც მთავარია, „ვოლფსბურგის" ბედი „ვოლფსბურგის" ხელშია, რასაც გავარდნის სხვა კანდიდატებზე, მიონხენგლადბახის „ბორუსიასა" და მით უმეტეს, ფრანკფურტის „აინტრახტზე", ნამდვილად ვერ ვიტყვით.

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

## ბოატენგი: ბალაკის დამტვრევამ კარიერა ამიწყო

განის ნაკრებისა და „მილანის" ნახევარმცველი **კევინ-პრინს ბოატენგი** მიიჩნევს, რომ მის კარიერაში მთავარი და გარდამტეხი როლი ერთი წლის წინ **მიხაელ ბალაკისთვის** უმძიმესი ტრავმის მიყენებამ ითამაშა. „ცხადია, ეს არ მინდოდა, ნამდვილად არ მსურდა, რომ მერე მთელი გერმანიის საგინებელი გავმხდარიყავი. შესაბამისად, რაკი ბალაკის დამტვრევის შემდეგ გერმანიაში პერსონა ნონ გრატად გამომაცხადეს, ორმაგად მოვინდომე და მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი შესაძლებლობები დავამტკიცე. ბალაკის ტრავმამ ჩემს კარიერაზე ძალიან კარგად იმოქმედა. მუნდიალზე კარგი თამაშის შემდეგ „მილანში" გადავედი და დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ვთამაშობ და თანაც, იტალიის ჩემპიონი გავხდი," - ბედნიერია 24 წლის საყრდენი ნახევარმცველი.

## სანია, ბაიერნის ახალი სანიოლი?

„ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნი" ლონდონის „არსენალის" ფრანგი მცველით, **ბაქარი სანიათი** დაინტერესდა. თუ ტრანსფერი განხორციელდა, 28 წლის სანია რეკორდმაისტერს დაცვის მარჯვენა ფლანგზე გააძლიერებს - როგორც იცით, მიუნხენში უკვე გადაწყვიტეს, რომ მომდევნო სეზონში კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** მარცხენა მცველის პოზიციაზე უნდა ითამაშოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავარიელებს ახალი მარჯვენა მცველი სჭირდებათ.

ამრიგად, დიდი შანსია, რომ სანია „ბაიერნისთვის" ახალი **ვილი სანიოლი** გახდეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ლონდონური კლუბი ფრანგს მინიმუმ 10 მილიონ ევროდ აფასებს. სანიას „არსენალთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. კლაუსურა. XIII ტური

# სუპერკლასიკოს წინ

## რივერი: ჩემპიონობისა და... გავარდნის კანდიდატი

**ნიუელსი–გოდოი კრუსი 1:3**

**გოლები:** 0:1 სიგალი (16), 0:2 დონდა (35), 1:2 ველასკესი (89), 1:3 კ. სანჩესი (90)

**კილმესი–ხიმნასია 2:2**

**გოლები:** 1:0 პ. ვასკესი (2), 1:1 ლ. კასტრო (31), 1:2 გრაფი (64), 2:2 კალინსკი (78)

**ურაკანი–ოლიმპო 1:2**

**გოლები:** 0:1 გალვანი (48), 1:1 კამპორა (50), 1:2 ბარეირო (91)

**ტიგრე–კოლონი 3:0**

**გოლები:** 1:0 მორალესი (33), 2:0 სტრაკვალურსი (56), 3:0 მორალესი (60)

**არსენალი–რასინგი 1:2**

**გოლები:** 0:1 ვიოლა (80), 0:2 ტორანსო (81), 1:2 ალუსტისა (83)

**ლანუსი–ესტუდიანტესი 0:0**

**გაძევება:** რეგეირო (64. ლანუსი)

**არხენტინოსი–ბოკა 0:2**

**გოლები:** 0:1 პალერმო (4), 0:2 რიკელმე (20)

**რივერი–ოლ ბოისი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჯილიოტი (36), 0:2 ხ. როდრიგესი (90)

**ინდეპენდიენტე–სან ლორენსო 1:1**

**გოლები:** 1:0 პარა (33), 1:1 სალგეირო (49)

**ველესი–ბანფილდი 2:0**

**გოლები:** 1:0 კუბერო (82), 2:0 რამირესი (90)

**მომდევნო ტურში არგენტინაში ყველა მხოლოდ ერთ თამაშზე ილაპარაკებს - 15 მაისს „სუპერკლასიკოა" - „რივერ პლეიტი" „ბოკა ხუნიორსს" მასპინძლობს. ახალგაზრდა ერიკ ლამელა ბებერი ხუან რიკელმეს წინააღმდეგ! დიდი ბრძოლა გველის. „რივერი" ჩემპიონატში 4 ქულით უსწრებს „ბოკას". მანამდე კი მე-13 ტურის მიმოხილვა იხილეთ...**

### ტურის მოვლენები

ზედ სუპერკლასიკოს წინ „რივერ პლეიტმა" შინ „ოლ ბოისთან" წააგო და „ველეს სარსფილდს" 4-ქულიანი ჰანდიკაპით დაწინაურების შანსი მისცა. სხვათა შორის, „მილიონარესმა" აპერტურაშიც წააგო ამ გუნდთან, რასაც მაშინ **ანხელ კაპას** გადაყენება მოჰყვა.

ზედიზედ 10 ტურია, ვერ იგებს „ესტუდიანტესი". ერთ დროს კლაუსურას მოგების პრეტენდენტები ახლა უიმედოდ ჩაეშვნენ ცხრილის შუაში. ასეთი გრძელი მოუგებელი სერია არავის აქვს ახლა არგენტინაში - „ხიმნასიას" 7 მატჩია არ მოუგია, „ურაკანს" - 6. ერთი მოუგებელი თამაშიც და ლაპლატელები თავიანთ 1995 წლის ანტირეკორდს გაიმეორებენ. აი, კიდევ ერთ ცუდ შედეგს კი **ედუარდო ბერიცოს** ნაღდად არ აპატიებენ და პოსტს დაატოვებინებენ, თუმცა მწვრთნელს არც ახლა აქვს კარგი პერსპექტივა - ყველაზე დიდი, სეზონის ბოლომდე მიაღწიოს.

„რასინგმა" უშუალო კონკურენტ „არსენალს" მოუგო და კოპა სუდამერიკანას საგზურისთვის ბრძოლაში დაწინაურდა.

### ტურის ციფრები

ტურში 25 გოლი გავიდა (2,5 მატჩში). კვლავ სტუმრებმა უფრო იყოჩაღეს - 14:11. დუბლი მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა შეასრულა, ეს „ტიგრეს" ათიანი **დიეგო მორალესია**, რომელმაც **დენის სტრაკვალურსისთან** ტანდემში „კოლონს" გამანადგურებელი მარცხი მიაყენა. სტრაკვალურსი 10 გოლით ერთპიროვნული ბომბარდირია (ზოგი გამოცემა მას 9 გოლს უთვლის). ლიდერს კვალში **ხავიერ კამპორა** მიჰყვება (8 გოლი), „ურაკანის" ერთადერთი ნათელი წერტილი.

### ტურის მატჩი

ინდეპენდიენტე VS სან ლორენსო

ორივე გუნდი თამაშობდა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს, ამიტომაც „კლასიკო" ძალიან კარგი სანახავი გამოდგა.

### ტურის გმირი

ხუან რიკელმე (ბოკა)

პირველ ტაიმში „ბოკა ხუნიორსი" მისი წყალობით ბურთს სრულად აკონტროლებდა, რიკელმა თავისი გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. **ფალსიონიმ** აღარ გარისკა და სუპერკლასიკოს წინ გუნდის ლიდერი დაასვენა. მწვრთნელი დარწმუნებული იყო, რომ ორგოლიანი უპირატესობა საკმარისი იყო მატჩის ლოგიკურ დასასრულამდე მისაყვანად. რიკელმეს გარეშე კი „ბოკამ" ბურთი დაკარგა, საკუთარ ნახევარზე „ჩაიკეტა" და, რომ არა **ლუკეტის** საიმედო თამაში კარში და „არხენტინოსის" ფორვარდების უგერგილო გარჯა, სულ სხვა შედეგს ვიხილავდით, მაგრამ „ხოჭოებმა" თავიანთი უდიდესი უპირატესობის გამოყენება ველარ შეძლეს.

### ტურის ანტიგმირი

ნიკოლას ნავარო (არხენტინოსი)

ეს მეკარე ძალზე საეჭვო რეპუტაციისაა. სწორედ მის გამო გამოვარდა „ფლუმინენსესთან" მატჩში „არხენტინოს ხუნიორსი", არადა, „ხოჭოებს" ფრეც ჰყოფნიდათ მერვედფინალში გასასვლელად. იმავე თამაშის დასრულების შემდეგ, მისმა ჟესტებმა ბრაზილიელ და არგენტინელ ფეხბურთელებს შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

„ბოკას" ორივე გოლი **ნავაროს** კისერზეა. პირველ შემთხვევაში **მოუჩეს** დარტყმული უხეიროდ მოიგერია და **მარტინ პალერმოს** დამატების საშუალება მისცა. მეორე გოლის შემთხვევაში კი ცოცხალი კედელი ძალზე სასაცილოდ დააყენა და რიკელმესაც მეტი რა უნდოდა. შემდეგ გოლკიპერი სულ ტყუილუბრალოდ ეცა მსაჯს, მეორე ტაიმში გამოსვლაზე ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა და ის მხოლოდ მცველმა იხსნა გოლისგან. მოკლედ, ნიკოლას ნავარო ნამდვილი ანტიგმირია.

### ტურის კურიოზი

შესაძლოა, არგენტინელები ბურთის ფლობის ისეთი ოსტატები არ არიან, როგორც მათი მეზობლები, მაგრამ ისინიც საკმაოდ გაშინაურებულნი არიან ამ მრგვალ საგანთან. ამიტომაც, მაყურებელს სიცილით არ ეყო, როცა **გუსტავო ობერმანმა** ჩაწოდებისას ბურთს ფეხი ააცილა.

### ტურის გოლები

**ლეანდრო ველასკესი** (ნიუელსი) „გოდოი კრუსის" კარში.

**მატიას ალუსტისა** (არსენალი) „რასინგის" კარში.

**დიეგო მორალესი** (ტიგრე) მეორე გოლი „კოლონის" კარში.

### ბრძოლა (გა)დარჩენისთვის

საოცარია, მაგრამ ფაქტია - არგენტინული სისტემის გადამკიდე, გავარდნის კანდიდატია გუნდი, რომელიც ერთდროულად ჩემპიონობისთვის იბრძვის! იქ ხომ ბოლო სამი სეზონის კოეფიციენტების მიხედვით ითვლიან გასავარდნთა სიას. ბოლო 2 გუნდი ეგრევე ვარდება, ხოლო კიდევ 2 პლეი ოფში ითამაშებს. იხილეთ ცხრილი.

| გუნდი | კოეფის. |
|---|---|
| 15. ინდეპენდიენტე | 1,268 |
| 16. რივერი | 1,268 |
| 17. ოლიმპო | 1,250 |
| 18. ურაკანი | 1,129 |
| 19. ხიმნასია | 1,101 |
| 20. კილმესი | 1,000 |

„კოპა ლიბერტადორესზე" ერთადერთი არგენტინული გუნდი დარჩა - „ველეს სარსფილდი". დღეისათვის, უდავოდ, საუკეთესო ქვეყანაში. პირველ მეოთხედფინალში „ველესი" პარაგვაულ „ლიბერტადს" მასპინძლობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 13 | 8 | 3 | 2 | 25-11 | 27 |
| 2. გოდოი კრუსი | 13 | 7 | 2 | 4 | 24-21 | 23 |
| 3. ოლიმპო | 13 | 6 | 4 | 3 | 24-18 | 22 |
| 4. რივერი | 13 | 6 | 4 | 3 | 11-8 | 22 |
| 5. ლანუსი | 13 | 5 | 5 | 3 | 16-11 | 20 |
| 6. სან ლორენსო | 13 | 5 | 4 | 4 | 15-10 | 19 |
| 7. არხენტინოსი | 13 | 4 | 7 | 2 | 10-7 | 19 |
| 8. ტიგრე | 13 | 5 | 4 | 4 | 18-16 | 19 |
| 9. რასინგი | 13 | 6 | 1 | 6 | 18-16 | 19 |
| 10. ბოკა | 13 | 5 | 3 | 5 | 14-15 | 18 |
| 11. ესტუდიანტესი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-13 | 18 |
| 12. ბანფილდი | 13 | 5 | 3 | 5 | 15-17 | 18 |
| 13. კოლონი | 13 | 5 | 2 | 6 | 14-19 | 17 |
| 14. ინდეპენდ. | 13 | 3 | 7 | 3 | 17-15 | 16 |
| 15. ოლ ბოისი | 13 | 4 | 4 | 5 | 10-14 | 16 |
| 16. არსენალი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-18 | 14 |
| 17. კილმესი | 13 | 3 | 4 | 6 | 18-21 | 13 |
| 18. ხიმნასია | 13 | 2 | 6 | 5 | 13-18 | 12 |
| 19. ურაკანი | 13 | 2 | 5 | 6 | 14-24 | 11 |
| 20. ნიუელსი | 13 | 2 | 2 | 9 | 13-27 | 8 |

**ბომბარდირები:** 10 - სტრაკვალურსი (ტიგრე); 8 - კამპორა (ურაკანი); 7 - გუტიერესი (რასინგი); 6 - ობოლო (არსენალი), ფუერტესი (კოლონი), ბარეირო (ოლიმპო).

**მომდევნო ტური**

**13 მაისი:** კოლონი-ურაკანი, გოდოი კრუსი-კილმესი.

**14 მაისი:** ხიმნასია-ბანფილდი, სან ლორენსო-არხენტინოსი, ოლ ბოისი-არსენალი, რასინგი-ნიუელსი.

**15 მაისი:** ესტუდიანტესი-ტიგრე, ბოკა-რივერი, ოლიმპო-ინდეპენდიენტე, ლანუსი-ველესი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რამირესის გოლმა ლიდერი 2:0 დაანინაურა

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXXV ტური



# ნაბიჯი წინ

**სენტ ეტიენი–ლილი 1:2**

**ლილი:** ლანდრო – როზენალი, ბერია, დებიუში, ბალმონი (გუეიე 23) - კაბაიე (დიუმონი 84), – შეჯუ, მავუბა, აზარი (სუარესი 90) – სოვი, დე მელო

**გოლები:** 1:0 რივიერი (5), 1:1 დე მელო (15), 1:2 მავუბა (67)

**პსჟ–ნანსი 2:2**

**პსჟ:** კუპე – სახო, კამარა, ჟალე, ტიენიე – შანტომი, კლემანი, ჟიული (ლანდრე 32), ნენე – ოარო, ერდინგი (მაკონდა 70)

**გოლები:** 1:0 ერდინგი (4), 1:1 ნგუემო (21) პენ, 2:1 კამარა (45), 2:2 ჰაჯი (69)

**გაძევება:** ჟალე (20) – ლემეიტრი (72)

35-ე ტური ჩემპიონატის ლიდერის მატჩით გაიხსნა. შეხვედრა ლიგა 1-ის პირველადგილოსნისთვის საკმაოდ რთულად წარიმართა, თუმცა "ძაღლებისთვის" ბოლოს ყველაფერი კარგად დასრულდა. "სენტ ეტიენს" "ჟოფრუა გიშარზე" მატჩის კარგად დაწყება საერთოდ დაცდილი აქვს და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ვეტერანმა **ლორან ბატლემ** ბურთი მინდვრის სიღრმიდან მიიღო, გავიდა მეკარესთან ერთი-ერთზე და დაარტყა, **მიკაელ ლანდრო** მეტოქეს ფეხებში ჩაუხტა, თუმცა ბურთი ვერ შეაჩერა და **ემანუელ რივიერმა** უკვე ცარიელი კარი დალაშქრა. ვერ ვიტყვით, რომ გაშვებულმა გოლმა "ლილი" ააფეთქა, თუმცა **რუდია გარსიას** ბიჭებმა მალევე შეძლეს წონასწორობის აღდგენა. **ფრანკ ბერიამ** მარცხენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, სადაც მას **ტულიო დე მელო** დახვდა. მართალია მეკარე **ჟერემი ჟანო** ბურთს მისწვდა, მაგრამ მოგერიება ვერ მოახერხა. "მწვანეებს" საპასუხო შეტევაშივე შეეძლოთ კიდევ ერთხელ დაწინაურება, არბიტრმა მათ კარში პენალტი დანიშნა, რომელიც ლანდრომ **ბაკარი საკოს** ფანტასტიკური ნახტომის წყალობით აულო.

ამის შემდეგ მეტად სახალისო ფეხბურთი გაჩაღდა – გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. იმავე საკომ "ლილის" კარის შორეულ, დაბალ კუთხეში ყუმბარისებური ბურთი გაუშვა, თუმცა ისევ ლანდრომ იყოჩაღა, ვინც მეორე აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი. მოედნის მეორე მხარეს კი ისევ დე მელომ გაიბრწყინა. ბრაზილიელმა მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა. კოლეგას არც ჟანო ჩამორჩა, ვინც ასევე ურთულესი ბურთი აილო. მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა. "ლილმა" შეძლო მეტოქის აქტიურობა ჩაეხშო და ცენტრში კონტროლი დაეწესებინა. მართალია, ჩრდილოელებს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ გოლი მაინც მოულოდნელად გავიდა - სტუმართა კაპიტანმა **რიო მავუბამ** "რატომღაც" 40 მეტრიდან გადაწყვიტა კარში დარტყმა. ბურთი გზაში ბედშავი **სილვენ მონსოროს** ფეხს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და ბადეში აფართხალდა. "ძაღლებმა" მაშინვე შეძლეს თამაშის მათთვის სასურველ წყნარ ტემპში გადაყვანა. მათ საფინალო სასტვენამდე მეტოქისთვის უკვე ბევრი არაფრის უფლება აღარ მიუციათ. რაც შეეხება "სენტ ეტიენს", ამ გუნდმა საბოლოოდ დაკარგა ევროპის ლიგაზე მოხვედრის შანსები.

"პარი სენ-ჟერმენმა" მატჩი საკმაოდ კარგად დაიწყო. მასპინძლებმა დებიუტშივე შეძლეს მატჩის სადავეების ხელში ჩაგდება. უკვე მეოთხე წუთზე მათ კლასიკური მაგალითი გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა განავითარო შეტევა. **ლუდოვიკ ჟიულის** ფლანგურ ჩაწოდებას **მევლუთ ერდინგი** თავით გამოეხმაურა. თურქმა მეკარე **დამიენ გრეგორინის** შანსი არ დაუტოვა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ლიგა 1-ის აუტსაიდერები აშკარა ნოკაუტში იმყოფებოდნენ. ისინი ზედიზედ ზუსტი რამდენიმე პასის გაკეთებასაც კი ვერ აბამდნენ თავს. პარიზელებიც ცდილობდნენ, რომ უპირატესობა განევრცოთ, მაგრამ.... რეალური შანსი გაუშვა ხელიდან **ზუმანა კამარამ**, ვის დარტყმულსაც გრეგორინი ფეხითღა მისწვდა. პარიზელებმა რამდენიმე წუთით სულის მოსათქმელად ბურთი მეტოქეს დაუთმეს. თამამად შეიძლება თქმა, რომ **ანტუან კომბუარემ** ამით ძალიან უხეში ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რადგან "ნანსიმ" ბოძებული შანსი მშვენივრად გამოიყენა. მე-20 წუთზე **ჟულიე ფერე** ის იყო, კუპესთან ერთი-ერთზე უნდა დარჩენილიყო, რომ ფეხებში **კრისტოფ ჟალეს** დარტყმა იგემა. საქმე აშკარად ბოლო იმედის ჯარიმასთან გვქონდა და არბიტრმაც მასპინძელთა მცველი გასახდელში დაგეგმილზე 70 წუთით ადრე გაუშვა. 11 მეტრიდან **ლანდრი ნ'გუემო** უშეცდომო იყო. ახლა უკვე პსჟ ჩავარდა ნოკაუტში. 5 წუთში დაცვამ მეტოქის თავდამსხმელი მეორედ დატოვა კუპესთან რანდევუზე. ამჯერად ვეტერანმა გოლკიპერმა მცველების დახმარების გარეშე შეძლო მომენტის განმუხტვა. შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია განმეორდა, ახლა უკვე "პარკ დე პრენსის" ბინადრები დარბოდნენ მინდორზე გზააბნეული ბატებივით. კომბუარემ შეატყო რა, რომ გუნდი ძალიან იყო "აჭრილი", პირველ შეცვლას მიმართა – თამაშში დებიუტანტი **ლოიკ ლანდრე** ჩართო, ვისაც დაცვაში ყურადღებით თამაში დაავალა. უნდა ითქვას, რომ 19 წლის ბიჭმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ტაიმის მიწურულს დედაქალაქელებმა მოახერხეს გონზე მოსვლა და კონტრშეტევებს მოუხშირეს. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ზუმანა კამარამ შეხვედრაში მეორე საგოლე შანსი აღარ გააფუჭა და საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი ეფექტურ ნახევარბრუნში გაიტანა.

მეორე ტაიმი ისევ პსჟ-ს მიერ შექმნილი ხიფათით დაიწყო, მაგრამ **ნენეს** საჯარიმოს გრეგორინი აღუდგა წინ. აშკარა იყო, რომ კომბუარემ შეგირდებს სასარგებლო რჩევა-დარიგებები მისცა, რადგან "ნანსი" რიცხობრივ უპირატესობას უკვე ველარ იყენებდა. ერთადერთი, რასაც ისინი მეტოქის ნახევარზე ახერხებდნენ, ბურთის გორება იყო. სტუმართა დამრიგებელმა **პაბლო კორეამ** შეტევის გადახალისების მიზნით მინდორზე **ალფრედ ნდიაიეს** ნაცვლად **იუსეფ ჰაჯი** შეუშვა. საჭადრაკო ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ურუგვაელმა მწვრთნელმა ისეთი სვლა გააკეთა, რომელმაც მეტოქეს ზავზე ხელის მოწერა აიძულა. 69-ე წუთზე **პასკალ ბერენჟეს** ფლანგურ ჩაწოდებას ჰაჯი თავით ნახტომში მისწვდა და წონასწორობა აღადგინა.

**ლევან ბიბილაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

### მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნი: 21 000 000 ნოიერისთვის!



მანუელ ნოიერის შალკედან ბაიერნში ტრანსფერზე მოლაპარაკებები გრძელდება

## რეკორდმაისტერმა შეიძლება ლუის გუსტავოც დათმოს, რაული კი ხელშეუხებელი აღარაა

მიუნხენის „ბაიერნს" რომ **მანუელ ნოიერის** ყიდვა უნდა, ეს ძველი ამბავია. სიახლე ისაა, რომ მიუნხენურმა გრანდმა „შალკეს" 21 მილიონი ევრო შესთავაზა. სპეკულაციებში ნახსენებია „ბაიერნის" საყრდენი ნახევარმცველის, **ლუის გუსტავოსა** და „გლადბახის" უნიჭიერესი გარემარბის, **მარკო როისის** გვარებიც, „შალკეში" კი ნოიერი **რონ-რობერტ ცილერმა** ან **მაარტენ სტეკელენბურგმა** უნდა შეცვალონ. გაირკვა ისიც, რომ რაულის „შალკედან" წასვლა გამორიცხული აღარაა. მივყვეთ თანამიმდევრობით.

მოკლედ, ნოიერის მოსალოდნელმა ტრანსფერმა კონკრეტული ფორმა მიიღო. „ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნი" მზადაა, გერმანიის ნაკრების მეკარეში მინიმუმ 18 მილიონი ევრო გადაიხადოს და ამ თანხას უმატებს სხვადასხვა გადასახადს, რაც საერთო ჯამში მაქსიმუმ 7 მილიონი იქნება. აქედან, „შალკე" 3 მილიონს გარანტირებულად მიიღებს. მარტივად რომ ვთქვათ, „ბაიერნი" „შალკეს" 21 მილიონს სთავაზობს და შესაძლოა, გელზენკირხენულმა კლუბმა კიდევ ოთხი მილიონიც მიიღოს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მიუნხენური კლუბის სპორტულიო დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კარლ-ჰაინც რუმენიგე** სამშაბათს „შალკეს" მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** შეხვდნენ.

*„დიახ, ჩვენ საკმაოდ ნაყოფიერი მოლაპარაკება გვქონდა. მიუნხენელებმა ახლა უკვე უკეთესი პირობები შემოგვთავაზეს, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ მაინც არაფერია,"* - ეს ჰელდტის სიტყვებია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ეს იყო „ბაიერნისა" და „შალკეს" ბოსების მესამე შეხვედრა აპრილის შემდეგ. პირველი მოლაპარაკებები რუმენიგეს, „ბაიერნის" ფინანსურ დირექტორ **კარლ ჰოპფნერსა** და „შალკეს" მხრიდან ჰელდტსა და ფინანსურ დირექტორ **პეტერ პეტერს** შორის დიუსელდორფში შედგა. მეორე შეხვედრა კი მიუნხენში, „ბაიერნისა" და „შალკეს" მატჩის (4:1 მიუნხენელების სასარგებლოდ) შემდეგ, პრეზიდენტების **ული ჰიონესისა** და **კლემენს ტიონიესის** მონაწილეობით გაიმართა.

### გუსტავო და როისი ნოიერის ტრანსფერში?

იყო საუბრები იმის შესახებ, რომ „შალკე" ნოიერის სანაცვლოდ მინიმუმ 25 მილიონ ევროს ითხოვდა, რაზეც „ბაიერნის" მენეჯერმა ნერლინგერმა თქვა, ეს უბრალოდ სასაცილო თანხაა, ამდენს ნაღდად არ გადავიხდითო. ახლა ირკვევა, რომ შესაძლოა, მიუნხენელებმა გელზენკირხენელებს ფულთან ერთად, ფეხბურთელიც შესთავაზონ და პირველი კანდიდატი იანვარში „ჰოფენჰაიმიდან" ნაყიდი ლუის გუსტავოა. ბავარიელებმა „ჰოფენჰაიმს" ბრაზილიელში 15 მილიონი გადაუხადეს და ყველამ იცის, რომ ეს უკანასკნელი **რალფ რანგნიკის** ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია - „პროფესორი რალფი" გუსტავოს „ჰოფენჰაიმში" სამი წლის მანძილზე წვრთნიდა და გუნდიდან სწორედ იმის გამო წავიდა, რომ ხელმძღვანელებმა ლუისი გაუყიდეს. „შპორტ ბილდის" ცნობით, შესაძლოა, ნოიერის ტრანსფერში სხვა პუნქტიც ჩაიდოს - კერძოდ ის, რომ „ბაიერნი" თავს დაანებებს „გლადბახის" 21 წლის გარემარბ მარკო როისს, რათა ეს უკანასკნელი „შალკემ" იყიდოს.

### ვინ შეცვლის ნოიერს შალკეში?

გერმანული პრესა წერს, რომ „შალკეს" ბოსები ნოიერის შემცვლელად სამ კანდიდატს მოიაზრებენ - „ვერდერის" კიპერ **ტიმ ვიზეს**, „ჰანოვერის" მეკარე რონ-რობერტ ცილერსა და ჰოლანდიის ნაკრების კარის დარაჯ მაარტენ სტეკელენბურგს. 22 წლის ჰანოვერელი 4 მილიონი ევრო ღირს და ამ მხრივ ყველაზე იაფი ვარიანტია, სტეკელენბურგი და ვიზე კი, გელზენკირხენელებს მინიმუმ სამჯერ ძვირი დაუჯდებათ. ჰოლანდიელით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალიც" არიან დაინტერესებულები და თუ მაარტენის ყიდვა სერიოზულად მოისურვეს, „შალკეს" მათთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდება. თანაც, გელზენკირხენული კლუბი სახელფასო ფონდის 70-დან 50 მილიონამდე შემცირებას გეგმავს, სტეკელენბურგი კი ნამდვილად არ არის დაბალანაზღაურებადი კადრი.

ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ რაულის „შალკედან" აბარგება გამორიცხული აღარაა. მართალია, ვეტერანმა ესპანელმა თქვა, რომ 2012 წლამდე გაფორმებულ კონტრაქტს 2013 წლამდე სიამოვნებით გააგრძელებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რანგნიკის საყვარელი ტაქტიკა 4-3-3-ია, რომელშიც რაული ვერ ჯდება.

### ინტერვიუ რუუდ ვან ნისტელროისთან

# მაპატიეთ, რომ ბევრი გოლი ვერ გავიტანე

## რუუდი ჰამბურგულ წვიმას და მოწყენილობას ემშვიდობება



რუუდ ვან ნისტელროი ჰამბურგიდან მიდის

**შაბათს ბუნდესლიგის რიგით 48-ე სეზონი „ჰამბურგისთვისაც" დასრულდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ჩემპიონატის ფარდა ჩრდილოგერმანული კლუბის ჰოლანდიელი თავდამსხმელისთვის, რუუდ ვან ნისტელროისთვის საბოლოოდ დაეშვება. გადაწყვეტილია, რომ 34 წლის რუუდი 18-თვიანი მოღვაწეობის შემდეგ, „ჰამბურგს" და ზოგადად გერმანიას დატოვებს. ვან ნისტელროის „ბილდმა" გამოსათხოვარი ინტერვიუ ჩამოართვა, რომელშიც რუუდი გერმანიაში გატარებულ 18 თვეს აჯამებს და ასკვნის, რომ ეს პერიოდი მის კარიერაში ყველაზე წარუმატებელი იყო.**

**- ჰერ ვან ნისტელროი, „ჰამბურგს" როგორ დაემშვიდობებით?**

- იმედი მაქვს, რომ მოედანზე გასვლას შევძლებ და „ჰამბურგის" ქომაგებს არა მაყურებლის, არამედ ფეხბურთელის რანგში გამოვეთხოვები. სამშაბათს სრული დატვირთვით ვარჯიში განვაახლე და იმედი მაქვს, რომ სეზონის ბოლო მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდები. „გლადბახთან" თამაში ძალიან მინდა, რადგან ეს იქნება ბოლო თამაში „ჰამბურგის" რიგებში.

**- მაინც როგორ წარმოგიდგენიათ კლუბის გულშემატკივრებთან და თანაგუნდელებთან გამოთხოვება - მატჩის დასრულების შემდეგ რას გააკეთებთ?**

- განსაკუთრებულს არაფერს ვგეგმავ, ყველაფერი სპონტანურად მოხდება. ვფიქრობ, ნორმალური, მეგობრული დამშვიდობება იქნება. მართალია, ჩემი ჰამბურგული კარიერა ფაქტობრივად წარუმატებლად წარიმართა, მაგრამ ფანები ყოველთვის მხარში მედგნენ და მამხნევებდნენ - გულშემატკივრების ვალში ვრჩები. ერთადერთი რამ, რაზეც „ჰამბურგში" გატარებული 18 თვიდან აუგს ვერ ვიტყვი, გულშემატკივრები არიან. ამ გუნდს მართლა ფანტასტიკური ფანები ჰყავს, რომლებიც, ჩემი აზრით, გაცილებით ძლევამოსილ კლუბს იმსახურებენ.

**- მოდით, „ჰამბურგში" გატარებული 18 თვე უფრო კონკრეტულად შეაჯამეთ.**

- მიმაჩნია, რომ თავს არასდროს ვზოგავდი და ყველა მატჩში მაქსიმუმს ვაკეთებდი, მაგრამ სამწუხაროდ, 12 გოლზე მეტი ვერ გავიტანე, რაც ჩემი აზრით, ძალიან ცოტაა. „ჰამბურგის" ფორმით გაცილებით მეტი გოლის გატანა მინდოდა...

**- ისიც აღსანიშნავია, რომ „ჰამბურგში" ძალიან ცუდ დროს გადახვედით. გუნდი ფაქტობრივად ქაოსსა და კრიზისში იყო და დღემდე ასეა...**

- მართალია. ბევრი მეუბნება, ამ კლუბს თავისი არსებობის მანძილზე ასეთი ქაოსური პერიოდი პირველად ჰქონდაო. ამ ხნის მანძილზე მართლაც ზედმეტად ბევრი ცუდი რამ მოხდა და მიუხედავად ამისა, აქ გატარებული დრო ჩემთვის მაინც ძალიან სასიამოვნო იყო, რაც პირველ რიგში ქომაგების დამსახურებაა. რაც ყველაზე მთავარია, ჰამბურგში გადმოსვლა არასდროს მინანია.

**- როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ HSV-ზე 2010 წლის ზამთარში, იმ დროს, როცა კონტრაქტს აფორმებდით?**

- აქ ყველაფერი ისე იყო, როგორც უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე კლუბს შეეფერება - ისეთს, რომელიც მუდმივად ჩემპიონთა ლიგაში უნდა თამაშობდეს. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ ვერ უნდა გვებრძოლა გერმანიის ჩემპიონობისთვის, როგორ ვერ უნდა მოგვეპოვებინა ევროტურნირების საგზურები. დარწმუნებული ვიყავი, რომ ევროსარბიელზე ვითამაშებდით. მოკლედ, ყველაფერი ძალიან კარგი ჩანდა, მაგრამ მოვლენები სხვანაირად, საპირისპიროდ განვითარდა. თუმცა ახლა ეს ყველაფერი ჩემთვის ფაქტობრივად უკვე წარსულია.

**- გადაწყვეტილია, რომ „ჰამბურგიდან" ზაფხულში წახვალთ. რამე მოგენატრებათ?**

- ნამდვილად მომენატრება ჩემი ქუჩა და ძალიან თბილი მეზობლები. მომენატრებიან „ჰამბურგის" გულშემატკივრები და ის ბავშვები, რომლებიც ავტოგრაფებისთვის დამსდევდნენ - აქ ყოველ ნაბიჯზე უდიდეს სიყვარულს ვგრძნობდი. მომენატრება თვითონ ქალაქიც და თითოეული კუთხე, სადაც თავისუფალ დროს ვატარებდი და ერთი სიტყვით, ყველა ის ადამიანი, ვინც პატივს მცემდა.

**- არის თუ არა ჰამბურგი ყველაზე ლამაზი ქალაქი, მათ შორის, სადაც გიცხოვრიათ?**

- რომ არა მუდმივად წვიმიანი ამინდები, ჰამბურგი მართლაც საუკეთესო იქნებოდა. თუმცა ეს ქალაქი მაინც ძალიან შემიყვარდა.

**- გუნდიდან წასვლა ძალიან ადრე გადაწყვიტეთ. რატომ?**

- ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კლუბის წინა ხელმძღვანელობა იყო. ბოსებმა, რომლებიც ზაფხულიდან კლუბს აღარ უხელმძღვანელებენ, ძალიან გამაბრაზეს. მართალია, ახლა უკვე ვიცით, რომ „ჰამბურგს" ახალი შეფობა ეყოლება, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს. რაღაც ახალი მინდა...

**- სად ითამაშებთ მომავალი სეზონიდან?**

- ეს ჯერ არ არის ცნობილი. კარიერის გაგრძელება ყველაზე მეტად ესპანეთში მინდა, სადაც მიცხოვრია და მითამაშია კიდეც. არც ინგლისი და პრემიერლიგაა ცუდი ვარიანტი.

**- კონკრეტული წინადადებები უკვე გაქვთ?**

- ჰო, თანაც ძალიან ბევრი, მაგრამ ამაზე სერიოზულად ფიქრს მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ დავიწყებ. წინადადებებს მშვიდად, მეუღლესთან ერთად განვიხილავ და მერე გადავწყვეტ, სად გადავიდე.

**- „ჰამბურგში" კი უდიდესი წმენდა დაიგეგმა. ამ კლუბის მომავალს როგორ უყურებთ?**

- გუნდის ახალი შეფი ფრანკ არნესენი იქნება, რომელიც ძალიან კარგი სპეციალისტია და იცის, როგორ უნდა მიხედოს კლუბს. მიხაელ იონინგიც ნიჭიერი მწვრთნელია. ვფიქრობ, ისინი შეძლებენ „ჰამბურგის" ფეხზე წამოყენებას. ფაქტია, რომ HSV-ს ქომაგად დავრჩები.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### ამბები

## აკაკი გოგია აუგსბურგში გაანათხოვრეს



აკაკი გოგია

პირველი ბუნდესლიგის საგზურის განაღდებიდან რამდენიმე დღეში, „აუგსბურგმა" „ვოლფსბურგის" 19 წლის წარმოშობით ქართველი ფეხბურთელი **აკაკი გოგია** გადაიბირა. ახალგაზრდა ნახევარმცველმა „მგლებთან" კონტრაქტი ცოტა ხნის წინ 2015 წლამდე გააფორმა, „აუგსბურგში" კი განათხოვრების წესით ორი წელი ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ გოგია გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს.

*„აკაკი გოგია ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. მიხარია, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში ჩვენთან ითამაშებს,"* - ეს „აუგსბურგის" მთავარი მწვრთნელის, **იოს ლუჰუკაის** სიტყვებია. მენეჯერი **ანდრეას რეტიგი** კი ამბობს, გოგიას დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით და ძალიან მოგვწონს, ჩვენთან სათამაშო პრაქტიკა ექნება და პროგრესს განიცდისო.

## ვერდერმა იენსენი მოკვეთა

„ვერდერის" ნახევარმცველი **დანიელ იენსენი** ბრემენული კლუბის რიგებში აღარასოდეს ითამაშებს. კლუბის ხელმძღვანელების გაკრიტიკების შემდეგ, „მუსიკოსების" გენერალურმა მენეჯერმა და მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** 31 წლის დანიელი გუნდიდან სამუდამოდ მოკვეთეს. შეგახსენებთ, რომ დანიელ იენსენს „ვერდერთან" კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება და დიდი ხანია ცნობილია, რომ ბრემენული კლუბი მას ახალ ხელშეკრულებას არ გაუფორმებს. **ალოფსი** ამბობს, პირველ რიგში იმიტომ მოვკვეთეთ, რომ მთლიანად ახალი გუნდის ძიებაზე იყოს კონცენტრირებულიო. იენსენი „ვერდერში" 2004 წელს ესპანური „მურსიადან" გადავიდა და მას მერე, ბუნდესლიგის 133 მატჩში 7 გოლის გატანა შეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი. გამოხმაურება



რეალმა კოპა ხალხს წარუდგინა

# მოუ, მოუკლელი დეციბალებს!

## რონალდომ პუშკაშს გაუსწრო

მადრიდის „რეალმა“ არ დაინდო თანაქალაქელი „ხეტაფე“ და 4:0 განადგურებით ფაქტობრივად გასავარდნად განირა, ხოლო **მესუთ იოზილმა** პირადად უზრუნველყო, რომ **კრიშტიანო რონალდომ** „პიჩიჩისთვის“ ბრძოლა მოიგოს.

პირველ ტაიმში გერმანელმა ნახევარმცველმა მარჯვენა ფლანგიდან ჩაუწოდა პორტუგალიელ გოლეადორს და რონალდომაც თავით გახსნა ანგარიში. დანარჩენი გოლები მეორე ტაიმში გავიდა „ხეტაფეს“ კარში, ჯერ **ჩაბი ალონსოს** წამოწყებული საგოლე კომბინაცია იოზილმა გააგრძელა და რონალდომ დაასრულა, შემდეგ ბასკის ბრწყინვალე შორეული პასით **ქარიმ ბენზემამ** გაიტანა ლა ლიგაში მე-13 გოლი, ბოლოს რონალდომ თავად მოიპოვა პენალტი (**მანე** დაჯარიმდა მასთან ორთაბრძოლაში და თავადვე გაიტანა **უსტარის** კარში, ამით რონალდომ სეზონში გოლების რიცხვი ჩემპიონატში 36-მდე გაზარდა.

პირველ ტაიმში რონალდომ ბურთი მოიგერია და შემთხვევით ტრიბუნაზე მჯდომ ფანს გაარტყა. თამაშის შემდეგ პორტუგალიელი მივიდა დაზარალებულთან და მოუბოდიშა, თან მას ავტოგრაფით დამშვენებული მაისურა გადასცა.

*„ჩვენ ძალიან მაღალი დონის ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩვენი პრიორიტეტიც ეს არის, მწვრთნელმაც სწორედ ეს დაგვავალა. მე, რა თქმა უნდა, მსურს, რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო, თუმცა ეს არ არის ჩემი იდეა-ფიქსი. დღეს ბიჭები ცდილობდნენ ჩემზე ეთამაშათ, თუმცა მე ეს არავისთვის მითხოვია“*, - განაცხადა რონალდომ, რომელმაც კლუბის ახალი რეკორდი დაამყარა ერთ სეზონში გოლების რიცხვით - აქამდე რეკორდი **ფერენც პუშკაშს** ეკუთვნოდა, რომელმაც სეზონში, ყველა სახის ოფიციალურ მატჩში 47 გოლი გაიტანა, რონალდოს ანგარიშზე უკვე 49 გოლია. პუშკაშის რეკორდი 1959/60 წლების სეზონისაა. კრიშტიანომ ლა ლიგაში 36 გოლი გაიტანა, 6 ჩემპიონთა ლიგაზე და 7 კოპაზე. პორტუგალიელს კიდევ ორი მატჩი დარჩა მიღწევის გასაზრდელად და 50-გოლიანი ზღვრის გადასალახავად.

თამაშის შემდეგ კვლავ **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტი **აიტორ კარანკა** გამოცხადდა: *„ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ იმაზე დიდი მოტივაცია არ არსებობს, ვიდრე „რეალის“ მაისურით თამაშია. ჩვენ ყოველთვის კარგად ვთამაშობთ, მიუხედავად იმისა, როგორი შემადგენლობა გვყავს გამოყვანილი. რონალდოს გოლთაცვენა მართლაც შთამბეჭდავია და დღეს მას მართლა განსაკუთრებით ეხმარებოდნენ ბიჭები. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ გუნდში დიდებული ატმოსფეროა. ფეხბურთელები ცდილობენ თანაგუნდელს პერსონალური მიზნის მიღწევა გაუადვილონ“.*

ამ შეხვედრაში შედგა ახალგაზრდა **ტომას მეხიასის** დებიუტი „რეალში“, გუნდის მე-4 მეკარემ მეორე ტაიმში **ანტონიო ადანი** შეცვალა. მეხიასი „რეალის“ მე-8 აღზრდილია, რომელსაც მოურინიოს გუნდში დებიუტი ჰქონდა. აი, როგორ იხსენებს მატჩს 22 წლის მეხიასი: *„ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა... უცბად გავათვითცნობიერე, რომ მოედანზე ვარ. ამ დღეს რა დამავიწყებს“.*

გუშინ კი „რეალმა“ ამ სეზონში მოგებული ერთადერთი ტიტული - „სამეფო თასი“ გულშემატკივრებს წარუდგინა. გუნდი სიტი ჰოლს ეწვია, სადაც „რეალს“ ათასობით ადამიანი ელოდა.

*„მადლობა ყველას თანადგომისთვის. ეს ტიტული გვინდა ყველას გაგიზიაროთ: მადრიდისტებსა და მადრილენიოსს. თქვენი მხარდამჭერა ახალი ტიტულების მოპოვებისკენ გვიბიძგებს“*, - განაცხადა გუნდის კაპიტანმა **იკერ კასილიასმა**.

ამასობაში, ესპანურ პრესაში ჩდება ცნობები, რომლის თანახმადაც „რეალის“ დირექტორ **ხორხე ვალდანოს** შენიშვნა მიუცია ჟოზე მოურინიოსთვის, რომ შეარბილოს ტონი მედიასთან ურთიერთობისას, რადგან ის არ არის „რეალის“ სახე. „მარკა“ ირწმუნება, რომ ვალდანოს უთქვამს - *„უკეთესი იქნება, თუკი მოუ მოუკლებს დეციბალებს“*. ამის შესახებ „რეალის“ წარმომადგენელ **ელადიო პარამესს** დაეკითხნენ: *„ვალდანო წარმოადგენს „რეალს“ მედიასთან და არა მოურინიო“*, - იყო პასუხი.

სხვათა შორის, მადრიდულ დერბიში კიდევ ერთი „დებიუტი“ ვიხილეთ - მწვრთნელის ვაჟმა **მარიო ჟოზე მოურინიომ**, „რეალის“ ჭაბუკთა გუნდის მეკარემ ბურთის მიმწოდებლად იმუშავა „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ესპანეთი. ლა ლიგა XXVI ტური

### ალმერია-ვილიარეალი 0:0

**ალმერია:** ესტებანი, ბადიასი, პელერანო (60. აკასიეტე), მარსელო სილვა, როდრიგესი, მიჩელი, კორონა (86. ხუანიტო), ბერნარდელო, პიატი, ორტისი, ულოა (67. გოიტომი).

**ვილიარეალი:** ლოპესი, მარჩენა, მუსაჩო, სენა (58. კანი), კაპედვილია, მარტინესი, ბრუნო, სანტი კასორლა, ვალერო, როსი (57. მარკო რუბენი), ნილმარი (78. მუბარაქი).

**გაფრთხილება:** ულოა, პიატი, ბერნარდელო - მარტინესი

**კუთხური:** 10-9; **ჯარიმა:** 11-5; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 15(3)-12(4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 5 500

### ლევანტე-ბარსელონა 1:1

**ლევანტე:** მუნუა, ნანო, ბალესტეროსი, ხუანფრანი, ხავი ვენტა, ჩავი ტორესი, დე ლა ფუენტე, პალარდო (81. ლარეა), ნადალი, ვალდო, კაისედო (75. სტუანი).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, პიკე, მასკერანო, აბიდალი (62. ფონტასი), დანი ალვეში, ბუსკეტსი, კეიტა, ჩავი, ვილია (86. პედრო), მესი, აფელაი.

**გოლები:** 0:1 კეიტა (28), 1:1 კაისედო (41)

**გაფრთხილება:** დე ლა ფუენტე - პიკე

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 10-4; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 9(2)-10(2); **ბურთის ფლობა:** 16%-84%.

**მაყურებელი:** 20 000

### სოსიედადი-სარაგოსა 2:1

**სოსიედადი:** ბრავო, დემიდოვი, ანსოტეგი, დე ლა ბელა, მარტინესი, არანბურუ, გუტიერესი (75. იფრანი), ტამუდო, სურუტუსა (66. სუტილი), გრისმანი, ჩაბი პრიეტო.

**სარაგოსა:** დობლასი (65. ფრანკო), და სილვა, ლანსარო (90. სინამა-პონგოლე), პარედესი, იაროშიკი, გაბი, პონსიო, უჩე, ერერა, ბერტოლო (47. ბუტაპარი), ლაფიტა.

**გოლები:** 1:0 რაულ ტამუდო (24), 1:1 გაბი (53), 2:1 არანბურუ (88)

**გაფრთხილება:** გრისმანი, სურუტუსა, რაულ დამუდო, იფრანი - ლანსარო, ერერა

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 22-21; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 14(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 27 000

### ესპანიოლი-ვალენსია 2:2

**ესპანიოლი:** კამენი, როდრიგესი, ამატი, ტორესი, გალანი, ვერდუ, ლოპესი, ოსვალდო, ალონსო (53. მარკესი), კალიეხონი (63. ვასკესი), ლუის გარსია (84. ფონტე).

**ვალენსია:** სესარი, იბანიესი, დავიდ ნავარო, თოფალი, მატიო, ბრუნო (74. მიგელი), ბანეგა, მატა (85. ალბელდა), ხოაკინი, ხონასი (69. ხორდი), სოლდადო.

**გოლები:** 0:1 სოლდადო (9), 1:1 ოსვალდო (19), 1:2 მატა (25), 2:2 გალანი (76)

**გაფრთხილება:** ამატი, ფონტე - სესარი, სოლდადო, ბანეგა

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 7-18; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 20(7)-20(5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 23 652

### ერკულესი-მალიორკა 2:2

**ერკულესი:** ველტჰუიზენი, კორტესი, აბრაამ პასი, პამარო, პენია, კიკო, აბელ აგილარი, ფარინოსი (46. ფრიტცლერი), სენდოა (55. ლუის კარლოსი), ტიაგო გომესი (81. ვალდესი), ტრეზეგე.

**მალიორკა:** ლუქსი, სენდროსი (46. კასადესუსი), ნუნიესი, რამისი, აიოსე, ნსუე (64. აკი), ჟოაო ვიქტორი, მარტი, დე გუსმანი (68. პინა), პერეია, ვებო.

**გოლები:** 1:0 სენდოა (12), 2:0 სენდოა (42), 2:1 კასადესუსი (75), 2:2 ვებო (79)

**გაფრთხილება:** ტიაგო გომესი, აგილარი - სენდროსი, აკი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 11(3)-8(3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 17 000

### ოსასუნა-სევილია 3:2

**ოსასუნა:** რიკარდო, ნელსონი (45. დამია), სერხიო, მიგელ ფლანიო (85. ლეკიჩი), მონრეალი, პუნიალი, ვადოჩი, სეხუდო, კამუნიასი, კალიეხა (46. პანდიანი), კიკე სოლა.

**სევილია:** ხავი ვარასი, სერხიო სანჩესი (81. დრაგო), ბერნარდო, ესკუდე, დაბო, აკოსტა (66. კაპელი), მედელი, ფასიო (62. სოკორა), პეროტი, კანუტე, ნეგრედო.

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (25), 0:2 ნეგრედშო (28), 1:2 კიკე სოლა (46), 2:2 კიკე სოლა (87), 3:2 ლეკიჩი (90)

**გაძევება:** მედელი (90. სევილია)

**გაფრთხილება:** სეხუდო, პანდიანი - დაბო, სერხიო სანჩესი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12(8)-5(3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 17 921

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 29 | 5 | 2 | 92-20 | 92 |
| 2. რეალი | 36 | 27 | 5 | 4 | 91-31 | 86 |
| 3. ვალენსია | 36 | 20 | 7 | 9 | 62-44 | 67 |
| 4. ვილიარეალი | 36 | 18 | 8 | 10 | 53-40 | 62 |
| 5. ბილბაო | 36 | 17 | 3 | 16 | 56-53 | 54 |
| 6. სევილია | 36 | 15 | 7 | 14 | 56-58 | 52 |
| 7. ატლეტიკო | 36 | 15 | 7 | 14 | 56-49 | 52 |
| 8. ესპანიოლი | 36 | 15 | 4 | 17 | 44-51 | 49 |
| 9. რასინგი | 36 | 12 | 10 | 14 | 39-52 | 46 |
| 10. მალაგა | 36 | 13 | 6 | 17 | 52-64 | 45 |
| 11. მალიორკა | 36 | 12 | 8 | 16 | 37-49 | 44 |
| 12. ლევანტე | 36 | 12 | 8 | 16 | 40-50 | 44 |
| 13. სოსიედადი | 36 | 14 | 2 | 20 | 47-62 | 44 |
| 14. ოსასუნა | 36 | 12 | 8 | 16 | 44-44 | 44 |
| 15. სპორტინგი | 36 | 10 | 13 | 13 | 33-41 | 43 |
| 16. დეპორტივო | 36 | 10 | 12 | 14 | 31-45 | 42 |
| 17. ხეტაფე | 36 | 11 | 7 | 18 | 46-59 | 40 |
| 18. სარაგოსა | 36 | 10 | 9 | 17 | 37-52 | 39 |
| 19. ერკულესი | 36 | 9 | 7 | 20 | 35-58 | 34 |
| 20. ალმერია | 36 | 5 | 12 | 19 | 32-61 | 27 |

**ბომბარდირები:** 36 - რონალდო (რეალი); 31 - მესი (ბარსელონა); 18 - ვილია (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 17 - ნეგრედო (სევილია), ფ. ლორენტე (ბილბაო), აგუერო (ატლეტიკო), სოლდადო (ვალენსია).

● ამბები



## ხავი მარტინესი ბასკეთში დარჩა

ბილბაოს „ატლეტიკის“ ლიდერმა **ხავიერ მარტინესმა** ბასკურ კლუბთან 2016 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი და ამით წერტილი დაუსვა მისი შესაძლო ტრანსფერის შესახებ ათასგვარ სპეკულაციას. 22 წლის ნახევარმცველი 2006 წლიდან „სან მამესზე“ თამაშობს. მარტინესი იმდენად კარგად ათამაშდა, რომ ესპანეთის ნაკრებშიც მოხვდა. მართალია, ჯერჯერობით მას მხოლოდ 4 კეპი აქვს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ისიც ფლობს. სავარაუდოდ, „ატლეტიკი“ გაისად ევროპის ლიგაში ითამაშებს და მარტინესის ლიდერის თვისებები აშკარად წაადგება გუნდს.

სხვათა შორის, ხავიერ მარტინეს აგინაგა ნავარელია და ის „ოსასუნას“ აღზრდილია. 2006 წლის ზაფხულში 17 წლის ჭაბუკში ბილბაოელებმა 6 მილიონი ევრო გადაუხადეს ნავარელებს, არადა, ფეხბურთელს ჯერ პრიმერადივიზიონში ჯერ ნათამაშები არ ჰქონდა. სამხრეთ აფრიკაში მარტინესმა ერთხელ ითამაშა, ჩილეს ნაკრებთან ბოლო 20 წუთი შეცვალა ტრავმირებული **ჩაბი ალონსო**.

## ჩიგარინი, უკან იტალიაში

„სევილიას“ იტალიელი ლეგიონერი **ლუკა ჩიგარინი** ახალი სეზონიდან „ნაპოლის“ დაუბრუნდება, ხოლო მისი თანამემამულე **ტიბერიო გუარენტე** „სევილიაში“ რჩება - განაცხადა ორივეს აგენტმა **ჯოვანი ბიამ**. 24 წლის ჩიგარინიმ სეზონი იჯარის წესით გაატარა „სევილიაში“. ანდალუსიელებს მისი შესყიდვის უფლება აქვთ, თუმცა 7 მილიონი ევროს გადახდას (წინასწარ შეთანხმებული ფასი) არ აპირებენ და ფეხბურთელს იტალიაში აბრუნებენ. გუარენტე „სევილიას“ წევრია და მას არაფერი ემუქრება, გაისადაც ამ კლუბში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ორივეს ბევრი გაუცდა, განსაკუთრებით კი გუარენტეს, რომელსაც მუხლის ტრავმამ სეზონი ჩაუგდო.

## კამაჩო და ბაფანა-ბაფანა

**ხოსე ანტონიო კამაჩო**, შესაძლოა, მალე სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. „ოსასუნას“ ყოფილ თავკაცსა და აფრიკელებს შორის მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. სამხრეთ აფრიკის ნაკრების უახლოესი მიზანი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრაა, რომელიც 2012 წლის ზაფხულში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ მურსიელი სპეციალისტი თებერვლამდე წვრთნიდა ნავარულ კლუბს, თუმცა ცუდი შედეგების გამო მას პოსტი დაატოვებინეს. 55 წლის კამაჩო 2008 წლიდან წვრთნიდა „ოსასუნას“. ამის გარდა, მას „რაიო ვალეკანო“, „ესპანიოლი“, „სევილია“, „ბენფიკა“, „რეალი“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრები გაუწვრთნია.

## მორალი სევილიაში მიდის

„მარკა“ ირწმუნება, რომ „სევილიამ“ მიაღწია შეთანხმებას „ხეტაფეს“ 27 წლის კაპიტან **მანუ დელ მორალთან** და რომ გარემარბი ხუთ სეზონს გაატარებს ანდალუსიაში. სამაგიეროდ, „ხეტაფე“ 4 მილიონ ევროს მიიღებს. მანუს მადრიდულ კლუბში 157 თამაშში 37 გოლი აქვს გატანილი. მარტში მანუმ „ბილბაოს“ კარში 25 წუთში უცნაური ჰეთ თრიკი შეასრულა - მატჩი 2:2 დასრულდა, მან ორი მეტოქის, ერთი კი საკუთარ კარში გაიტანა. დელ მორალის მთავარი კოზირი სისწრაფეა.

„სევილიამ“ უკვე შეიძინა გერმანელი **პიოტრ ტროხოვსკი** თავისუფალი აგენტის სტატუსით. ტროხოვსკიმ უკვე სამედიცინო შემოწმება გაიარა.

## როსი წავა მხოლოდ გრანდში



ჯუზეპე როსი

**ჯუზეპე როსის** აგენტმა **ფედერიკო პასტორელომ** განაცხადა, რომ არის შანსი, მისმა კლიენტმა დატოვოს „ვილიარეალი“. *„ჯუზეპემ რამდენიმე თვის წინ განაახლა კონტრაქტი. მისი პოზიცია კლუბში ნათელია, პერსპექტივა - კარგი, მაგრამ თუკი ევროპული გრანდი დაინტერესდება მისით, ჩვენ კლუბს დაველაპარაკებით. ვფიქრობ, ასეთი კლუბი ევროპაში სულ 5-6-ია. ჩვენ, უპირველესად „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინადადებებს განვიხილავთ. არა მგონია, როსი 30 მილიონ ევროზე ნაკლები დაუჯდეს რომელიმე გრანდს. თუკი ასეთი წინადადებები არ გვექნება, როსი გააგრძელებს კარიერას „ვილიარეალში“*, - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სატრანსფერო ამბავი

# კაკას დედაო?



მადრიდის „რეალის“ ცნობილი ბრაზილიელი ვარსკვლავის, 29 წლის **კაკას** დედამ თქვა, რომ აგვისტოდან მთელი ოჯახით ლონდონში გადასახლდება. ამას თუ დავამატებთ ჭორს, რომ „რეალი“ და „ჩელსი“ კაკას ტრანსფერზე აწარმოებენ მოლაპარაკებას, შესაძლოა გარკვეული სურათიც კი გამოიხატოს.

კაკას დედამ, **სიმონე ლეიტემ** ეს ამბავი „ტვიტერში“ დაწერა. მან თქვა: *„შემდეგ წელიწადს უფლის სიტყვას უკვე ლონდონში გავავრცელებთ. გარწმუნებთ, იქ აგვისტოში გადავალთ“.*

ამ ნათქვამმა საფეხბურთო წრეებში დიდი ხმაური გამოიწვია და მოგვიანებით მისმა ინტერნეტიდან ამოღებამ არაფერი შეცვალა.

ბრაზილიელი ვარსკვლავი, მოგეხსენებათ, **ჟოზე მოურინიოს** ხელში „რეალის“ სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება. „რეალი“ ამ ზაფხულს დორტმუნდის „ბორუსიადან“ **ნური შაჰინის** ყიდვას აპირებს.

რამდენადაც ცნობილია, მადრიდელებს კაკას გაქირავება არ უნდათ. მათ, თავის დროზე „მილანს“ ბრაზილიელის სანაცვლოდ 57 მილიონი ფუნტის ექვივალენტური თანხა გადაუხადეს და ზარალში დარჩენაც არ სურთ. ამას ემატება ვეებერთელა ხელფასი, რომელიც დაახლოებით კვირაში 200 ათასს უდრის. ერთი სიტყვით, 2007 წლის მსაფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ყიდვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

**ილია ბაბუნაშვილი**

ქართული სპორტი

ჭადრაკი

# შავების გამონათება

## ვიქტორია ჩმილიტე უახლოეს მდევრებს ქულით უსწრებს
## ნაზი პაიკიძემ რეიტინგფავორიტი შავებით დაამარცხა



მარცხნიდან: ვიქტორია ჩმილიტე და ნაზი პაიკიძე

ევროპის მოჭადრაკე ქალთა მე-12 ჩემპიონატის მე-5 დღე შავი ფიგურებით მოთამაშეთა აგრესიულობით აღინიშნა. პირველი 22 შეხვედრიდან მათ 13 მოიგეს, 4 ყაიმით დაამთავრეს და მხოლოდ ხუთ პარტიაში შეძლეს თეთრებმა წარმატების მიღწევა. გულშემატკივართა ყურადღება განსაკუთრებით სამი დაფისკენ იყო მიპყრობილი. ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი ლიტველი **ვიქტორია ჩმილიტე** შავებით ეთამაშა სომეხ **ელინა დანიელიანს.** ბალტიისპირელს მე-5 გამარჯვების მოსაპოვებლად მხოლოდ 21 სვლა დასჭირდა.

**ბელა ხოტენაშვილი** 4 ტურის შემდეგ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს, ამიტომ მის პაექრობას რუს **ანასტასია ბოდნარუკთან** დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ქართველი დიდოსტატი მეტოქეს რეიტინგში 51 პუნქტით უსწრებს და მიტელშპილში ინიციატივას ფლობდა, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ უწია - 83-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდა. სამაგიეროდ, გაგვახარა ახალგაზრდა **ნაზი პაიკიძემ** (2408). რეიტინგფავორიტ **ნადეჟდა კოსინცევას** (2567) იგი შავებით ეთამაშებოდა. მეტოქეებმა სიცილიური დაცვის ნაიდორფის ვარიანტი აირჩიეს. რუსმა მოჭადრაკემ წინა ტურში ჩმილიტესთან წაგების შემდეგ, ეტყობა, სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლა ვერ შეძლო და ზედიზედ მეორედ დამარცხდა. ზოგმა ეს შედეგი სენსაციად მონათლა, ჩვენ კი სულაც არ მიგვაჩნია უჩვეულოდ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შარშან რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის სუპერლიგის ტურნირში პაიკიძემ ნადეჟდა კოსინცევასთან, ასევე, შავი ფიგურებით, პარტია ყაიმით დაამთავრა, ხოლო გასული წლის სექტემბერში ელვისებური ჭადრაკის მსოფლიოს ჩემპიონატზე სულაც 1,5:0,5 დაამარცხა ჩრდილოელი მეზობელი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ევროპის ჩემპიონატის მე-3 ტურში ნაზის ჩმილიტესთან ბევრად უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ შემდეგ უზუსტოდ ითამაშა და წააგო.

ოთხი ტურის შემდეგ 3-ქულიანმა **ნინო ბაციაშვილმა** სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ორგზის ევროპის ჩემპიონ **პია კრამლინგს** (შვედეთი) და დანებდა. ასევე, დათმო პარტია თეთრებით **სალომე მელიამ ლილით გალოიანთან,** რაც ერთობ მოულოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენებური სომეხ მოჭადრაკეს რეიტინგში 67 პუნქტით უწრებს. ალბათ, მართალი იყო ნადეჟდა კოსინცევა, ჩემპიონატის დაწყების წინ ჩვენთან ინტერვიუსას რომ თქვა - წარმატების მისაღწევად რეიტინგს კი არა, კონკრეტული შეჯიბრებისთვის სპორტულ ფორმას აქვს მნიშვნელობაო.

გუშინ **ლელა ჯავახიშვილმა ინგა ჭარხალაშვილს** აჯობა, **ნანა ძაგნიძემ** კი **ქეთევან კახიანი-გერშინსკა** დაამარცხა. ჩემპიონატის ფავორიტთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ქრისტინა-ადელა ფოიშორი (რუმინეთი)-ანა მუზიჩუკი (სლოვენია) 0,5:0,5, კატერინა ლახნო (უკრაინა)-ანასტასია სავინა (რუსეთი) 1:0, იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი)-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 0:1, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი)-მარინა რომანკო (რუსეთი) 0:1, ბაირა კოვანოვა (რუსეთი)-ნინო ხურციძე (0:1), იულია კოჩეტკოვა (სლოვაკეთი)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 0:1, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)-მარია მანაკოვა (სერბეთი) 1:0...

ხუთი ტურის შემდეგ: ჩმილიტე-5, ხოტენაშვილი, ლახნო, სტეფანოვა, პაიკიძე, ჯავახიშვილი, კრამლინგი, ხურციძე, უშენინა, გალოიანი, რომანკო, ბოდნარუკი-4-4 ქულა. 17 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს. მათ შორის არიან ნანა ძაგნიძე, მაკა ფურცელაძე, სოფიკო ხუხაშვილი, დანიელიანი, ტატიანა კოსინცევა და კოსტენიუკი.

დღეს მე-6 ტურში მეწინავენი ასე დაწყვილდნენ: სტეფანოვა-ჩმილიტე, ხურციძე-ლახნო, პაიკიძე-ხოტენაშვილი, კრამლინგი-ბოდნარუკი, რომანკო-უშენინა, გალოიანი-ჯავახიშვილი... ევა მოზერი (ავსტრია)-ძაგნიძე, მუზიჩუკი-ხუხაშვილი, ფურცელაძე-დანიელიანი.

**ვაჟა დანელია**

# ფინიშამდე ტურით ადრე

სარაევოში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი „ბოსნა-2011“, რომელშიც წარმატებით თამაშობს ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა.** იგი ბოლო ორი ტურის განმავლობაში ერთპიროვნულად მეწინავეობდა კიდეც, მაგრამ გუშინ მე-8 ტურში თეთრი ფიგურებით **კრისტიან საბოს** (უნგრეთი) დაუზავდა და ლიდერობა დაკარგა. მისი ყაიმით ისარგებლეს **ჰრანტ მელქუმიანმა** (სომხეთი) და **ბორკი პრედოევიჩმა** (ბოსნია-ჰერცეგოვინა), რომლებმაც, შესაბამისად, **არკადი ნაიდიჩი** (გერმანია) და **ივან სარიჩი** (ხორვატია) დაამარცხეს და 19-19 ქულას (მოგებისთვის 3, ყაიმისთვის 1, წაგებისთვის 0 ქულა) მოუყარეს თავი. ჯობავა და **მატეი სებენიკის** (სლოვენია) მძლეველი **მუსტაფა ილმაზი** (თურქეთი) ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან. **მირჩეა-ემილიან პარლიგრასსა** (რუმინეთი) და კრისტიან საბოს 17-17 ქულა აქვთ.

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს პრედოევიჩი-მელქუმიანი, ილმაზი-ჯობავა და პარლიგრასი-საბო დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა

# გეგმები შეცვალეს

ჩვენმა ტყვიის მსროლელებმა გეგმები შეცვალეს - უახლოეს დღეებში, 14-23 მაისს ამერიკულ ფორტ ბენინგში მსოფლიოს თასზე უნდა ესპარეზათ, მაგრამ მისი გამოტოვება გადაწყვიტეს, დაზოგილი ფულით კი გერმანიაში შეკრებას გაივლიან.

კაცმა რომ თქვას, ახლა მათ შეკრება უფრო სჭირდებათ, ვიდრე - ისეთი რანგის შეჯიბრება, როგორიც მსოფლიოს თასია. ეს რომ იყოს ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატი, მაშინ წასვლა საჭირო იქნებოდა, მაგრამ ამ თასებიდან რისი მიღებაც შეიძლებოდა, უკვე მაქსიმუმი მივიღეთ - **ნინო სალუქვაძემ** პირველივე ეტაპი მოიგო სიდნეიში, რითაც ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა და - მსოფლიოს თასის სუპერფინალშიც. ამერიკაში კიდეც რომ გაემარჯვა, ეს მეტს ვერაფერს შესძენდა. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ლონდონი მის კარიერაში მეშვიდე თამაშები იქნება - სალუქვაძე ამ მხრივ რეკორდსმენია არა მხოლოდ ქართული სპორტის ისტორიაში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით ტყვიის სროლაში ქალთა შორის.

მოკლედ, სალუქვაძეს ახლა შეჯიბრებაზე მეტად შეკრება სჭირდება, რათა მშვიდად მოემზადოს ლონდონის ოლიმპიადისთვის და ბოლომდე შეასრულოს დასახული გეგმები. მართალია, ეს ტურნირი ახალგაზრდებისთვის კარგი გამოცდა იქნებოდა, მაგრამ ჯერ ერთი, უფულობის გამო ამერიკაში დიდი გუნდის გაგზავნა არც იგეგმებოდა, მეორეც - სალუქვაძის გარდა, ჩვენებიდან არც ლიცენზიის მოპოვების კანდიდატია ვინმე.

ერთი სიტყვით, ფორტბენინგური ასპარეზობა სალუქვაძისთვის წმინდა სპორტულ მნიშვნელობას კარგავდა, შორეული მგზავრობა კი მოქანცავდა. ამიტომ არაა გასაკვირი, ამ გაუმართლებელ ჯაფაზე უარი თუ თქვა და სამომავლო კალენდარი ბევრად უფრო პრაქტიკულად განჭვრიტა. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს თასის წლევანდელი სეზონის ბოლო, მეოთხე ეტაპი ივნისში მიუნხენში იმართება, მის დაწყებამდე კი გერმანიაში გაივლის შეკრებას. საამისოდ ის კვლავაც ნაცნობ მისამართზე გაემგზავრება - დორტმუნდის სიახლოვეს, ქალაქ ბასუმში, სადაც ადრეც არაერთხელ გაუვლია შეკრება. იქ საქართველოდან წასული **არტურ გევორქიანი** მუშაობს მწვრთნელად და ერთობლივი ვარჯიშების ორგანიზებაშიც ის ეხმარება. არტურს იქ დიდი ავტორიტეტი გააჩნია და ყველა ორგანიზაციულ საკითხს იოლად აგვარებს. როგორც ჩვენები ამბობენ, ბაზა ჩინებულია, არის ღია სასროლეთიც და საუკეთესო პირობებია სავარჯიშოდ.

ამჯერად სალუქვაძესთან ერთად გერმანიაში **ლევან ქადაგიძეც** გაემგზავრება, სხვების გაგზავნა კი, სამწუხაროდ, არ ხერხდება. არადა, ახალგაზრდებისთვის შეკრება ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც დაოსტატების საშუალება, მაგრამ მეტი მონაწილის გასაგზავნად ფული არაა. ძალზე საწყენია მით უფრო, იმ ფონზე, რომ წლეულს ახალგაზრდა გოგოებმა საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეს. მათ დაამტკიცეს, რომ სალუქვაძისთვის ღირსეული პარტნიორობის გაწევა შეუძლიათ, ეს კი გუნდურ ჩათვლაში მედლების მოპოვების გარანტიაა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი. დევისის თასი

# იმედი პირველი მოკვდა

გუშინ საქართველოს ვაჟთა ნაკრები „დევისის თასის“ ევროპა-აფრიკის III ჯგუფში ჩაება. **ვიქტორ ბაქშის** გუნდი მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ასპარეზობს, სადაც ამ ტურნირის ევროპული ზონის 12 ყველაზე სუსტი ნაკრები შეიკრიბა II ჯგუფის ორი საგზურისთვის. ჩვენები C ჯგუფში მოხვდნენ ჩერნოგორიისა და სომხეთის ნაკრებებთან ერთად. პლეი ოფში მხოლოდ ერთი გუნდი გადის და ჩვენმა ნაკრებმა პირველივე თამაში წააგო ჯგუფის ფავორიტ ჩერნოგორიასთან, რითაც პრაქტიკულად, დაკარგა პირველი ადგილის დაკავების შანსი. 18 წლის **გიორგი ცივაძე** 19 წლის **ლიუბომირ ჩელებიჩთან** (1366) დამარცხდა - 3:6, 6:7 (4). 17 წლის **ალექსანდრე მეტრეველს** შანსი არ ჰქონია მაკედონიელთა ლიდერ **გორან ტოშიჩთან** (483) - 2:6, 0:6. მეტრეველისა და ცივაძის წყვილმა კი ჩელებიჩისა და ტოშიჩის დუეტთან 5:7, 0:6 წააგო. საბოლოოდ, ჩვენები 0:3 დამარცხდნენ. დღეს საქართველოს ნაკრები სომხეთის ნაკრებს გაეჯიბრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. ნაცუ ბაშო. 8-22 მაისი

# ტოჩინოშინ-200!

**ლევან გორგაძე,** იგივე **ტოჩინოშინი,** როგორც მას სუმოს სამყაროში იცნობენ, 23 წლისაა და ელიტაში ყველაზე ახალგაზრდა ფალავანია. მან პროფესიული სუმო 2006 წელს „დააგემოვნა“, ზუსტად 3 წლის წინათ კი მაისის ბაშოზე უმაღლეს დივიზიონში ჰქონდა დებიუტი. მას მერე ტოჩინოშინი ელიტაშია. ქართველმა შარშან ორჯერ მოიპოვა კომუსუბის ტიტული, ერთხელ კი ბაშოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. გუშინ ამ მიღწევებს ტოჩინოშინმა კარიერის საიუბილეო, მე-200 გამარჯვებაც დაურთო, რისთვისაც მონღოლური სუმოს პიონერი **კიოკუტენჰო** დაამარცხა. თითქმის წუთი რიკიშები დოჰიოს ცენტრში ჯაჯგურობდნენ, შემდეგ ლევანმა შეძლო მასზე 13 წლით უფროსი მონღოლის ძლიერი ჩაჭიდების „გახსნა“ და მეტოქე მიწოლით გაიყვანა რკალს მიღმა.

ტოჩინოშინს 4-0 ბალანსი აქვს, ასეთი შედეგით ნაცუ ბაშოზე მის გარდა დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და კიდევ სამი რიკიში თუ იწონებენ თავს. ეს ლევანს კარიერაში საუკეთესო დასაწყისია, რაც ელიტაშია - აქამდე მისი რეკორდი სტარტზე სამი მოგება იყო. ტოჩინოშინის დღევანდელი მეტოქე **არანია,** 27 წლის ოსი **ალან გაბარაევი.** ქართველსა და ოს შორის ურთიერთშეხვედრებში თანაფარდობაა - 3:3.

ტოჩინოშინის ყოჩაღობის შესახებ წერით ტოკიოდან კარგი სიახლეები გამოგველია, სხვა ქართველებს მაგრად უჭირთ ნაცუ ბაშოზე. ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია 200-კილოგრამიანმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი).** ამჯერად მას დაუმარცხებელმა **ტოიოჰიბიკიმ** აჯობა. ქართველის ძლიერი შეტევის მიუხედავად, 170-კილოიანი ტოიოჰიბიკი კლდესავით დადგა და გვერდული კონტრშეტევით იხეირა. გაგამარუს 1-3 ბალანსი აქვს, თუკი მის რეიტინგს გავითვალისწინებთ (მე-14 მაეგაშირაა), გავარდნის საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება. დღეს გაგამარუ 37 წლის **ტოჩინონადას** ხვდება, რომელსაც ქართველმა სამივე ურთიერთშეხვედრა მოუგო.

გაცილებით ცუდად მისდის საქმეები ძურიოს დივიზიონში კარიერაში პირველად გავარდნილ **კოკაის (ლევან ცაგურია).** მას იქ 0-4 ბალანსი აქვს და არც პერსპექტივა მოჩანს კარგი. დღეს კოკაის მეტოქე ექსსეკივაკე **ტამანოშიმაა.** თუკი „შავი ზღვა“ ძურიოდანაც გავარდა, კარიერის გაგრძელებას აზრი ნაკლებად ექნება.

დიდმა ჩემპიონმა ჰაკუჰომ ამჯერად **ტოჩიოძანი** დაიბრიყვა. მონღოლი ისეთი ძალით მიაწვა ტოჩინოშინის თანაკლუბელს, რომ როცა ეს უკანასკნელი დოჰიოდან გადავარდა, თავად ჰაკუჰო მუცლით დაეცა თიხნარზე. დაუმარცხებლები არიან რიგითი მაეგაშირები **ასასეკირიუ,** ტოიოჰიბიკი და **კაისეი.** მოკლედ, ხუთი ლიდერიდან 2 მონღოლია, თითო ქართველი, იაპონელი და ბრაზილიელი.

**IV დღე**

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ტოჩიოძანი (იორიკირი), გოეიდო-ჰარუმაფუჯი (ჰატაკიკომი), ჰომაშო-კოტოოშუ (იორიკირი), კაიოკიტატაიკი (იორიკირი), ბარუტო-ამინიშიკი (ოშიდაში), კისენოსატო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კაკურიუ-კოტოშოგიკუ (ჰატაკიკომი), ტაკეკაძე-ვაკანოსატო (ოშიდაში), ოკინოუმიარანი (სუკუინაგე), **ტოჩინოშინი**-კიოკუტენჰო (იორიკირი), იოშიკაძე-ტამავაში (იორიტაოში), ასასეკირიუ-შოტენრო (უჩიმუსო), ტოსაიუტაკა-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ვაკაკოიუ-ტოკიტენკუ (ჰატაკიკომი), ტოიოჰიბიკი-**გაგამარუ** (ცუკიოტოში), ტოჩინონადა-მიაბიამა (ცუკიოტოში), ტაკამისაკარი-ბუშუიამა (იორიკირი), კაისეი-კიმურაიამა (ოშიდაში). ძურიო: სადანოფუჯი-კოკაი (ოშიდაში).

**4-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), **ტოჩინოშინი** (მაეგაშირა 6), ასასეკირიუ (მ 9), ტოიოჰიბიკი (მ 12), კაისეი (მ 16)... 1-3: გაგამარუ (მ 14).

**V დღე**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები - მაკუუჩი:** ჰაკუჰო-კიტატაიკი, კოტოოშუ-გოეიდო, კაიო-ჰომაშო, ბარუტო-ტოჩიოძანი, ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე, კაკურიუ-ტოიონოშიმა, ამინიშიკი-ოკინოუმი, **ტოჩინოშინი**-არანი, **გაგამარუ**-ტოჩინონადა. **ძურიო: კოკაი**-ტამანოშიმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

# ცოტაც და...

ფრანგულ სენ გოდენში წარმატებული სტარტი აიღო **ანა ტატიშვილმა** (105). მეორე ნომრად განთესილმა ქართველმა პირველ წრეში იოლად სძლია მასპინძელ **ანაის ლორენდონს** (215) - 6:2, 6:3. მერვედფინალში ანას მეტოქე **ოლგა სავჩუკია** (უკრაინა, 149), რომელსაც ადრე გაცილებით მაღალი რეიტინგი ჰქონდა და ტოპ-100-ეულშიც ხშირად იყო. სხვათა შორის, ანამ წლეულს ერთხელ უკვე დაამარცხა სავჩუკი, ეს აკაპულკოს (მექსიკა) ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მოხდა. ჩვენებური ასეულის კარიბჭესთან არის და საინტერესოა, რა პერსპექტივა აქვს ამ გამარჯვების შემდეგ. ერთი მოგებით მან 12 ქულა გაინაღდა (1 ქულა შარშანდელი აკლდება). ასე რომ, ანას ახლა 651 ქულა აქვს. ეს კი საკმარისია... 102-ე ადგილზე გადასასვლელად. მოკლედ, უკრაინელთან გამარჯვება ჩვენს თანამემამულეს ჰაერივით სჭირდება.

იტალიურ რეჯიო ემილიაში **მაკა ჩახნაშვილი** (221) 50-ათასიან ტურნირში ითამაშებს. მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული **ანე შეფერია** (გერმანია, 388). სტამბოლის შეჯიბრების გამარჯვებულმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (429) იმავე ქალაქში მეორე შეჯიბრებაც წარმატებით დაიწყო, პირველ წრეში რუს **იანინა დარიშინას** (1039) მოუგო - 6:2, 5:7, 6:2. მერვედფინალში მე-3 ნომრად განთესილი ქართველი თურქ **სედა არანტეკინს** (1156) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუპერლიგა. 1/2 ფინალი. მეორე მატჩები

# შემობრუნება ქუთაისურად



ნახევარფინალის პირველ მატჩში თსუ-მ „ქუთაისს" ყველა კომპონენტში აჯობა. განმეორებით მატჩში ქუთათურთა მწვრთნელები ცვლილებებს რომ შემოგვთავაზებდნენ, კარგად ვიცოდით, მაგრამ საკითხავი ის იყო, რამდენად გამოიღებდა შედეგს იმერელთა გარჯა.

გამოილო: „ქუთაისმა" თსუ დამაჯერებლად დაამარცხა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. მაინც, რის ხარჯზე მოახერხეს სტუმრებმა უპირატესობის მოპოვება? პასუხი მარტივია: იმ კომპონენტების ხარჯზე, რის გამოც პირველი მატჩი წააგეს.

პირველ შეხვედრაში თსუ-მ „ქუთაისს" მოხსნებში 57:32 აჯობა, მეორეში სტუმრებმა ფარქვეშ არაფერი დათმეს და მოხსნებში სულაც 39:38 იმარჯვეს.

პირველ მატჩში **მიხეილ ფანჩულიძემ** „ქუთაისის" კალათში 6 სამქულიანი ჩააგდო. მეორე თამაშში მიშას ხან **ბარბაქაძე** მეურვეობდა მჭიდროდ, ხან - **კვიმსაძე**. საერთოდაც, **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდები პერიმეტრზე ძალიან ყურადღებით თამაშობდნენ, როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში: 20-დან 8 სამიანი ჩააგდეს.

სხვათა შორის, მატჩის შედეგზე დიდი გავლენა იქონია **თემურ ბაბუნაშვილის** მიერ მეოთხე პერიოდში ჩაგდებულმა ორმა სამქულიანმა, რის შემდეგაც „ქუთაისის" უპირატესობა 10 ქულამდე გაიზარდა - 65:55. დარჩენილ ექვს წუთში თსუ-მ თამაში გახსნა და სცადა „ქუთაისი" ტრადიციული პრესინგით (მთელს მოედანზე) მოეშთო, თუმცა სტუმრები ამისთვისაც მომზადებულები აღმოჩნდნენ - თსუ-ს ფარქვეშ **ვიქტორ კოლუაშვილი** იყო ჩასაფრებული და 17-დან 12 ქულა სწორედ მეოთხე პერიოდში ჩააგდო.

თბილისში გამართული ორი მატჩის შემდეგ „ქუთაისი" და თსუ იმერეთის დედაქალაქში გადაინაცვლებენ და 13 მაისს 18 საათზე მესამედ ითამაშებენ.

11 მაისი. თბილისი, სპორტის სასახლე

**თსუ-ქუთაისი 75:87**

12:24, 24:15, 17:16, 22:32

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი

კომისარი: რ. ხომერიკი

| თსუ | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფანჩულიძე | 34 | 5 | 1 | 2 | 3 | 2 | 0 | 16 |
| გაფრინდაშვილი | 24 | 3 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 4 |
| მარხვაშვილი | 16 | 3 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 5 |
| კოხრეიძე | 5 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლონდარიძე | 30 | 7 | 1 | 3 | 2 | 2 | 0 | 19 |
| კორკოტაძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჩიტაშვილი | 17 | 3 | 6 | 2 | 2 | 3 | 0 | 6 |
| მათიაშვილი | 31 | 5 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 8 |
| მ. ბერიშვილი | 36 | 12 | 3 | 3 | 3 | 3 | 0 | 17 |
| **ქუთაისი** | **წთ** | **მ** | **პ** | **ფ** | **შ** | **ჩ** | **დ** | **ქ** |
| ბაბუნაშვილი | 27 | 2 | 3 | 3 | 1 | 4 | 0 | 11 |
| დიდია | 35 | 4 | 4 | 2 | 3 | 0 | 1 | 12 |
| კვიმსაძე | 38 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 0 | 13 |
| ბოლქვაძე | 17 | 8 | 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 7 |
| ლომინაშვილი | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| გ. ბარბაქაძე | 33 | 7 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 17 |
| ცეკვავა | 23 | 6 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 6 |
| კოლუაშვილი | 23 | 2 | 4 | 4 | 2 | 0 | 0 | 17 |

**სერიაში ანგარიშია - 1:1**

*შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.*

**V ადგილი**

| | |
|---|---|
| შსს | 78 |
| სამედიცინო | 69 |

27:15, 14:19, 23:18, 14:17

**შსს:** ლაფანაშვილი (9ქ, 9მ), ნიკოლაძე (4ქ, 4პ), ი. ბერიშვილი (17ქ, 9პ, 6მ), ტუჯანი (4ქ), დ. ბარბაქაძე (15ქ, 3პ), იმნაძე (19ქ, 8მ), შერმადინი (2ქ), ტომარაძე (8ქ, 5მ)

**სამედიცინო:** გულისაბედაშვილი, ჩაჩიბაია (2ქ), ს. ლეჟავა (5ქ), თავართქილაძე (3ქ), ბექაური (8ქ, 8მ, 2დ), გაბისონია, როდუმტა, ჭოჭუა (4ქ), ფაიქრიძე (3ქ, 5მ), დვალიშვილი (20ქ, 5მ), როჯერსი (24ქ, 3პ, 3ჩ)

**VII ადგილი**

| | |
|---|---|
| სტუ | 76 |
| ენერჯი | 66 |

20:19, 17:15, 11:15, 28:17

**სტუ:** ქოხონელიძე, ვ. ბერუაშვილი (7ქ, 9მ, 2დ), ჩიკვილაძე (32ქ, 11მ, 5პ), ლომოური (11ქ, 6მ, 3ჩ), გასიტაშვილი (3ქ, 4პ), მაჩალაძე (4ქ, 9მ, 3ჩ, 3დ), თევზაძე, ჯანგველაძე (17ქ, 9მ), ძიძიგური (2ქ), ახალკაცი

**ენერჯი:** გ. ბერუაშვილი (3ქ, 4ჩ), აბაიშვილი (17ქ, 7პ, 5ჩ), გუგავა (9ქ, 3ჩ, 8მ), ლამუ (20ქ, 15მ), თვარაძე (5ქ), არაბული (12ქ, 12მ), აბულაძე

# არმიამ თოფი გატენა...

„არმიამ" ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩიც მოუგო „სოხუმს" და სუპერლიგის ფინალს მიუახლოვდა (სერია 3 გამარჯვებამდეა), თუმცა ჯერ ფინალისტ „არმიაზე" ლაპარაკი ნაადრევია, რადგან მისი მეტოქე ამოუცნობი „სოხუმია". როგორც ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **აინარს ბაგაცკისი** ამბობს, სოხუმელები არაპროგნოზირებადები არა მხოლოდ მეტოქისთვის, არამედ საკუთარი მწვრთნელისთვისაც არიან.

ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა გუშინდელ შეხვედრაში. მაშინ, როცა „არმია" 15 ქულით წინ იყო და მოედანზე კონტროლიც დანესებული ჰქონდა, „სოხუმმა" ერთბაშად იფეთქა: **ფაცაციას** 5 ქულისა და **ფარლალავას** სამქულიანის შემდეგ სხვაობა 8 ქულამდე შემცირდა (საფინალო სირენამდე 5 წუთი რჩებოდა). ამ ეპიზოდში მოედანზე სოხუმელთაგან ნომინალური ცენტრი არ იდგა, ბაგაცკისს თამაშის შემოტრიალება სწრაფი თამაშით ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა **კოტე ტულუშმა** და **გიორგი შარაბიძემ** ანთებული სოხუმელები მალე დააცხრეს. რასაც მათი დაღლა დაერთო...



გამარჯვებულთა შორის გამორჩეული იყო შარაბიძე, რომელიც ცენტრის გარდა მძიმე ფორვარდის პოზიციაზეც თამაშობდა და ქულებს არა მხოლოდ სამწამიანი ზონიდან, შორეული ორქულიანებითაც აგროვებდა. საბოლოოდ გიორგიმ 26 ქულას მოუყარა თავი. მისმა თანაგუნდელებმა მეტოქეს ფარქვეშ აშკარად აჯობეს - ბურთი 56-ჯერ მოხსნეს, მაშინ, როცა „სოხუმმა" 20-ით ნაკლები მოხსნა.

სერიის მესამე მატჩი თბილისში 13 მაისს 14 საათზე გაიმართება.

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები

11 მაისი. თბილისი, სპორტის სასახლე

**არმია-სოხუმი 85:65**

24:14, 22:17, 21:21, 18:13

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: მ. რატიშვილი

| არმია | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ბოისა | 37 | 10 | 2 | 4 | 0 | 2 | 0 | 9 |
| მინაშვილი | 7 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ტულუში | 36 | 3 | 4 | 1 | 4 | 3 | 0 | 19 |
| პირველაშვილი | 18 | 7 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 |
| მოსეშვილი | 8 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ათანელიშვილი | 23 | 12 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 12 |
| შარაბიძე | 32 | 5 | 1 | 4 | 0 | 0 | 1 | 26 |
| ბ. ბერიშვილი | 34 | 9 | 5 | 4 | 0 | 0 | 0 | 12 |
| **სოხუმი** | **წთ** | **მ** | **პ** | **ფ** | **შ** | **ჩ** | **დ** | **ქ** |
| ფარლალავა | 34 | 3 | 5 | 4 | 1 | 0 | 0 | 18 |
| პარისი | 22 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ჩლაიძე | 18 | 1 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 |
| კვეტენაძე | 15 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შანიძე | 21 | 4 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 13 |
| სორდია | 14 | 5 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კანკია | 12 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოვალიანი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კ. დამუსი | 17 | 8 | 0 | 2 | 1 | 1 | 4 | 5 |
| რ. დამუსი | 9 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 |
| ფაცაცია | 36 | 9 | 3 | 3 | 5 | 1 | 0 | 17 |

**სერიას იგებს არმია - 2:0**

*შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.*

● ქართველი NBA-ში



# ზაზას 13 ჩიკაგოსთვის თარსი არ აღმოჩნდა

## ფაჩულია: მატჩი 48 წუთი გრძელდება!

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ** წლევანდელ პლეი ოფში საუკეთესო მატჩი ჩაატარა - **ჯეფ ტიგთან** (21 ქულა) ერთად „ატლანტაში" საუკეთესო იყო, თუმცა ქართველის მიერ ჩაგდებულმა 13-მა ქულამ „ქორებს" „ჩიკაგო ბულზი" ვერ დაამარცხებინა. „ხარებმა" სერიის მეხუთე მატჩი 95:83 მოიგეს და 3:2 დაწინაურდნენ. მომდევნო შეხვედრა 12 მაისს „ატლანტას" „ფილიპს არენაზე" გაიმართება. წაგების შემთხვევაში ჯორჯიელები აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალს დაემშვიდობებიან, ხოლო თუ 12 მაისს იმარჯვეს, ყველაფერს სერიის ბოლო შეხვედრა გადაწყვეტს, რომელიც 15 მაისს ჩიკაგოშია დაგეგმილი.

„ჩიკაგო"-"ატლანტას" მეხუთე მატჩის ხილვის საშუალება ქართველ გულშემატკივარსაც ჰქონდა. ვინც ეს შანსი გამოიყენა, დარწმუნდებოდა, რომ „ბულზი" უძლეველი გუნდი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ **დერეკ როუზი** ჩვეული ეფექტურობით ქულას ქულაზე იხვეჭდა, ჯორჯიელები „ხარებს" დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. „ჩიკაგომ" ყველაზე დიდი უპირატესობა პირველივე პერიოდში მოიპოვა - 17 ქულით გაიჭრა წინ, თუმცა „ქორებმა" უმალ 13:2 სპურტით უპასუხეს და სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს - 30:36. გაქცევისას 6 ქულა ფაჩულიას ანგარიშზე იყო, რომელიც თავიდანვე თამამად ჩაერთო თამაშში და ქულა-ქულას რომ მიაყოლა, თანაგუნდელებმაც მისი პასებით მომარაგებას მიჰყვეს ხელი. იმ ეპიზოდში „ატლანტას" არც სამქულიანი ტყორცნები (სტუმრებმა პერიმეტრიდან მხოლოდ 1 სროლა გამოიყენეს) მისდიოდა და არც საშუალო მანძილიდან სროლები, ამიტომაც იყო დასაფასებელი ზაზას აქტიურობა მეტოქის ფარქვეშ. ერთ ეპიზოდში ქართველმა **კარლოს ბუზერს** თავი გაუტეხა, თუმცა ბრძოლის მომენტი იყო და მსაჯებმა ჯარიმა არ დააფიქსირეს. გამოცემა SB Nation-ში ფაჩულიას მეორე პერიოდის ვარსკვლავი შემთხვევით როდი უწოდეს. მან პირველი ტაიმი 11 ქულით, 3 მოხსნით დაასრულა და მასპინძლებს სოლიდური ფორის მოპოვება არ დაანება.

მესამე პერიოდში თანაბარი თამაში გაჩაღდა. ამ მეოთხედში ზაზა მოედანზე რომ გამოვიდა, „ჩიკაგო" 5 ქულით იგებდა, თუმცა ქართველმა სტუმართა ფარის მისადგომები კარგად გადაკეტა და მალე „ატლანტამ" „ჩიკაგოს" 65:64 გაასწრო. მას მერე თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, ასეთი სიტუაცია იყო მეოთხე პერიოდის დასაწყისამდე, თუმცა სირენამდე 11:10 წუთით ადრე ფაჩულიამ მეოთხე ფოლი მიიღო და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. შეიძლება ზაზა მოედანზე რომ ყოფილიყო, „ატლანტას" მაინც ვერ შეეჩერებინა მასპინძლები, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ფაჩულიას მოედნიდან გასვლის შემდეგ გაილაღეს ჩიკაგოელებმა, რაც უმთავრესად ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობის შედეგი იყო.

ფაჩულიას მონაგარს ქვემოთ გაეცნობით, აქ კი გეტყვით, რომ იგი ერთადერთი ატლანტელი იყო, რომლის მოედანზე ყოფნის დროსაც „ჰოქსი" უპირატესობას ინარჩუნებდა: +3.

მატჩის შემდეგ ფაჩულიამ დაგვაიმედა:

- NBA-ს ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს. მეხუთე მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამოჩნდა, რომ „ჩიკაგოს" ძლევა შეგვიძლია. ამისთვის საჭიროა 48 წუთის განმავლობაში სწორი გზიდან არ გადავუხვიოთ. მომდევნო მატჩი ატლანტაშია და საკუთარი მოედნის უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ.

**ჩიკაგო-ატლანტა 95:83**

**ზაზა ფაჩულია:** 22:53 წუთი, 13 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 4 მოხსნა, 1 პასი, 4 ფოლი

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 04:10 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 03:20 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 03:18 | ორქულიანი: 2ქ (17:22) |
| 00:33 | პასი: 1 (კროუფორდი 2ქ, 21:32) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:30 | ორქულიანი: 4ქ (23:32) |
| 09:28 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:31 | ჩატენვა: 6ქ (27:36) |
| 07:27 | ორქულიანი: 8ქ (30:36) |
| 05:55 | საჯარიმოები: 2/1 (9ქ, 31:40) |
| 04:07 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 03:26 | ფოლი: 1 |
| 03:00 | საჯარიმოები: 2/2 (11ქ, 37:44) |
| 01:55 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 00:34 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:41 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 04:47 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 03:13 | ფოლი: 3 |
| 00:09 | ორქულიანი: 13ქ (68:67) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:23 | ფოლი: 4 |
| 10:23 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

### რაფაელ ჩიმიშკიანი



დაიბადა 23. 03. 1929, თბილისში. ძალოსნობა (56, 60 კგ). 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1954, 55) და ორგზის მეორე პრიზიორი (1950, 53), ევროპის ექვსგზის ჩემპიონი (1950-51, 54-57) და მეორე პრიზიორი (1953), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1951), სსრკ ათგზის ჩემპიონი (1949, 51, 54, 55, 60) - პირად შეჯიბრებაში; 1948-52-გუნდურ ჩათვლაში), ხუთგზის მეორე (1950, 52, 53, 57, 58) და მესამე (1956) პრიზიორი, სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1956). მსოფლიოს 11-გზის რეკორდსმენი, აქედან 5 რეკორდი დამყარებული აქვს სამჭიდში: 337,5 კგ (1952), 340 კგ (1953), 342,5 კგ, 345 კგ, 350 კგ (1954). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ღირსების და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

1. რა არის სალდასტის კრივი?
ა — კრივი ცალი ხელით
ბ — ჯგუფური ჩხუბი
გ — ძველი თბილისური სამხედრო-სპორტული თამაში

2. რომელ წელს მოიპოვა პირველად დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გამარჯვება საჭადრაკო ოლიმპიადაში საქართველოს ქალთა ნაკრებმა?
ა — 1990 წელს
ბ — 1992 წელს
გ — 1996 წელს

3. სად აჟღერდა პირველად საქართველოს ეროვნული ჰიმნი ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენის გამარჯვების აღსანიშნავად?
ა — ბარსელონაში
ბ — ატლანტაში
გ — ათენში

4. სად ვკითხულობთ: „სხვათა მძლეველი, თვით უძლეველი, მძლედ მორკინალი"
ა — „ვეფხისტყაოსანში"
ბ — „ქართლის ცხოვრებაში"
გ — „ამირანდარეჯანიანში"

5. რა ჰქვია მწერალ ალექსანდრე ქუთათელის (1903-1962) რომანს, რომლის მიხედვითაც გადაღებულია კინოფილმი „მეფხიერი შეხვედრა"...
ა — „ფალავანი"
ბ — „ლელო"
გ — „ჭაბუკი"

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ

## იყო ასეთი შემთხვევა...

ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი (ნახევარმცველი, 58 მატჩი, 5 გოლი) ბესო მჭედლიშვილი იგონებს:

ბაქოში ვეცდებით მატჩი. მიხაილ იაკუშინმა თამაშისწინა თათბირზე მითხრა: „ბესო, ადევნე მაიკუ ნომერ დვა". დავიბოლე. ცოტა ხანში დავიმარტოხელე და თავშეკავებით ვეუბნები: „მოგეტ ბიტ დრუგოი ნომერ ოდინ". სახეში არ შემოუხედავს, ისე და მითხრა: „ტი ჩტო, ხოჩეშ ნა დვოიკუ ედინიცუ პრიბავიტ"... უხმოდ გამოვტრიალდი.

## პირველი, პირველმა, პირველად

### თემა: ფარიკაობა

**პირველი** ოქროს მედლები საქართველოს მოფარიკავეებმა მოიპოვეს 1948 წელს (დამბა, გუნდური-გიგა ერისთავი; ხმალი, გუნდური-ალექსანდრე ბათმანიძე).

**პირველმა** საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება საქართველოს სპორტსმენებიდან მოიპოვა თბილისელმა **ალექსანდრე ადაროვმა**. ხმლით მოფარიკავეთა პირადი ტურნირი მან 1949 წელს თბილისში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში მოიგო.

**პირველად** საქართველოს მოფარიკავეებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში 1944 წელს გამოიდნენ.

## ვინ რა თქვა...

„პირადად მე არასოდეს ვყოფილვარ სპორტსმენი ამ სიტყვის ქრესტომათიული გაგებით. მაგრამ ჩემი ცხოვრება ვერ წარმოიდგენია სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის გარეშე. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ მსახიობის პროფესია ნერვული, სულიერი და ფიზიკური ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ, შეუძლებელია იყო მსახიობი, თეატრის თუ კინოში მთავარ როლებს ასრულებდე და სპორტისადმი არ ვარჯიშობდე. რამდენიმე წლის წინათ, შესაძლოა ასე კატეგორიულად ვერც მეთქვა ეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სანამ საკუთარ ტყავზე არ გამოცდი..."

**ოთარ მეღვინეთუხუცესი (1983 წ)**



ოთარ მეღვინეთუხუცესი

## შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** ვარ ახალბედა მოცურავე. ძალიან მაინტერესებს საქართველოს მოცურავეებიდან ვის ჰქონდა უმაღლესი მიღწევები და როდის.

ზუკა შალამბერიძე
ქუთაისი




**პასუხი:** 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე 4X200 მეტრზე ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალი ხვდა თბილისელ მოცურავეს, ევროპის სამგზის რეკორდსმენს **ბორის ნიკიტინს**, 400 მ — XVI. მანვე 1958 წელს ევროპის ჩემპიონატზე იმავე დისციპლინებში შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიგო. 1960 წლის ოლიმპიადაზე VIII ადგილი დაიკავა (4X200 მ).

1970 წელს ევროპის ჩემპიონატზე გულაღმა ცურვაში (100 მ) ფინიშთან პირველი მიიჭრა სსრკ შეიდგზის ჩემპიონი თბილისელი **თინათინ ლეკვეიშვილი**. გარდა ამისა, იგი კომბინირებულ ესტაფეტაში (4X100 მ) მეორე, გულაღმა (200 მ) ცურვაში მესამე იყო. სხვა მიღწევები: ევროპის თასის მფლობელი (1969). ოლიმპიური თამაშების (1968) მონაწილე — IV ადგილი (კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ) და XV ადგილი (გულაღმა 100 მ). იმავე დისციპლინებში 1972 წლის ოლიმპიადაზე დაიკავა შესაბამისად IV და X ადგილები, გამოვიდა 200 მ გულაღმა ცურვაშიც — XX ადგილი.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქუთაისელი **ირინა გერასიმოვამ** (200 მ, კომპლექსური ცურვა) ბრინჯაო ერგო, იმავე დისტანციაზე 1983 წელს კი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ევროპის 1966 წლის ჩემპიონატის მეიგო თბილისელმა **ალექსანდრე ტუტაკაევმა** (კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ). მონაწილეობდა 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებში — IV ადგილი.

## დროება წერდა

„აჰა, კიდევ ერთი ჩვეულება, რომელიც თანდათან ვარდება.

ამ ოცი, ოცდაათი წლის წინათ, თფილისის მუშტიკრივში თითქმის მთელი ქალაქის ხალხი იღებდა მონაწილეობას; ერთის მხრით ზემო-უბნელები, მეორეს მხრით ქვემო-უბნელები დგებოდნენ და ნელ-ნელა, ცოტ-ცოტათი მოჰყვებოდნენ მუშტის ქნევასა. უნარჩინებულესნი პირნი მაშინდელ ქართველებში არ თაკილობდნენ, რომ ამ გვარს ხალხის ქეიფში მიეღოთ მონაწილეობა: კრივი რო გაცხარდებოდა, ესენი წინ მიუძღოდნენ, ან უკანიდამ ამხნევებდნენ მოკრივეებს და ხან თვითონაც ჩაერეოდნენ.

ყეენობა ხომ რაღა!

დიდ-მარხვის ორშაბათს ყველა დუქნები დაიკეტებოდა. ვირზე შებრძანებულ, ნახშირივით გამურულ ყეენს რამდენიმე ათასი კაცი მოსდევდა. ...ანჩისხატის უბანში რამდენიმე კაცი შეიყარა და ერთი-ორი მუშტი გაიქნიეს.

ყეენობას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა... ამ გვარი ისტორიული ფაქტების შენახვას და გავრცელებას უნდა ვცდილობდეთ ჩვენ".

**ს. მესხი, „ყეენობა და მუშტი-კრივი", გაზ „დროება", 1875, №24.**

## თარიღი 12-18 მაისი

**12. 1961 წ.** გაიხსნა თბილისის სპორტის სასახლე.
**12. 1977 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა იუგოსლავიის ტურნეს დროს „მარიბორი" 2:1 დაამარცხეს.
**13. 1981 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა 2:1 სძლია დიუსელდორფში „კარლ ცაისს" და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.
**14. 2008 წ.** რაგბის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს რაგბის კავშირს 700 ათასი გირვანქა გამოუყო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.
**15. 1952 წ.** დაიბადა **ოლეგ ზურაბიანი** - ძიუდო.
**15. 1914 წ.** დაიბადა **მიხეილ ბერძენიშვილი** - ფეხბურთი.
**17. 2009 წ.** „ვიტ ჯორჯია" მეორედ გახდა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონი
**17. 1928 წ.** ამ დღეს ამსტერდამში (ნიდერლანდები) გაიხსნა ზაფხულის IX ოლიმპიური თამაშები.
**17. 1976 წ.** დაიბადა **გიორგი წმინდაშვილი** - ძიუდო.
**17. 1927 წ.** დაიბადა **კარლო ყრუაშვილი** - ფეხბურთი (მსაჯი, მწვრთნელი).
**18. 1961 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა თბილისში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო (2:0) ბირმინგემის „ასტონ ვილას".
18. 2007 წ. რუსთავის „აზოტის" კალათბურთელთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ჰოლანდიელი მწვრთნელი; 7. თბილისის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 8. სასოფლო სპორტსაზოგადოება სსრ კავშირში. 9. ფეხბურთის გულშემატკივრების სახელწოდება ბრაზილიაში; 10. ჭადრაკში: მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა; 11. ველომრბოლელი ... ფხაკაძე; 13. 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 14. ჩოგბურთში ბურთის მიწოდებისას დაბალი და ძლიერი დარტყმა; 15. ძველებური ქართული თამაშობა ცხენოსნობაში; 16. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ... სორელი; 18. სუპერლიგაში მოთამაშე საკალათბურთო გუნდი; 19. სასტენდო სროლის ცნობილი ქართველი ოსტატი და მწვრთნელი; 20. რაგბის მატჩის ერთ-ერთი კომპონენტი; 22. თბილისის "დინამოს" მწვრთნელი 2006-08 წლებში; 23. ქართველი ალპინისტი, "თოვლის ჯიქის" ტიტულის ორგზის მფლობელი; 25. წარსულში თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორვარდი.

**შვეულად:** 1. საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტი; 2. თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი; 3. ტანვარჯიშული ან აკრობატული ფიგურა; 4. საფეხბურთო კლუბ "ანჟის" ყოფილი ქართველი მწვრთნელი; 5. ვეტერანი ფალავანი, მსოფლიოს ჩემპიონი; 6. ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე ქალი; 7. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 12. წყლის სპორტის სახეობა – იალქნით აღჭურვილი ფიცრით სრიალი ზღვის ტალღებზე; 17. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, ამჟამად პატიმარი; 21. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 24. სპორტული შეხვედრის ერთ-ერთი შედეგი.

**შეადგინა ლალი ჭიჭინაძე**

## ფოტომატიანე



1926 წ. თბილისისა და ბაქოს დინამოელ ფეხბურთელთა გუნდები. წინა პლანზეა თბილისელთა 15 წლის მეკარე ალექსანდრე დოროხოვი - 11 მაისს, მისი დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

*გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები

# რობინსონმა ორმოცი სკოტი იხმო

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, შოტლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცმა **ენდი რობინსონმა** 40-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. „ნარშავები“ მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმისთვის მზადებას 20 ივნისიდან შეუდგებიან. რობინსონი მათგან 30 მორაგბეს აირჩევს და „სკოტები“ პირველ შეხვედრას 14 სექტემბერს ინვერქარგილში „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ გამართავენ.

შოტლანდიელთა თავკაცმა გაფართოებულ შემადგენლობაში ოთხი ახალბედა შეიყვანა: **რობერტ ჰარლი, რაიან გრანტი, დევიდ დენტონი** და **ჯეკ კათბერტი,** რომლებმაც თავი „მაგნერს ლიგის“ გათამაშების ბოლო ტურებში დადებითად წარმოაჩინეს.

*„გუნდით კმაყოფილი ვარ. შემადგენლობა გამოცდილი და ახალგაზრდა, პერსპექტიული მორაგბეების შესანიშნავი ნაზავია. ახლა მათთვის მთავარია, მსოფლიოს თასის გათამაშებას სათამაშო ფორმის პიკში შეხვდნენ, რათა თვითონაც, მათი ოჯახებიც, მეგობრებიც და მთელი ქვეყანა სექტემბერ-ოქტომბერში ამაყად თავაწეულები დადიოდნენ.*

*შოტლანდიის ნაკრებმა მსოფლიოს თასის ყველა გათამაშებაში შეძლო მეოთხედფინალში გასვლა. ჩვენი პროგრამა მინიმუმიც ეს არის მერე კი ვნახოთ.*

*მსოფლიოს თასისთვის მზადებას ივნისის ბოლოსთვის დავიწყებთ. კარგად გვესმის, რომ მოთამაშეები სხვადასხვა ფიზიკურ კონდიციაში იქნებიან. ამიტომ, თავდაპირველად თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურად ვიმუშავებთ.“* - თქვა ენდი რობინსონმა.



მარცხნიდან: რობერტ ჰარლი, დეივ დენტონი და რაიან გრანტი

**შოტლანდიის ნაკრები**

უკანა ხაზი: ჯო ენსბრო (ნორსჰემპთონი), მაიკ ბლერი, ბენ კაირნსი, ნიკ დე ლუკა, გრეგ ლაიდლოუ, კრის პატერსონი (ყველა-ედინბურგი), კრის კასიტერი, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, გრემ მორისონი (სამივე-გლაზგო), ჯეკ კათბერტი (ბასი), საიმონ დენიელი (ალსტერი), რორი ლამონტი (ტულონი), შონ ლამონტი (ჰლანეჰლი), რორი ლოუსონი (გლოსტერი), დენ პარქსი (კარდიფი), ჰუგო საუთვილი (სტად ფრანსე), ნიკი ვოლკერი (ოსფრიზი).

შერკინება: ჯონ ბარკლი, ჯონ ბითი, რაიან გრანტი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, რობერტ ჰარლი, ალისტერ კელოკი, ფერგიუს თომსონი, რიჩი ვერნონი, მურეი ლოუ (ყველა-გლაზგო), კელი ბრაუნი (სარასენზი), გოფ კროსი, დევიდ დენტონი, როს ფორდი, ალენ იაკობსენი, როს რენი (ყველა-ედინბურგი), ალასდაირ დიკინსონი, ჯიმი ჰემილტონი, სკოტ ლაუსონი, ალასდაირ სტროკოში (ოთხივე-გლოსტერი), ევან მურეი (ნიუკასლი), ნათან ჰაინსი (ლენსტერი).

# ლივერმონი ახალგაზრდების იმედადაა

სავარაუდო, 32-კაციანი შემადგენლობა დაასახელა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა.** „ლე ბლე“ მსოფლიოს თასისთვის მზადებას ივნისის ბოლოს დაიწყებს და ლივერმონმა ორი ზედმეტი მორაგბის ვინაობა 20 აგვისტოს უნდა თქვას.

საფრანგეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ ისეთი ცნობილი და ძალზე გამოცდილი მორაგბეები, როგორებიც **სებასტიან შაბალი, იანიკ ჟოზიონი** და **კლემან პუატრენო** არიან. სამაგიეროდ ლივერმონმა შანსი მისცა ორ ტრამვირებულ მორაგბეს, **ტომა დომინგოს** და **ორელიან რუჟერის.** თუ ისინი გამოჯანმრთელებას მოასწრებენ, ადვილი შესაძლებელია, ახალ ზელანდიაში იახლოს.

გამოძახებულთა შორის ერთი დებიუტანტიცაა - ბასკური „ბიარიცის“ მესამეხაზელი **რაფაელ ლაკაფი.** განაცხადშია ასევე ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი.** მიუხედავად იმისა, რომ „იაში“ დიდი ხანია, საფრანგეთის ნაკრების წევრია, წლევანდელი მსოფლიოს თასის გათამაშება მისთვის პირველი იქნება.

სებასტიან შაბალის ნაკრების მიღმა დატოვებას მიმომხილველები მის მიერ ახლახან ფრანგი მსაჯების საჯარო ლანძღვას უკავშირებენ, რასაც ლივერმონი კატეგორიულად უარყოფს.

*„სებასტიანს ველაპარაკე, ავუხსენი, რომ ის ეროვნულ გუნდში სპორტული მაჩვენებლების გამო ვერ ხვდება. ექვსი ერის გათამაშებაში მას შანსი ბევრჯერ მივეცი, მაგრამ ახლა მირჩევნია, ახალ ზელანდიაში ახალგაზრდა, მზარდი მესამეხაზელები ლუი პიკამოლი და რაფაელ ლაკაფია წავიყვანო“* - თქვა მარკ ლივერმონმა.

**საფრანგეთის ნაკრები**

პირველი ხაზი: ვილიამ სერვა, ჟან-ბატისტ პუ (ორივე-ტულუზი), დიმიტრი სარჟევსკი (სტად ფრანსე), ფაბიენ ბარსელა, სილვენ მარკონე (ორივე-ბიარიცი), ტომას დომინგო (კლერმონი), , ლუკ დუკალკონი (კასტრი), ნიკოლა მასი (პერპინიანი).

მეორე ხაზი: პასკალ პაპე (სტად ფრანსე), ჟულიენ პიერი (კლერმონი), რომენ მიოშლუსკი (ტულუზი), ლიონელ ნალე (მეტრო რასინგი).

მესამე ხაზი: ჟულიენ ბონერი (კლერმონი), იმანოლ არინორდოკი, რაფაელ ლაკაფია (ბიარიცი) ტიერი დუსოტუარი, ლუი პიკამოლი (ორივე-ტულუზი), ფულენსი უოდრაოგო (მონპელიე).

№9: მორგან პარა (კლერმონი), დიმიტრი იაშვილი (ბიარიცი).

№10: დევიდ სკრელა (ტულუზი), ფრანსუა ტრინ-დუკი (მონპელიე).

№12-13: ფაბრის ესტებანესი (ბრივი), მაქსიმ მერმოსი, დავიდ მარტი (ორივე-პერპინიანი), ორელიან რუჟერი (კლერმონი).

№11-14: ალექსის პალისონი (ბრივი), ვინსენ კლერი (ტულუზი), იოან უგე (ბაიონი), დამიენ ტრაი (ბიარიცი).

№15: მაქსიმ მედარი (ტულუზი), სედრიკ ეიმანსი (ტულუზი).



ბურთით სებასტიან შაბალი

ზე რაგბი

# ჯვაროსნების ჰეგემონია

ზე რაგბის გათამაშების მე-12 ტურის ცენტრალურ მატჩში ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ სტუმრად შესანიშნავად ითამაშა და კეიპთაუნის „სტორმერზი“20:14 დაამარცხა. ჰოდა, სულაც არ არის გასაკვირი, რომ სიმბოლურ ნაკრებში ერთბაშად ხუთი „ჯვაროსანი“ მოხვდა. ეს შედეგი წლევანდელი გათამაშების რეკორდია. ამდენი მორაგბე საუკეთესოთა შორის ჯერ არავის ჰყოლია.

ორ-ორი მორაგბე მიავლინეს ტურის ნაკრებში ბლუმფონტეინის „ჩიტაზმა“, ჰემილთონის „ჩიფსმა“ და ბრისბენის „რედსმა“. თითო მოთამაშე მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში პერთის „ფორსიდან“, კეიპთაუნის „სტორმერზიდან“ და დურბანის „ნატალ შარქსიდან“.

**სიმბოლური ნაკრები**

15. რაიან ვილჯოენი (ჩიტაზი), 14. ლელია მასაგა (ჩიფსი), 13. ჟაკ ფური (სტორმერზი), 12. სონი ბილ ვილიამსი (კრუსეიდერზი), 11. სტივენი სივივატუ (ჩიფსი), 10. სიას ებერსონი (ჩიტაზი), 9. ვილი გენია (რედსი). 1. უაით კროკეტი (კრუსეიდერზი), 2. კევინ მეალამუ (ბლუზი), 3. ოუენ ფრენქსი (კრუსეიდერზი), 4. სტივენ სიქსი (ნატალ შარქსი), 5. კრის ჯეკი (კრუსეიდერზი), 6. სკოთ ჰიგინბოთამი (რედსი), 7. დევიდ პოკოქი (ფორსი), 8. კირან რიდი (კრუსეიდერზი).

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა



დევები-ბათუმი XV

# ისევ ჯიქები და ბათუმი XV

საქართველოს ჩემპიონატის I ლიგაში დაუმარცხებელი ისევ ორია - თბილისის „ჯიქები“ და „ბათუმი XV“. ორივე მათგანმა უკვე არაერთხელ დაადასტურა უმაღლეს ლიგაში გადასვლის ამბიციის საფუძვლიანობა. ისიც საგულისხმოა, რომ „ჯიქები“ და „ბათუმი XV“ ერთმანეთს პირველი წრის ბოლო მატჩში თბილისში დაუპირისპირდებიან და, სავარაუდოდ, ამ შეხვედრაში გაირკვევა, ვინ იქნება ცალი ფეხით ელიტურ გუნდებს შორის.

მანამდე, მე-5 ტურში „ჯიქები“ ფოთს სტუმრობდნენ და იქაური „რაინდები“ მშრალი ანგარიშით 51:0 დაამარცხეს. ბათუმელებმა თბილისში სამოყვარულო გუნდ „დევებთან“ გაიმარჯვეს - 57:19.

მომდევნო ტურში „ჯიქები“ ოზურგეთში „არწივებს“ დაუპირისპირდება, რომელმაც სტუმრად ასტრონომიული ანგარიშით 123:0 წააგო თბილისის „ხულიგანასთან“, ბათუმელი მორაგბეები კი „რაინდებს“ უმასპინძლებენ.

მეხუთე ტურის კიდევ ერთ შეხვედრაში „თი ბი სიმ“ შინ მოუგო ქუთაისის „ბაგრატს“ - 19:6.

**V ტური**

ხულიგანა-არწივები 123:0, დევები-ბათუმი XV 19:57, თი ბი სი-ბაგრატი 19:6, რაინდები-ჯიქები 0:51

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბათუმი XV - 10 ქულა; 2. ჯიქები - 10; 3. ხულიგანა - 6; 4. თი ბი სი 6; 5. დევები - 4; 6. ბაგრატი - 2; 7. რაინდები - 2; 8. არწივები - 0.

**VI ტური**

ბაგრატი-დევები, არწივები-ჯიქები, ბათუმი XV-რაინდები, ხულიგანა-თი ბი სი

ლაურეატი

# ტომ ვუდი ინგლისში საუკეთესოა

„ავივა პრემიერშიფი“ ანუ ინგლისის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ჩასატარებელი მხოლოდ ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრებილა დარჩა. ამ ქვეყნის ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა და ინტერესი იქ მიმდინარე მოვლენებისადმი გასაგებიცაა.

მართალია, ჩემპიონატი ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა უკვე გამოავლინეს „ავივა პრემიერშიფის“ სეზონის მოთამაშე. ასეთად ინგლისის ნაკრებისა და „ნორსჰემპთონის“ მესამეხაზელი **ტომ ვუდი** დაასახელეს.

**ოცნების გუნდი**

15. მაიკ ბრაუნი (ჰარლიქუინზი), 14. დევიდ სტრიტი (სარასენზი), 13. მანუ ტუილაგი, 12. ენტონი ალენი (ორივე-ლესტერი), 11. კრის ეშტონი (ნორსჰემპთონი), 10. ჯიმი გოპერთი (ნიუკასლი), 9. დენ ქერი (ჰარლიქუინზი) 1. სოანე ტონგაუიჰა (ნორსჰემპთონი), 2, სხალკ ბრიტსი (სარასენზი), 3. ბრაიან მუჯატი, 4. კორტნი ლავი (ნორსჰემპთონი), 5. ტომ ჰეისი (ექსეტერი), 6. ტომ ვუდი (ნორსჰემპთონი), 7. ჟაკ ბურგერი (სარასენზი), 8. თომას ვალდრომი (ლესტერი).

ლეგიონი

# მაა ნონუმ მონპელიე უარყო

ახლახან ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომავალი სეზონიდან ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბი **მაა ნონუ** საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეში“ ითამაშებს.

ეს ინფორმაცია მაა ნონუმ კატეგორიულად უარყო.

*„წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეს, რომ „მონპელიეში“ თამაშს ვაპირებ. ამ გუნდთან მოლაპარაკებაც კი არ მქონია. გასაგებია, რომ ყველას აინტერესებს, ესა თუ ის მორაგბე მომავალში რას აპირებს, სად ითამაშებს. მე გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.*

*„ოლ ბლექსის“ მორაგბეები ცხოვრების ნახევარზე მეტია, ახალ ზელანდიაში თამაშობენ. ცხადია, როცა კარიერა დასასრულისკენ მიდის, ფიქრობ, რაც შეიძლება, სარფიანი კონტრაქტი გააფორმო. ყველა თვითონ წყვეტს, როგორ მოიქცეს - ვისაც უნდა, საფრანგეთის სამხრეთში პლაჟზე მზეს ეფიცხება, ვის კიდევ ინგლისში ორმოცი მატჩით მეტ თამაშში უწევს გარჯა, ვინ კიდევ მთელ ცხოვრებას სუშის ჭამაში ატარებს.*

*ერთი სიტყვით, ჯერ არაფერი გადამიწყვეტია და როგორც კი რამე სიახლე იქნება, უმალ შეგატყობინებთ“*- თქვა მაა ნონუმ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



მენისა და ხუანის მეორე ბრძოლის აფიშა

# მენიმ ახალი მსხვერპლი იპოვა

გაირკვა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის, ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მორიგი მეტოქის ვინაობა. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ამა წლის 12 ნოემბერს, ამერიკის ქალაქ ლას ვეგასში „პაკმენი" მჩატე წონაში მსოფლიოს ჩემპიონს, მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს** შეხვდება. ეს ამ მოკრივეების რიგით მესამე ბრძოლა იქნება.

მარკესი დათანხმდა პაკიაოს პრომოუტერის **ბობ არუმის** წინადადებას. ამ უკანასკნელის თქმით, მომავალ კონტრაქტში სრულად არის გათვალისწინებული მექსიკელი მოკრივის მოთხოვნები. კერძოდ, გარანტირებული ჰონორარი 5 მილიონის ოდენობით, აგრეთვე ბრძოლის გამართვა საშუალედო წონაში (65.3 კგ).

*„მე მივიღე ეს წინადადება,* - ამბობს მარკესი. - *ველოდი ამ შეთავაზებას და კიდევ ერთხელ სიამოვნებით შევხვდები პაკიაოს".*

აღსანიშნავია, რომ მარკესს **ოსკარ დე ლა ჰოიას** პრომოუტერული კომპანიაც სთავაზობს იმავე პირობებით სხვა ბრძოლის გამართვას, თუმცა მექსიკელს ეჭვი ეპარება Golden Boy Promotions-თან კონტრაქტის გაფორმებაზე: *„ვნახოთ, რას შემომთავაზებენ. ზუსტად იგივე თანხა უნდა იყოს და წონაც არ უნდა შეიცვალოს. იყო ლაპარაკი საულ ალვარესთან ჩხუბზე, მაგრამ მეეჭვება ის 65 კილოგრამში ჩაეტიოს".*

შეგახსენებთ, რომ პაკიაომ გასულ კვირას იჩხუბა **შეინ მოზლის** წინააღმდეგ და ზედიზედ მე-14 გამარჯვებას მიაღწია. რაც შეეხება მარკესს, ბოლოს მან 2010 წლის 27 ნოემბერს ავსტრალიელი **მაიკლ კაციდისი** ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. მას კარიერაში 58 ბრძოლა აქვს გამართული, მოიგო 52 (38 ნოკაუტით), წააგო ხუთი და ერთი ფრედ დაასრულა.

მექსიკელი პაკიაოს პირველად 2004 წლის 8 მაისს შეხვდა და ის ბრძოლა ფრედ დასრულდა, 2008 წლის 15 მარტს კი ფილიპინელმა ქულებით დაამარცხა მარკესი.

# ვის რამდენი ეკუთვნის?

ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და ამერიკელი **შეინ მოზლის** ბრძოლის წინ საინტერესო რეიტინგი გამოაქვეყნა ჟურნალმა „რინგმა". მან შეადგინა ათი მოკრივის სია, რომლებიც ყველაზე მეტ ჰონორარს იღებენ რინგზე გასვლისთვის. ასევე შეადარა ამ მებრძოლების დღევანდელი შემოსავალი იმას, რაც მათ კარიერის დასაწყისში ჰქონდათ. როგორც „რინგის" ჟურნალისტი წერს, ამ კვლევას კონკრეტული მიზანი ჰქონდა - ჟურნალს აინტერესებს, უახლოესი ერთ-ორი წლის განმავლობაში რა ხარისხის ბრძოლების ხილვა შეეძლებათ კრივის მოყვარულებს.

## 10. ანტონიო მარგარიტო

**ანტონიო მარგარიტომ პოლ უილიამსთან** ბრძოლისთვის მილიონი დოლარი მიიღო, პაკიაოსთან შარშანდელი ჩხუბისთვის - 6 მილიონი. მართალია, ამ თანხისთვის მან კინაღამ ორივე თვალი დაკარგა და რამდენიმე კბილის გარეშე დარჩა, სამაგიეროდ, ახლა ფული იმდენი აქვს, შეუძლია პლასტიკური ოპერაცია გაიკეთოს. მთავარია, პაკიაოს აღარ გადაეყაროს რინგზე.

## 9. მიგელ კოტო

**მიგელ კოტოს** ყოველთვის კარგი ჰონორარი ჰქონდა, მაგრამ **რიკარდო მაიორგასთან** ბოლო ბრძოლისთვის მხოლოდ 2 მილიონი მიიღო. შემდეგი იქნება რევანში მარგარიტოსთან. მიგელი დაახლოებით 5 მილიონის აღებას აპირებს (გაყიდული სატელევიზიო უფლებების გაუთვალისწინებლად). თუმცა არ არის გამორიცხული, ამ ბრძოლის გამარჯვებულმა კიდევ უფრო მეტი თანხა გამოიმუშაოს, წაგებულს კი ასეთი პატივი არ ერგება. კოტო რეიტინგში მაღლა დგას, ამიტომაც წინა ბრძოლებში საშუალოდ უფრო მეტს იღებდა. მაგალითად, მარგარიტოსთან პირველ ბრძოლაში გარანტირებული 3 მილიონი ჰქონდა, მექსიკელს - 1.5 მილიონი.

## 8. ხუან მანუელ მარკესი

**ხუან მანუელ მარკესი** კარიერის პირველ ეტაპზე საუკეთესო შემთხვევაში 50 ათასს იღებდა, როგორც ეს **მაიდანასთან** ბრძოლაში იყო. პაკიაოსთან პირველმა ბრძოლამ ნახევარი მილიონი მოუტანა, 4 მილიონი - **ფლოიდ მეივეზერთან** წაგებული ჩხუბისთვის. ასეთ სიტუაციაში მისთვის წამგებიანია არაპრესტიჟული ბრძოლები. უკეთესი იქნება დაელოდოს პაკიაოსთან მესამე ბრძოლას. შემდეგ? ამის შემდეგ ის დათანხმდება **მორალესთან** ჩხუბს. სხვათა შორის, ოდესღაც მარკესმა მორალესთან 1.5-მილიონიან ჩხუბზე თქვა უარი და **კრის ჯონსს** შეხვდა 30 ათასისთვის. თან წააგო.

## 7. სერხიო მარტინესი

**სერხიო მარტინესის** ჰონორარი სტაბილურია: **პოლ უილიამსთან** - ერთი მილიონი, **კელი პავლიკთან** - ამდენივე, **ძინძირუკთან** - 1.2 მილიონი. რა თქმა უნდა თანხის ოდენობა შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ არგენტინელს პერსპექტივები გააჩნია. ამისთვის საჭიროა რინგზე **ფლოიდ მეივეზერის** შეტყუება. რაც შეეხება პაკიაოს, მან უკვე თქვა უარი მარტინესთან შეხვედრაზე. შესაძლებელია მარგარიტოსთვის რევანშის აღება ან უილიამსთან მესამე ბრძოლის ჩატარება. ერთი ცხადია - იაფი ბრძოლები აღარ იქნება.

## 6. ბერნარდ ჰოპკინსი

**ბერნარდ ჰოპკინსი** ხარბი მოკრივეა და ამას მისთვის დიდი ფული მოაქვს. **ჟან პასკალთან** მომავალი რევანშის საჰონორარო ფონდი სულ რაღაც 1.9 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს ცოტაა იმ ადამიანისთვის, ვინც **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** ბრძოლისთვის 15 მილიონი მიიღო, **ტრინიდადთან** ჩხუბისთვის - 2.75 მილიონი, **ჰოვარდ ისტმენთან** - 3.8 მილიონი. თუმცა ეს არც არის გასაკვირი - ბოლოს და ბოლოს, ჰოპკინსი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო. მისი ბოლო ჰონორარი **როი ჯონსთან** მატჩ-რევანშისთვის 2 მილიონ დოლარს უდრიდა. სხვათა შორის, კარიერაში პირველი ჩხუბისთვის ბერნარდმა 350 დოლარი გამოიმუშავა.

## 5. დევიდ ჰეი

**დევიდ ჰეი** წყალს ამღვრევს. ზუსტად არავინ იცის, რა თანხას მიიღებს სკანდალური ბრიტანელი **ვლადიმერ კლიჩკოსთან** ბრძოლისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ეს შეხვედრა საერთოდ გაიმართა. თუმცა თანხა ნაკლები არ იქნება იმაზე, რაც ბრიტანელმა თანამემამულე **ოდლი ჰარისონთან** ჩხუბისთვის მიიღო - 5.6 მილიონი.

## 4. შეინ მოზლი

**შეინ მოზლი** საკმაოდ ძვირი ღირს. ის ადრეც ფასობდა, რადგან ტელეკომპანია HBO-ის ერთ-ერთი საყვარელი მოკრივე იყო: 4.5 მილიონი დე ლა ჰოიასთან ერთი ჩხუბისთვის და თითქმის ამდენი - მეორისთვის. 4.5 მილიონი **უინკი რაიტთან** ორი ბრძოლისთვის. 2009 წლის მაისში მეივეზერთან წაგებული ბრძოლის ჰონორარმა 6.7 მილიონი დოლარი შეადგინა. დადასტურებული ინფორმაცია არ არის, მაგრამ წინა კვირას პაკიაოსთან ჩხუბისთვის 5 მილიონი გამოიმუშავა.

## 3. ძმები კლიჩკოები

სადებიუტო ბრძოლებში ძმები კლიჩკოების ჰონორარი სასაცილო იყო. მაგალითად, ვლადიმერმა **ბრიუსტერთან** შეხვედრაში 531 ათასი დოლარი დაიმსახურა, **უილიამსონთან** ჩხუბისთვის - 300 ათასი. დღეს ყველაფერი სხვანაირადაა. 3 მილიონი ევრო ტელეკომპანია RTL-ისგან ყოველი ჩხუბისთვის, 1-1.5 მილიონი ბილეთების რეალიზაციიდან, ნახევარი მილიონი მთელ მსოფლიოში ბრძოლის ტრანსლაციის გაყიდვიდან, 2 მილიონი ჩხუბის დროს რეკლამის გაშვებისთვის. რა თქმა უნდა, ძმებს გასავალიც აქვთ - თანხას უყოფენ ბიზნესპარტნიორებს. და მაინც, ჰონორარები ძალიან მაღალია.

## 2. მენი პაკიაო

მაგრამ მენი პაკიაო უკრაინელებზე მეტს იღებს. თავის დროზე მარკესთან მეორე ბრძოლისთვის 3 მილიონი გამოიმუშავა, შემდეგ კი 13-13 მილიონი მიიღო **ჰატონთან** და კოტოსთან შეხვედრებისთვის, 15 მილიონი შეადგინა **კლოტისთან** ჩხუბის შემოსავალმა, 20 მილიონი მარგარიტოს გალახვისთვის. თან ჩვენ არ ვიცით „ნაიკთან" და ლუდ San Miguel-ისთან კონტრაქტების ოდენობა. ასე რომ, ფილიპინელს ფლოიდ მეივეზერთან ჩხუბი მძაფრი შეგრძნებებისთვის თუ სჭირდება - მისი ფინანსური მდგომარეობა ძალიან მყარია.

## 1. ფლოიდ მეივეზერი

ფლოიდ მეივეზერმა 2007 წელს ყველაზე შემოსავლიანი სპორტსმენების სიაში წინ მხოლოდ **ტაიგერ ვუდსი** (128 მლნ), **ფილ მიკელსონი** (62 მლნ) და **ლებრონ ჯეიმსი** (40.5 მლნ) გაუშვა. მაგრამ დღეს ამ რეიტინგში პაკიაოს ვხედავთ, ფლოიდს - აღარ. ამბობენ, რომ წინა რიცხვებიც გადაჭარბებული იყო. მაგალითად, არ მიუღია 20 მილიონი რესტლინგში მონაწილეობისთვის. ეს ორჯერ ამცირებს საერთო თანხას.

1.5 მილიონი **კორალესთან** ჩხუბისთვის, 3.2 - **გატისთან**, 5 - **ჯუდასთან**, 25 - დე ლა ჰოიასთან, 30 - მარკესთან. სწორედ ამ ბოლო ბრძოლის გამო უსწრებს ამ რეიტინგში ფლოიდი მენის. მეივეზერისა და მარკესის ჩხუბი თითქოს უინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ ამერიკელმა 30 მილიონი გამოიმუშავა - არაფრის გამო. ფასიან საკაბელო არხებზე ბრძოლის ხილვისთვის მილიონმა ადამიანმა გადაიხადა ფული. შედარებისთვის, მარკესისა და პაკიაოს ბოლო ბრძოლა 400 ათასმა კაცმა შეუკვეთა. მეივეზერისა და დე ლა ჰოიას ბრძოლის ნახვაც უფრო მეტ მაყურებელს სურდა, ვიდრე ოსკარისა და მენის დაპირისპირების. ჰატონთან ბრძოლაც ფლოიდმა უკეთ გაყიდა, ვიდრე ფილიპინელმა. მოზლისთან ბრძოლისთვის ფლოიდმა გარანტირებული 22.5 მილიონი მიიღო და თან 1.4 მილიონ კაცს მიჰყიდა ჩვენების უფლება. მისმა საერთო შემოსავალმა 30 მილიონი შეადგინა. ჯერჯერობით უცნობია, რა მაჩვენებელი დააფიქსირა პაკიაომ გასულ კვირას იმავე მეტოქესთან ბრძოლაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ფლოიდ მეივეზერი

კალათბურთი

# დიდი ფული ნიუ იორკში?

### ლეგენდარულ დამრიგებელს ნიქსის მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ

როგორც ვიცით, ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** უკვე ჩაატარა თავისი მდიდარი და შთამბეჭდავი კარიერის ბოლო მატჩი და პენსიაში გავიდა. მისმა „ლეიკერსმა" სამარცხვინოდ დაასრულა პლეი ოფის სერია „დალასთან", ამიტომაც ჯექსონის სათანადოდ გაცილება არ გამოუვიდა.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. უფრო საინტერესოა გაზეთ „ნიუ იორკ პოსტის" ინფორმაცია, რომელიც ლიგასთან დაახლოებულ სანდო წყაროს ეყრდნობა. ფილმა შეიძლება განაგრძოს კარიერა, კერძოდ, მომავალ სეზონში „ნიუ იორკ ნიქსი" ჩაიბაროს.

გაზეთი წერს, რომ NBA-ის ყველა დროის ტიტულოვანი მწვრთნელი იმ შემთხვევაში დათანხმდება „ნიქსის" წინადადებას, თუ ნიუიორკელთა შეთავაზება დამაჯერებელი იქნება. სხვათა შორის, ჯექსონი მოთამაშის რანგში ორჯერ იყო ჩემპიონი და ორივეჯერ „ნიუ იორკის" შემადგენლობაში.

■ ■ ■

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ლიგის 30 გუნდის მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგად შეადგინა ამ სეზონის საუკეთესო დამცველთა ორი სიმბოლური ნაკრები. თითო მწვრთნელს ორ-ორი ხუთეული უნდა დაესახელებინა და უფლება არ ჰქონდა იქ თავისი გუნდის კალათბურთელი შეეყვანა. ყველაზე მეტი ხმა (58 შესაძლებლიდან - 56) „ორლანდო მეჯიქის" სუპერცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** მიიღო, რომელიც ზედიზედ მესამედ გახდა ლიგის საუკეთესო დამცველი.

**პირველი ხუთეული:** რაჟონ რონდო („ბოსტონი", 39 ქულა), კობი ბრაიანტი („ლეიკერსი", 33), ლებრონ ჯეიმსი („მაიამი", 38), კევინ გარნეტი („ბოსტონი", 33), დუაიტ ჰოვარდი („ორლანდო", 56);

**მეორე ხუთეული:** კრის პოლი („ნიუ ორლეანი"), ტონი ალენი („მემფისი"), ანდრე იგუოდალა („ფილადელფია"), ჟოაკიმ ნოა („ჩიკაგო"), ტაისონ ჩენდლერი („დალასი").

■ ■ ■

„ინდიანა პეისერსის" პრეზიდენტი, ლეგენდარული **ლარი ბერდი** გააგრძელებს მუშაობას თავის ამჟამინდელ პოსტზე. ასევე თანამდებობაზე დარჩება გუნდის გენერალური მენეჯერი **დევიდ მორუეი**. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში „პეისერსი" 2006 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფში.

*„ბერდმა სამწლიანი გეგმა შემოგვთავაზა და მესამე წლის თავზე დანაპირები აასრულა - ჩვენ პლეი ოფში გავედით,* - ამბობს კლუბის მფლობელი **ჰერბ საიმონი**. - *გარდა ამისა, მისი უნარიანი მოქმედებით ბიუჯეტში გარკვეული თანხა გამოგვითავისუფლდა ახალი მოთამაშეების შესაძენად".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# მეშვიდე მატჩი იქნება

ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ 0:3-ის შემდეგ „დეტროიტი“ შეძლებდა სერიაში ანგარიშის გათანაბრებას. „სან ხოსე“ ძალიან კარგად გამოიყურებოდა და დამაჯერებლად მიიწევდა კონფერენციის ფინალისკენ. მაგრამ ზედიზედ სამი წაგების შემდეგ „ზვიგენების“ მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. მართალია, სერიის მეშვიდე მატჩი სან ხოსეში გაიმართება, მაგრამ ფსიქოლოგიური უპირატესობა აშკარად დეტროიტელთა მხარესაა და ამან, შესაძლოა, დიდი როლი ითამაშოს საბოლოო შედეგზე.

თუმცა არ უნდა დავივიწყოთ „ზვიგენების“ მეკარის - **ანტი ნიემის** ფაქტორი. ფინელი გოლკიპერი სასწაულებს ახდენს და თუნდაც წაგებულ მატჩებში საუკეთესოდ სახელდება. ასე იყო გუშინდელ შეხვედრაში.

მეექვსე შეხვედრა „დეტროიტის“ უპირატესობით წარიმართა, მაგრამ სწორედ ნიემის ოსტატობის გამო პირველმა ორმა პერიოდმა უგოლოდ ჩაიარა. პირველი შაიბა კი მესამე პერიოდის დასაწყისში გავიდა და ის სტუმრებმა გაიტანეს. **ჯეიმს ჰოვარდმა** ვერ შეძლო **ლოგან კუტურის** დარტყმის შემდეგ შაიბის დაფიქსირება, რომელმაც სულ რამდენიმე სანტიმეტრით გადაკვეთა კარის ხაზი.

უსამართლობით განრისხებული მასპინძლები მაშინვე შტურმზე წავიდნენ და პერიოდის შუაში, როგორც იქნა, მიზანს მიაღწიეს. გოლის ავტორი **ჰენრიკ ზეტერბერგი** გახდა, რომელიც საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და თანდათან იბრუნებს ძველ ფორმას.

„რედ უინგზი“ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებდა. ზეტერბერგის გოლის შემდეგ დაახლოებით ორ წუთში მასპინძლები უკვე წინ იყვნენ - **ვალტერი ფილპულამ** შუა ზონაში ჩაშალა მეტოქის შეტევა, **პაველ დაციუკთან** კედელი გაითამაშა და ზუსტად დაარტყა.

ბოლოს „სან ხოსემ“ ნიემი წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით შეცვალა, მაგრამ საკუთარ კარში მიიღო შაიბა - ზუსტად დაარტყა **დარენ ჰელმმა** - 3:1.

**დეტროიტი–სან ხოსე 3:1**

**0:0, 0:0, 3:1**

**გოლები:** 0:1 კუტური-5 (ჰიტლი-5), 1:1 ზეტერბერგი-2 (კრონვალი-4, ფილპულა-5), 2:1 ფილპულა-2 (დაციუკი-11), 3:1 ჰელმი-3.

**სერია: 3-3**

## ველოსპორტი



ლეოპარდები ჯიროდან წავიდნენ

# მაინც წავიდნენ

ჯირო დ'იტალიაზე დაღუპული ბელგიელი ველომრბოლის **ვოუტერ ვეილანდტის** გუნდმა - Leopard Trek-მა იტალიური ველომარათონის მიტოვება გადაწყვიტა. ლუქსემბურგულმა ველოსაჯინიბომ ეს ნაბიჯი გუნდის წევრებს შორის ჩატარებული კრების შემდეგ მიიღო. მენეჯერები დაეთანხმნენ ველომრბოლთა არჩევანს.

*„პატივს ვცემთ ჯირო დ'იტალიას და მთლიანად ველოსპორტს, მაგრამ ტრაგიკული გარემოებების გამო არ შეგვიძლია ველომარათონის გაგრძელება. ჩვენ პროფესიონალი სპორტსმენები ვართ, თუმცა მოცემულ მომენტში მიგვაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა“*, - ამბობს გუნდის კაპიტანი **ფაბიან ვეგმანი**.

Leopard-Trek-ის მენეჯერი **ბრაიან ნიგაარდი**: *„ეს გადაწყვეტილება სწორედ გუნდის წევრებს უნდა მიეღოთ, რადგან სწორედ ისინი არიან შეჯიბრების შემადგენელი ნაწილი. ყოველთვის მხარს დავუჭერთ მათ არჩევანს. გვინდა მადლობა გადავუხადოთ სხვა გუნდებს, ველორბოლის ორგანიზატორებს, იტალიის მთავრობასა და გულშემატკივრებს ამ ტრაგედიის გულთან ახლოს მიტანის გამო“*.

## ამბები

**კალათბურთი**

### მესინას რეალში აბრუნებენ

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** კლუბში იტალიელი სპეციალისტის **ეტორა მესინას** დაბრუნებით არის დაინტერესებული. ამ მწვრთნელმა დაახლოებით ორი თვის წინ დატოვა „რეალის“ თავკაცის პოსტი.

საინტერესოა, რომ პერესი მესინას გენერალური მენეჯერის თანამდებობას სთავაზობს, თანაც იტალიელს ამ სამუშაოსთან მთავარი მწვრთნელის პოსტის შეთავსებაც შეეძლება.

შეგახსენებთ, რომ „რეალი“ ცოტა ხნის წინ ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ მონაწილე იყო, მაგრამ იქ ორივე შეხვედრა წააგო და მეოთხე ადგილზე გავიდა.

**ფორმულა 1**

### ტესტები 2013 წელს აღდგება

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან ტოდტი** 2009 წელს მიღებული წესის გაუქმებას აპირებს. ამ წესის თანახმად, გუნდებს სეზონის მსვლელობისას ტესტების ჩატარება მკაცრად აქვთ აკრძალული. დღეისთვის საჯინიბოებს ტექნიკური სიახლეების გამოცდა მხოლოდ სარბოლო უქმეების დროს, თავისუფალი პრაქტიკის მსვლელობისას შეუძლიათ.

ტოდტის თქმით, 2013 წელს სეზონის მსვლელობისას ტესტების პროგრამა აღდგება - ეს იქნება ჩემპიონატის მიმდინარეობისას სამი ორდღიანი სერია. უფრო მეტიც, თუ გუნდები შეთანხმებამდე მივლენ, წესი შეიძლება 2012 წელსაც შეიცვალოს.

**ჩოგბურთი**

### ახალი ტურნირი ვაშინგტონს მისცეს

წელს, ქალთა პროფესიულ ტურში ახალი ტურნირი გაიმართება - მას აშშ-ის დედაქალაქი ვაშინგტონი უმასპინძლებს. შეჯიბრების სახელწოდებაა - Mid-Atlantic Women's Tennis Championships. მისი საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარი იქნება, ჩატარების თარიღი - 25-31 ივლისი.

უკვე ცნობილია, რომ ვაშინგტონში განთესვის ლიდერი ისრაელის წარმომადგენელი **შაარ პეერი** იქნება. ასევე აპირებენ ამერიკის დედაქალაქში თამაშს ჩეხი **ლუსი საფაროვა**, ავსტრალიელი **ელენა დოკიჩი**, ადგილობრივები - **სლოუნ სტივენსი** და **მელანი ოუდინი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-ფლიტვუდი | 6:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-რეჯინა | 1:3 |

**იტალიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ინტერი-რომა | 1:1 (1:0) |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ალმერია-ვილიარეალი | 0:0 |
| ლევანტე-ბარსელონა | 1:1 |
| სოსიედადი-სარაგოსა | 2:1 |
| ესპანიოლი-ვალენსია | 2:2 |
| ერკულესი-მალიორკა | 2:2 |
| ოსასუნა-სევილია | 3:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბასეტე-ნუმანსია | 1:2 |
| პონფერადინა-ბარსელონა B | 2:2 |
| რეკრეატივო-ხიმნასტიკი | 1:0 |
| ვალიადოლიდი-კორდობა | 5:1 |
| ბეტისი-ტენერიფე | 3:1 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ოსერი-ლიონი | 4:0 |
| ლანსი-ბორდო | 1:0 |
| მონპელიე-ლორიანი | 3:1 |
| ნიცა-არლი | 3:2 |
| რენი-კაენი | 1:1 |
| სოშო-მონაკო | 3:0 |
| ტულუზა-ვალანსი | 0:0 |
| მარსელი-ბრესტი | 3:0 |

**ბელგია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-გენტი | 4:1 |
| ლოკერენი-სტანდარდი | 0:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| ჰართსი-სელტიკი | 0:3 |
| ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2:0 |
| მოზერველი-კილმარნოკი | 1:1 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრეჩინი-კოუდენბითი | 2:2 |
| ფორფარი-ეირი | 1:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანანი-ალოა | 2:1 |
| ქუინზ პარკი-ალბიონი | 1:1 |

**ნორვეგიის თასი**

**II ეტაპი**

| | |
|---|---|
| ალტა-ტრიომსდალენი | 3:0 |
| ასანე-ლოვ ჰამი | 1:1 პენ. 9:8 |
| ბორუმი-სარპსბორგი | 2:3 |
| ბირკებეინერენი-სტრიომსგოდ. | 1:2 |
| ბიარდი-ჰაუგესუნდი | 0:3 |
| ბოდო გლიმტი-სკარპი | 6:1 |
| ფანა-ბრანი | 2:3 |
| ტონსბერგი-მიონდალენი | 0:2 |
| გიავიკი-ლილესტრიომი | 0:2 |
| ჰასლე-სტაბეკი | 1:2 |
| კფუმი-ჰიონეფოსი | 0:2 |
| კიელსასი-ვოლერენგა | 2:1 |
| კვიკი-სანდეფიორდი | 1:2 |
| ლევანგერი-ტილერი | 1:1 პენ. 3:4 |
| მანდალი-ოდ გრენლანდი | 0:2 |
| ნესოდენი-ფრედრიკსტადი | 0:3 |
| ნილი-ლორენსკოგი | 3:3 დ.დ. 3:5 |
| რანდაბერგი-ფლეკეროი | 3:2 |
| სანდნესი-ვიდარი | 2:0 |
| სენია-ტრომსიო | 0:3 |
| სტიორდალსი-რანჰაიმი | 2:3 |
| სტრომენი-ნოტოდენი | 0:1 |
| ტორნადო-ოლესუნდი | 0:5 |
| ტრაფი-მიოლდე | 0:2 |
| ვერდალი-რუსენბორგი | 0:5 |
| ვინდბიარტი-სტარტი | 3:4 |

**შვედეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლულეა-იურგორდენი | 1:2 |
| ფალკენბერგი-სირიანსკა | 0:0 პენ. 4:2 |
| იონჩოპინგი-მალმიო | 0:4 |
| ლიუნგსკილე-ერებრუ | 2:2 პენ. 2:4 |
| ოსტერი-ჰაკენი | 0:0 პენ. 4:2 |
| სირიუსი-კალმარი | 0:1 |
| ვასალუნდსი-მიალბიუ | 2:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ტიროლი-რიდი | 1:1 |
| რაპიდი-მატერსბურგი | 0:0 |
| შტურმი-აუსტრია | 1:1 |
| ვინერი-ლინცერი | 0:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბელინცონა-სტ. გალენი | 1:3 |
| ქსამაქსი-თუნი | 1:4 |
| ციურიხი-ბაზელი | 2:2 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ბილი-კრინსი | 7:0 |
| ლუგანო-სერვეტი | 0:6 |
| შაფჰაუზენი-არაუ | 2:2 |
| ნიონე-ლოზანა | 0:5 |
| ვინტერტური-ვადუცი | 1:1 |
| ვოლენი-ვილი | 2:1 |
| ივერდონი-ლოკარნო | 2:1 |

**თურქეთის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ბუიუქსეჰირი | 2:2 პენ. 4:3 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ომონია-აპოელ | 1:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-გრინდავიკი | 2:1 |
| ფილკირი-ფრამი | 0:0 |
| კეფლავიკი-ჰაფნარი | 1:1 |
| ტორი-სტიარნანი | 0:1 |
| ვიკინგური-რეიკიავიკი | 0:2 |
| ვალური-ვესტმანაიეარი | 0:1 |

**ჩეხეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| სიგმა-სლავია | 1:0 (3:0) |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-შენიცა | 3:2 |
| კოშიცე-დუბნიცა | 1:1 |
| ნიტრა-რუჟემბეროკი | 0:2 |
| ჟილინა-ტატრანი | 2:1 |
| მორავცე-დ. სტრედა | 3:0 |

**რუსეთის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| როსტოვი-ალანია | 0:0 პენ. 5:6 |
| სპარტაკი-ცსკა | 3:3 პენ. 4:5 |

**უკრაინის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| დინამო-არსენალი | 2:0 |
| შახტარი-დნიპრო | 2:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| არკა-რუხი | 0:2 |
| ვიძევი-ბელხატოვი | 1:1 |
| ვისლა-ლეხი | 1:0 |
| კორონა-ლეჩია | 2:3 |

**ხორვატიის თასი**

**ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| დინამო-ვარტექსი | 5:1 |

**სერბეთის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| პარტიზანი-ვოივოდინა | 2:1 *შეწყდა* |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| პრიმორიე-გორიცა | 2:3 |
| ტრიგლავი-ნაფტა | 4:0 |
| კოპერი-ოლიმპია | 2:1 |
| დომჟალე-რუდარი | 2:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| უიპეშტი-კეჩმეკეტი | 2:1 |
| ვიდეოტონი-კაპოშვარი | 3:1 |
| დიორი-ჰონვედი | 3:0 |
| მტკ-ჰალადაში | 0:3 |

**რუმინეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-სტიაუა | 1:1 (0:0) |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ბელშინა-ბატე | 0:2 |
| ვიტებსკი-ნაფტანი | 0:1 |
| ტორპედო-დინამო (მნ) | 1:0 |
| დინამო (ბრ)-ნემანი | 1:1 |
| მინსკი-გომელი | 2:1 |
| შახტიორი-დნეპრი | 2:2 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| მეტალურგსი-გულბენე | 1:2 |
| სკონტო-ვენტსპილსი | 1:3 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| კაუნასი-ბანგა | 1:1 |
| მაჟეიკიაი-კრუოია | 0:2 |
| დაინავა-შიაულიაი | 1:1 |
| ატლანტასი-კლაიპედა | 1:3 |
| ეკრანასი-ტაურასი | 1:0 |
| სუდუვა-ჟალგირისი | 1:1 |

**ისრაელის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-ირონი | 2:0 |
| მაკაბი (ნ)-მაკაბი (ჰ) | 2:3 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| დეპ. პერეირა-იტაგუი | 0:2 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| სენსიანო-ხუან აურიჩი | 2:1 |
| სპ. კრისტალი-კოლეგიო | 1:1 |
| კობრესალი-სესარ ვალიეხო | 1:2 |
| უნიონი-მელგარი | 1:2 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**აზია**

| | |
|---|---|
| ალ ჯაზირა-სეპაჰანი | 1:4 |
| ალ ჰილალი-ალ გარაფა | 2:0 |
| ფახთაქორი-ალ სადი | 1:1 |
| ესტეგლალი-ალ ნასრი | 2:1 |
| გამბა-ტიანიინი | 2:0 |
| ჯეჯუ-მელბურნი | 1:1 |
| ჰანგჯუ-სეული | 1:1 |

### კალათბურთი

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ტრიუმფი-დინამო | 106:109 (ო) |
| უნიქსი-ნ. ნოვგოროდი | 91:77 |
| კრ. კრილია-ენისეი | 87:65 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ეფესი-პინარი | 90:72 |
| ფენერბაჰჩე-ანტალია | 80:77 |

### ჰოკეი

**მს. ჩემპიონატი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-აშშ | 4:0 |
| შვედეთი-გერმანია | 5:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| **ჩელა**-სიმონი | 6:4, 6:2 |
| კუბოტი-**ჯოკოვიჩი** | 0:6, 3:6 |
| **ვავრინკა**-ვოლანდრი | 6:1, 3:6, 6:2 |
| კუერი-**ალმაგრო** | 3:6, 6:7 |
| **ნადალი**-ლორენცი | 6:7, 6:4, 6:0 |
| მელცერი-**ფ. მაიერი** | 4:6, 0:6 |
| ლუბიჩიჩი-**ფიში** | 6:7, 7:5, 2:6 |
| **ფ. ლოპესი**-კოლშრაიბერი | 6:4, 3:6, 6:3 |
| ტროიცკი-**სტარაჩე** | 4:6, 4:6 |
| **ფედერერი**-ცონგა | 6:4, 6:2 |
| ფერერი-ჩილიჩი | გადაიდო |

**WTA. რომი**

| | |
|---|---|
| ოპრანდი-**ჰანტუხოვა** | 5:7, 1:6 |
| **პავლიუჩენკოვა**-დუშევინა | 7:5, 6:4 |
| ბრიანტი-**არნი** | 4:6, 4:6 |
| პეტკოვიჩი-**ჰერცოგი** | 4:6, 3:6 |
| **სტოსური**-ბენეშოვა | 6:1, 7:5 |
| **პეერი**-კლეიბანოვა | 6:3, 7:5 |
| **მედინა გარიგესი**-ბარტოლი | 6:4, 6:3 |
| **ნა ლი**-დომინგეს ლინო | 6:4, 6:2 |
| ა. რადვანსკა-**ვესნინა** | 6:3, 2:6, 1:6 |
| საფაროვა-**იანკოვიჩი** | 0:6, 3:6 |
| მატეკი-**გაიდოშოვა** | 2:6, 4:6 |
| ივანოვიჩი-**ვიკმაიერი** | 6:2, 6:7, 3:6 |
| **აზარენკა**-ერანი | 6:1, 6:2 |
| **ვოზნიაცკი**-როდიონოვა | 6:2, 6:0 |

## TV პროგრამა

**12 მაისი. ხუთშაბათი**

### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისი ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბრესტი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ბარსელონა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნანსი.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ფიორენტინა.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. სანკტ პაული-ბაიერნი.
**00:00** ინგლისი ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.

### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ლიონი.
**11:35** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. V მატჩი.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/16 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. 1/2 ფინალი. მაკაბი-რეალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/16 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**01:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. V მატჩი.
**04:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ატლანტა-ჩიკაგო. VI მატჩი (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**13:55** მძლეოსნობა. World Challenge League. კორეა (LIVE).
**05:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. სან ხოსე-დეტროიტი. VII მატჩი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**03:10** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. ველეს სარსფილდი-ლიბერტადი. პირველი მატჩი (LIVE).
**05:40** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. ხაგუარესი-სერო პორტენიო. პირველი მატჩი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია (LIVE).
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია (LIVE).

### SPORT+

**05:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. სან ხოსე-დეტროიტი. VII მატჩი (LIVE).

### EUROSPORT

**13:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (იუნიორები). 1/2 ფინალი. სერბეთი (LIVE).
**15:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).
**16:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VI ეტაპი. იტალია (LIVE).
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).

### EUROSPORT-2

**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# სკანდინავიური სასწაული

იტალიის დედაქალაქში ორივე ტურნირზე პირველი წრე დასრულდა და მეორე რაუნდი დაიწყო. და კვლავ, მამაკაცთა შორის ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. **ტომაშ ბელუჩიმ**, რომელიც ერთი კვირის წინ მადრიდის მასტერსზე ნახევარფინალში გავიდა და სეტნახევარი უგებდა **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, დიდ ფიზიკურ დატვირთვას ვერ გაუძლო და რომში პირველივე რაუნდში გამოეთიშა ბრძოლას.

ადგილობრივი პუბლიკა გაახარა **პაოლო ლორენციმ**, რომელმაც საათსა და 48 წუთში დასასვენებლად გაამგზავრა ბრაზილიელი. იტალიელი აღნიშნულ შეხვედრაში ყველა კომპონენტში ოდნავ უფრო ძლიერი იყო და ამიტომაც გავიდა მეორე რაუნდში.

ძლიერი მოწოდების მქონე ორი ჩოგბურთელი გამოეთიშა ბრძოლას. ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** ტრავმის გამო ვერ დაასრულა თანამემამულე **მარინ ჩილიჩთან** შეხვედრა, ამერიკელ **ჯონ ისნერს** კი სწორედ თავისმა მთავარმა იარაღმა უღალატა - მეორე მოწოდებაზე ქულების მხოლოდ 30 პროცენტი აიღო და **ხუან იგნასიო ჩელასთან** თითქმის უბრძოლველად დამარცხდა - საათი და 11 წუთი არაფერია გრუნტის საფარზე ჩატარებული მატჩებისთვის.

პირველ წრეში ორი განთესილი ჩოგბურთელი თამაშობდა. მათ იტალიელი მოთამაშეები დაამარცხეს. **ნიკოლას ალმაგრომ** ტურნირის მიღმა დატოვა **სიმონე ბოლელი**, **სტანისლას ვავრინკამ** კი **ფაბიო ფონინისთან** იწვალა, მაგრამ სამ სეტში მაინც მოიგო.

მეორე წრეში მოულოდნელობები არ მომხდარა. **ენდი მიურეიმ** მხოლოდ სამ სეტში დაამარცხა **ქსავიე მალისე**. ბრიტანელმა ჩააგდო მეორე სეტი, როცა მეტოქეს სამი ბრეიკის საშუალება მისცა, მაგრამ დროზე მოვიდა გონს და გადამწყვეტ პარტიაში იყოჩაღა - 6:2, 2:6, 6:3.

**რობინ სოდერლინგმა** კი თითქმის შეუძლებელი შეძლო **ფერნანდო ვერდასკოსთან** მატჩში. ესპანელი მატჩზე აწვდიდა და სამმაგი მატჩბოლი ჰქონდა! და ამ ურთულესი სიტუაციიდან შეძლო შვედმა გამოძრომა. ვერ ვიტყვით, რომ რობინმა და ფერნანდომ მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენეს - ორივეს ძალიან ბევრი შეცდომა დაუგროვდა, სამაგიეროდ, მატჩის სცენარმა არ მოაწყინა მაყურებელი. მესამე სეტში განათებამაც კი ვერ გაუძლო დაძაბულობას და ჩაქრა. გადამწყვეტ პარტიაში დასანანი მარცხის მიუხედავად ვერდასკო არ დანებდა და 0:3-დან შეძლო ანგარიშის გათანაბრება, თუმცა ბოლოს მაინც დამარცხდა.


რობინ სოდერლინგი

■ ■ ■

ქალთა ტურნირში აგრძელებს ჩვენს გაკვირვებას ამერიკელი **ბეტანი მატეკი**, რომელმაც სამსეტიან ბრძოლაში დაამარცხა ადგილობრივი პუბლიკის მთავარი იმედი **ფლავია პენეტა**. ამ უკანასკნელმა ვერაფრით იპოვა ამ სეზონში საჭირო ფორმა და მისი პრობლემები აღნიშნულმა შეხვედრამაც დაადასტურა.

ინტერესი გამოიწვია იტალიურმა დერბიმ **რობერტა ვინჩისა** და **სარა ერანის** შორის, თუმცა იქ ბრძოლა არ ყოფილა, რადგან ვინჩიმ მეორე სეტში ტრავმა მიიღო, პირველ პარტიაში კი სწორედ ამ მიზეზით ითამაშა სუსტად.

**ანდრეა პეტკოვიჩმა მარია კირილენკო** დაამარცხა, იტალიელმა გულშემატკივრებმა კი მაინც გაიხარეს, რადგან **რომინა ოპრანდიმ** მოულოდნელად ესტონელი **კაია კანეპი** დაამარცხა. ბალტიისპირელი ბოლო დროს ტრავმებს ებრძოდა და როგორც ჩანს, ჯერ ვერ შევიდა ოპტიმალურ ფორმაში.

მეორე წრის მატჩებს რაც შეეხება, ასეთი სულ ორი იყო და ფავორიტებმა იძალეს - **მარია შარაპოვამ** და **ფრანჩესკა სკიავონემ** ძალიან იოლად დაამარცხეს შესაბამისად **ეკატერინა მაკაროვა** და **კრისტინა მაკჰეილი**.

**ATP**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**I წრე**

**სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:7, 6:2, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:0, 7:5; **სემ კუერი (აშშ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 7:6, 1:0 ანდერსონის უარი; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:4, 6:1; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:2, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:4, 1:0 კარლოვიჩის უარი; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:3, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 7:6, 6:1; **პაოლო ლორენცი (იტა)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 7:6, 6:3.

**II წრე**

**რიშარ გასკე (საფ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:1, 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:7, 6:3, 6:4; **ტომაშ ბედიხი (ჩეხ)**-ხუან მონაკო (არგ) 6:2, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:2, 2:6, 6:3; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 2:6, 7:5, 6:4.

**WTA**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 050 000 დოლარი

**I წრე**

**შაარ პეერი (ისრ, 10)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 3:6, 6:0, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 12)**-მარია კირილენკო (რუს) 7:5, 6:1; **რომინა ოპრანდი (იტა)**-კაია კანეპი (ესტ, 14) 7:5, 3:6, 6:1; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ფლავია პენეტა (იტა, 15) 6:4, 4:6, 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 16)** შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:3, 7:5; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-კიმიკო დატე (იაპ) 7:5, 6:2; **სარა ერანი (იტა)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:2, 1:0 ვინჩის უარი; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 6:4, 6:4; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:4, 7:5.

**II წრე**

**ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 2)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:3, 6:1; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:1, 6:1.


დავიდ ნალბანდიანი

# როლან გაროსი არგენტინელების გარეშე

გაირკვა, რომ არგენტინული ჩოგბურთის მეორე ლიდერი - **დავიდ ნალბანდიანიც** გამოტოვებს მოახლოებულ საფრანგეთის ღია პირველობას. როგორც ეს ბოლო დროს ხშირად ხდება, სამხრეთამერიკელს ისევ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. უიმბლდონის ყოფილ ფინალისტს ამჯერად საზარდულის ტრავმა აწუხებს და თან კუნთი აქვს დაზიანებული.

თითქოს ეს არ ეყოფოდაო, ბოლო დღეებში ნალბანდიანს ვირუსული ინფექცია შეეყარა, წონაში მკვეთრად დაიკლო და ამის გამო შეწყვიტა აღდგენითი პროცესი.

ნალბანდიანის აგენტმა **ბერნარდო ბალიერომ** განაცხადა, რომ დავიდი ფიზიკურად არ არის მზად როლან გაროსისთვის. ახლა არგენტინელის გუნდში იმედოვნებენ, რომ ნალბანდიანი ქუინსის ტურნირისთვის ჩადგება მწყობრში - სწორედ იქ გაივლის ჩოგბურთელი ბოლო რეპეტიციას უიმბლდონისთვის.

შეგახსენებთ, ტრავმა აწუხებს მეორე არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს**. მართალია, ჯერ დადასტურებული არ არის, მაგრამ თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ხუან მარტინსაც ვერ ვიხილავთ პარიზში. ტრავმა მან გასულ კვირას მადრიდის მასტერსზე მიიღო.

ავტოსპორტი



სებასტიან ლოები

# ლოებმა ჩემპიონებს გაუსწრო

გასული უქმეები მეტად მდიდარი აღმოჩნდა საავტომობილო სამყაროში, შესაბამისად, სერიოზულად განახლდა სარბოლო რეიტინგი, რომელსაც პერიოდულად გაცნობთ ხოლმე. მასში ყველა სარბოლო სერიის შედეგებს ითვალისწინებენ.

უკვე დიდი ხანია პირველობას „რედ ბულის" პილოტი **სებასტიან ფეტელი** ინარჩუნებს. ბუნებრივია, მის პოზიციებს არც ამჯერად დაემუქრებოდა საფრთხე, რადგან გერმანელმა კვირას თურქეთის გრანპრი მოიგო და უფრო გაზარდა უპირატესობა კონკურენტებზე. კლასიფიკაციის ქვედა ნაწილში კი გარკვეული ცვლილებები მოხდა.

იმის გამო, რომ რეიტინგში ბოლო ერთი წლის შედეგებს ითვალისწინებენ, ფორმულა 1-ის მონაწილეებმა დაკარგეს ჩინეთის გრან-პრიში მოპოვებული შარშანდელი ქულები და მარაგი თურქეთის ეტაპის ქულებით შეივსეს. ამიტომაც ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი**, ვინც ცოტა ხნის წინ დიდი გაჭირვებით დაასწრო **ფერნანდო ალონსოს**, ისევ ჩამორჩა ესპანელს - შარშან „მაკლარენის" პილოტმა შანხაიში მეორე ადგილი დაიკავა, ახლა კი მხოლოდ მეოთხე იყო.

კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ ფორმულა 1-ის ამ ორ ყოფილ ჩემპიონს **სებასტიან ლოებმა** გაუსწრო - ფრანგმა რალისტმა გასულ კვირას სარდინიის კუნძულზე იტალიის რალი მოიგო და რეიტინგში ისევ მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

მეექვსე ადგილზეა ინდიკარის სერიის საუკეთესო წარმომადგენელი, ავსტრალიელი **უილ პაუერი**. მან დაგვიანებით მიიღო 2 მაისს სან პაულუს ქუჩებში მოპოვებული გამარჯვებისთვის ქულები. ის რბოლა წვიმის გამო ორშაბათისთვის გადაიტანეს, ამიტომაც მხოლოდ ახლა გაითვალისწინეს ახალ რეიტინგში.

სხვათა შორის, პაუერისა და „რედ ბულის" პილოტ **მარკ უებერის** წარმატებების წყალობით ავსტრალიის ნაკრები ქვეყნების რეიტინგში დამაჯერებლად უსწრებს ყველას. მეორე ადგილი გერმანელებისაა, მესამე - ბრიტანელების. ამ უკანასკნელის გუნდში ცვლილებაა. ცნობილია, რომ ქვეყნების კლასიფიკაციაში ორი საუკეთესო პილოტის შედეგებს ითვალისწინებენ. ასეთები ბრიტანეთის გუნდში დიდი ხანი ჰემილტონი და **ჯენსონ ბატონი** იყვნენ, მაგრამ ახლა მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონმა შანხაის შარშანდელი ტრიუმფისთვის მიღებული ქულები დაკარგა და წინ გაუშვა თანამემამულე **დარიო ფრანკიტი**, რომელიც ინდიკარის პილოტი გახლავთ.

ახალი რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 26 463 |
| 2. მ. უებერი (ფორმულა 1) | 22 356 |
| 3. ს. ლოები (რალი) | 20 139 |
| 4. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 20 034 |
| 5. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 19 942 |
| 6. უ. პაუერი (IndyCar) | 18 423 |
| 7. დ. ფრანკიტი (IndyCar) | 17 042 |
| 8. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 16 555 |
| 9. კ. ედვარდსი (NASCAR) | 16 197 |
| 10. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 15 628 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

რეიტინგი

# ყველაზე გავლენიანები

ცნობილმა ამერიკულ ჟურნალმა „ფორბსმა" თავისი მორიგი რეიტინგის შედეგები შეაჯამა. ამჯერად გამოცემის ანალიტიკოსებმა ყველაზე გავლენიანი ამერიკელი სპორტსმენების სია შეადგინეს.

კლასიფიკაციაში პირველი ადგილი დაიკავა ავტომრბოლმა **ჯიმი ჯონსონმა**, რომელიც ბოლო ხუთი წელი ნასკარის სერიის გამარჯვებული იყო. მეორე ადგილზე აღმოჩნდა ამერიკული ფეხბურთის გუნდის - „ნიუ ინგლენდ პეტრიოტზის" კვოტერბეკი **ტომ ბრედი**. ის დღეისთვის NFL-ის ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნევა.

მესამე პოზიცია ნასკარის სერიის კიდევ ერთ წარმომადგენელს **დეილ ერნჰარდტ-უმცროსს** ერგო. შემდეგ მოდის „ბოსტონ სელტიქსის" ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი**. ეს კალათბურთელი 39 წლისაა, მაგრამ ჯერაც მაღალ დონეზე თამაშობს და არც გულშემატკივრებს შორის პოპულარობა დაუკარგავს.

ხუთეულს ასრულებს ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიელი, მოცურავე **მაიკლ ფელპსი**. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ, განსაკუთრებით ნარკოსკანდალის გამო 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა დაკარგა პოპულარობა, მაგრამ ლონდონის ზაფხულის თამაშების მოახლოებასთან ერთად მაიკლის პიროვნება ისევ აქტუალური ხდება.

გავლენიანი სპორტსმენების ათეულში ასევე შედიან: 6. **ტროი პოლამალუ** („პიტსბურგ სტილერსი", NFL), 7. **პეიტონ მენინგი** („ინდიანაპოლის კოლტსი", NFL), 8. **ჯეფ გორდონი** (ნასკარი), 9. **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი ჰიტი", NBA), 10. **ტიმ ტებოუ** („დენვერ ბრონკოსი", NFL).


შაკი დღესაც პოპულარულია